III პირველადი ადგილიდან გადატანილი არქეოლოგიური ნარჩენებისათვის შესატყვისი საცავების მოწყობას.

არქეოლოგიური მემკვიდრეობის ინტეგრირებული კონსერვაცია

მუხლი 5

თითოეული მხარე ვალდებულია: I მიანილოს არქეოლოგიისა და დაგეგმარების ინტერესების შეთანხმებას და შესაბამისობას, უზრუნველყოყოს რა არქეოლოგია მონაწილეობას შემდეგ საქმიანობაში:

a) დაგეგმარების პოლიტიკის შემუშავება, არქეოლოგიური ინტერესის მატარებელი ზონების დაცვის, კონსერვაციისა და გამოყენების განხილვისათვის სტრატეგიის ჩამოყალიბების მიზნით;

b) კეთილმოწყობის პროგრამების სხვადასხვა ფაზების მიმდინარეობა;

II უზრუნველყოს სისტემატური კონსულტაციები არქეოლოგებს, ურბანისტებსა და მონათმომწყობებს შორის, რათა შესაძლებელი გახდეს:

a) იმ მონათმონყობის გეგმების შეტყობა, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს არქიტექტურულ მემკვიდრეობას;

b) საკმარისი დროისა და საშუალებების გამოყოფა ადგილის შესაფერისი მეცნიერული შესწავლისათვის მიღებული შედეგების გამოქვეყნების;

III უზრუნველყოს, რომ გარემოზე გავლენის გამოკვლევებში და მათზე დაყრდნობით მიღებულ გადაწყვეტილებებში სრულად იქნას



გათვალისწინებული არქეოლოგიური ზონები და მათი გარემო;

IV უზრუნველყოს არქეოლოგიური მემკვიდრეობის ელემენტების In situ დაკონსერვება, თუკი ასეთი ელემენტები აღმოჩნდება მონათმონყობის სამუშაოების დროს;

V უზრუნველყოს, რომ არქეოლოგიური ადგილების მხახველთათვის გახსნა, განსაკუთრებით მხარეების მიწების მიწისა, ზიანს არ აყენებდეს ამ ადგილების და მათი გარემოს არქეოლოგიურ და მეცნიერულ ხასიათს.

არქეოლოგიური მემკვიდრეობის ელემენტების უკანონო გადაადგილების პროფილქაქცია

მუხლი 6

თითოეული მხარე ვალდებულია: I მოაწყოს ინფორმაციის გაცვლა აღნიშნული უკანონო გათხრების შესახებ კომპეტენტურ საზოგადოებრივ ორგანოებსა და მეცნიერულ ინსტიტუტებს შორის;

II შეატყობინოს წინამდებარე კონვენციის (გადასინჯული) მონაწილე სახელმწიფოს კომპეტენტურ ინსტანციებს ყოველი საეჭვო წინადადება ნივთებზე, რომლებიც შეიძლება იყოს უკანონო გათხრებიდან ან მოპარული იყოს ოფიციალურ გათხრებზე;

a) შესაბამისი ზომების მიღებით, რათა სახელმწიფო თუ კერძო მონის სამუშაოების დროს გათვალისწინებულ იქნას ამ სამუშაოებთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი არქეოლოგიური სამუშაოების ხარჯების სრული დაფარვა შესაბამისად კერძო თუ სახელმწიფო წყაროებიდან;

b) ამ სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაში გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ კვლევით სამუშაოებთან ერთად წინასწარი არქეოლოგიური კვლევა-ძიების, აგრეთვე საბოლოო მეცნიერული დოკუმენტების გამოქვეყნების სრული ხარჯების შეტანით.

მეცნიერული ინფორმაციის შეგროვება და გავრცელება

მუხლი 7

იმისათვის, რომ გადავიღდეს არქეოლოგიური კვლევა და მის შესახებ ინფორმაციის გავრცელება, თითოეული მხარე ვალდებულია:

a) გაანახორციელოს ამ განახლოს კვლევა-ძიება, ინვენტარიზაცია და კარტოგრაფია რეგიონებისა, რომლებიც მის იურისდიქციაში შედის;

II მიიღოს ყველა პრაქტიკული ზომა, რათა არქეოლოგიური სამუშაოების დასასრულ შედგენილი იქნას გამოსატყვევებლად შესაფერისი შემჯამებული მეცნიერული დოკუმენტი, სრული სპეციალიზირებული მეცნიერული ნაშრომის გამოქვეყნებამდე.

მუხლი 8

თითოეული მხარე ვალდებულია:

I გააადვილოს ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე არქეოლოგიური მემკვიდრეობის ელემენტების გაცვლა პროფესიული მეცნიერული მიზნები; ამავე დროს მიიღოს საჭირო ზომები, რათა ამ გაცვლამ არანაირი ზიანი არ მიაყენოს ამ ელემენტების კულტურულ თუ მეცნიერულ ღირებულებას;

II ხელი შეუწყოს მიმდინარე არქეოლოგიური კვლევებისა თუ გათხრების შესახებ ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლას და საერთაშორისო კვლევების ორგანიზებას.

მოსახლეობის განათლება

მუხლი 9

თითოეული მხარე ვალდებულია: I განახორციელოს განმანათლებლური ღონისძიებები, რათა საზოგადოებრივ აზრში ჩაისახოს და განვითარდეს შეგნება იმისა, თუ რა მნიშვნელობა აქვს არქეოლოგიურ მემკ-

ვიდრეობას წარსულის შემეცნების საქმეში და თუ რა საშიშროება ელის ამ მემკვიდრეობას.

II მისანდვდომი გახადოს მოსახლეობისათვის მისი არქეოლოგიური მემკვიდრეობის ძირითადი ელემენტების გაცნობა, განსაკუთრებით ნაკრძალი ზონებისა და განავითაროს შეერჩეული არქეოლოგიური ნივთების გამოფენები.

არქეოლოგიური მემკვიდრეობის ელემენტების უკანონო გადაადგილების პროფილქაქცია

მუხლი 10

თითოეული მხარე ვალდებულია: I მოაწყოს ინფორმაციის გაცვლა აღნიშნული უკანონო გათხრების შესახებ კომპეტენტურ საზოგადოებრივ ორგანოებსა და მეცნიერულ ინსტიტუტებს შორის;

II შეატყობინოს წინამდებარე კონვენციის (გადასინჯული) მონაწილე სახელმწიფოს კომპეტენტურ ინსტანციებს ყოველი საეჭვო წინადადება ნივთებზე, რომლებიც შეიძლება იყოს უკანონო გათხრებიდან ან მოპარული იყოს ოფიციალურ გათხრებზე;

III რაც შეეხება მუზეუმებს და სხვა მსგავს დანესებულებებს, რომელთა მსყიდვითი საქმიანობა ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს, მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა ამ უკანასკნელებმა არ შეიძინონ არქეოლოგიური მემკვიდრეობის ელემენტები, რომლებიც შეიძლება საეჭვო წარმოშობის იყოს;

IV მუზეუმების და სხვა მსგავსი დანესებულებების შემთხვევაში, რომლებიც გაწვავებულია ერთიერთი მონაწილე მხარის ტერიტორიაზე, მაგრამ მათი მსყიდვითი საქმიანობა არ ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს;

a) გადასცეს მათ წინამდებარე კონვენციის ტექსტი; b) ყოველი ძალა იხმაროს, რათა ამ მუზეუმებმა და დანესებულებებმა დაიცვან მე-3 პარაგრაფში ჩამოყალიბებული პრინციპები; V რაც შეიძლება შეზღუდოს განათლების, ინფორმაციის, თანამშრომლობის მეშვეობით არქეოლოგიური მემკვიდრეობის ელემენტების მოძრაობა, რომელთა წარმოშობა შეიძლება იყოს საეჭვო.

მუხლი 11

წინამდებარე კონვენციის (გადასინჯული) არც ერთი დებულება არ ეხმარება ორმხრივ თუ მრავალმხრივ ხელშეკრულებებს, რომლებიც არსებობს ან მომავალში დაიდება მხარეებს შორის და რომლებიც ეხება არქეოლოგიური მემკვიდრეობის ელემენტების მოძრაობას ან მათ დაბრუნებას კანონიერი მფლობელისათვის.

ტექნიკური და მეცნიერული ურთიერთდახმარება

მუხლი 12

მხარეები ვალდებული არიან: I აღმოუჩინონ ერთმანეთს ტექნიკური და მეცნიერული ურთიერთდახმარება, რომელიც გამოიხატება გამოცდილების გაზიარებაში და არქეოლოგიური მემკვიდრეობის დარღვის ექსპერტთა გაცვლაში; II ხელი შეუწყონ არქეოლოგიური მემკვიდრეობის კონსერვაციის სპეციალისტთა გაცვლას, კადრების კვალიფიკაციის მუდმივ ამაღლებას

ეროვნული კანონმდებლობებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების ჩარჩოებში.

კონვენციის (გადასინჯული) განხორციელების კონტროლი

მუხლი 13

წინამდებარე კონვენციის (გადასინჯული) მიზნებისათვის ევროპის საბჭოს წესდების მე-17 მუხლის ძალით ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი ქმნის ექსპერტთა კომიციის განხორციელებას მრავალმხრივი გათხრების მეთვალყურეობა, კერძოდ:

I პერიოდულად წარუდგინოს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს დასკვნა კონვენციის (გადასინჯული) მონაწილე მხარეების სახელმწიფოებში არქეოლოგიური მემკვიდრეობის პოლიტიკის მდგომარეობისა და კონვენციის პრინციპების განხორციელების შესახებ;

II შესთავაზოს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს კონვენციის (გადასინჯული) დებულებების განხორციელების მრავალმხრივი საქმიანობების ფორმით, ასევე კონვენციის (გადასინჯული) გადასინჯვისა თუ შეწორებების საქმეს და ფართო ფენებამდე კონვენციის (გადასინჯული) მიზნების მინოდექას;

III წარუდგინოს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს რეკომენდაციები, რომლებიც ეხება კონვენციაში (გადასინჯული) ევროპის საბჭოს არანაწერი სახელმწიფოების შემოერთებას.

დასკვნითი დებულებები

მუხლი 14

1. წინამდებარე კონვენციის (გადასინჯული) ხელმოწერა თავისუფალია ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის და ასევე ევროპული კულტურული კონვენციის მონაწილე სხვა სახელმწიფოებისათვის.

იგი ექვემდებარება რატიფიკაციას, აქცეპტაციასა თუ აპრობაციას. რატიფიკაციის, აქცეპტაციისა თუ აპრობაციის ინსტრუმენტები უნდა იქნას წარდგენილი ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

2. 1969 წლის 6 მაისს ლონდონში ხელმოწერილი არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის კონვენციის მონაწილე სახელმწიფო ვერ წარადგენს რატიფიკაციის, აქცეპტაციისა თუ აპრობაციის ინსტრუმენტს, თუ მან წინასწარ არ გაუკეთა დენონსაცია სხენებულ კონვენციას ან არ აკეთებს ამას იმავდროულად.

3. წინამდებარე კონვენცია (გადასინჯული) ძალაში შევა ექვს თვეში მას შემდეგ, რაც ოთხი სახელმწიფო, მათგან მინიმუმ სამი ევროპის საბჭოს სახელმწიფო, განცხადებს თანხმობას იყოს დაკავშირებული კონვენციით (გადასინჯული), წინა დებულებების თანახმად.

4. იმ შემთხვევაში, თუ წინა ორი პარაგრაფის შესატყვისად, 1969 წლის 6 მაისის კონვენციის დენონსაცია და წინამდებარე კონვენციის (გადასინჯული) ძალაში შესვლა ერთდროულად არ მოხდა, ხელმოწერე სახელმწიფოს შეუძლია განაცხადოს რატიფიკაციის, აქცეპტაციისა თუ აპრობაციის ინსტრუმენტის წარდგენისას, რომ იგი განაგრძობს 1969 წლის 6 მაისის კონვენციის გამოყენებას წინამდებარე კონვენციის (გადასინჯული) ძალაში შესვლამდე.

5. წინამდებარე კონვენცია (გადასინჯული) ჩაითვლება ძალაში შესულად ხელისმომწერი სახელმწი-

ფოს მიმართ, რომელიც განაცხადებს მასში მონაწილეობის თანხმობას, ექვს თვეში მას შემდეგ, რაც იგი წარადგენს რატიფიკაციის, აქცეპტაციისა თუ აპრობაციის ინსტრუმენტს.

მუხლი 15

1. წინამდებარე კონვენციის (გადასინჯული) ძალაში შესვლის შემდეგ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს შეუძლია მოწვიოს ნებისმიერი სხვა სახელმწიფო, ევროპის საბჭოს არანაწერი და აგრეთვე ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა, შეუერთდეს წინამდებარე კონვენციას (გადასინჯულს), უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, როგორც ამას ითვალისწინებს ევროპის საბჭოს წესდების მუხლი 20d, კომიტეტში გაერთიანებული სახელმწიფოების წარმომადგენელთა ერთსულოვანი მხარდაჭერით.

2. ნებისმიერი განვერიანებული სახელმწიფოსათვის ან ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობისათვის კონვენცია (გადასინჯული) ძალაში შევა ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან განვერიანების ინსტრუმენტის წარდგენიდან ექვსი თვის შემდეგ.

მუხლი 16

1. ყოველ სახელმწიფოს შეუძლია ხელმოწერისას ან რატიფიკაციის, აქცეპტაციის, აპრობაციისა თუ განვერიანების ინსტრუმენტის წარდგენის მომენტში განსაზღვროს ტერიტორია ან ტერიტორიები, რომლებზეც გავრცელებულია წინამდებარე კონვენციის (გადასინჯული) მოქმედება.

2. ყოველ სახელმწიფოს შეუძლია, ნებისმიერ დროს, განაგრცოს წინამდებარე კონვენციის (გადასინჯული) მოქმედება სხვა ტერიტორიებზე, ვიდრე ეს აღნიშნულია პირველ დეკლარაციაში, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი დეკლარაციის მეშვეობით.

3. წინა ორი პარაგრაფის მიხედვით შესრულებული ნებისმიერი დეკლარაცია, რომელიც ეხება ტერიტორიებს, შეიძლება გაუქმებულ იქნას გენერალური მდივნის სახელზე გაუქმებული შეტყობინებით. გაუქმება ძალაში შევა გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების დღიდან ექვს თვეში.

მუხლი 17

1. ყოველ მონაწილე მხარეს აქვს უფლება დენონსაცია გაუკეთოს წინამდებარე კონვენციას (გადასინჯულს) ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი შეტყობინების მეშვეობით.

2. დენონსაცია ძალაში შევა გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების დ

"ფირსმანის მონატრება"

კოკა იგნატოვი

დასაწყისი ამ ფრესკისა - "ფიროსმანის მონატრება" - ჩვეულებრივი იყო: მოვიდა ჩემთან ერთი ახლობელი ოჯახის წერი ალიკო ქურდიანი; ქურდიანები საინტერესო ოჯახია თავისთავად, ალიკოს მამა, ზაქარია ქურდიანი, იყო ავტორი ფუნიკულიორის მშვენიერი მენობის; მე ვთვლი, რომ კარგი შენობა არის, ერთ-ერთი საუკეთესო იმ წლებისთვის. ფუნიკულიორის ზედა სადგურის შენობა - პავილიონის ტიპის, მაგრამ მოვამენტურ ფორმაში გადაზრდილი და მსუბუქი, ლამაზი, ქართული არქიტექტურის ელემენტები - ჩვენივის ყველასთვის უკვე თბილისის ნიშან-სიმბოლოა. თუმცა მაინცდამაინც, მე მგონი, ბედი არ წყალობდა ამ შენობას, განსაკუთრებით ბოლო წლებში... მოვიდა ჩემთან ბატონ შაქროს ვაჟიშვილი ალიკო ქურდიანი, მშვენიერი არქიტექტორი ისიც, რომელიც ჩემთან ერთად სწავლობდა, უმცროსია ჩემზე, ძალიან სერიოზული ყმანვილი, და შემომთავაზა ის, რაზეც მიმიწევს გული მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე და მთელი ჩემი შემოქმედება ამისკენ იყო მიმართული, - რომ კედლები მეხატა. ტარდებოდა ფუნიკულიორის ზედა სადგურის შივა ინტერიერების რეკონსტრუქცია ალიკო ქურდიანის პროექტით და მან შემოთავაზა, რომ მომესტა დიდი კედელი, მშვენიერ ადგილას - მაღალი სტუმრების მისაღებ საბანკეტო და ოფიციალური შეხვედრების დარბაზში. მომეწონა, ძალიან კარგი კედელი იყო, მთელ თბილისს და თავისი ნაქონიდან და იმ დიდი, ცნობილი ფუნიკულიორის აივანია, სადაც შუშის კარები გადის - და წინადადებამ ძალიან გამახარა.

რა თქმა უნდა, ბევრი ვიფიქრე, რა შეიძლებოდა, რომ ყოფილიყო ამ კედელზე გამოსახული. სრული თავისუფლება მქონდა თემის არჩევაში - რაღაც ისეთი რამ შემოეთავაზებინათ, რომელიც მე არ მომეწონებოდა, იცოდნენ, მაინც არ გავაკეთებდი; ისევ ჯობდა, მე მომეფიქრებინა რაღაც. ბევრი ვიფიქრე და მივედი იმ აზრამდე, რომ ეს ახალი თბილისი კი არ არის გადაშლილი ხელოსულზე ჩვენს წინ - ფუნიკულიორიდან გადასახედს ვგულისხმობ - თავისი ნაკლებად და თავისი უპირატესობებით, მაგრამ ის ძველი თბილისი, ის ნასულ თბილისი უკვე აღარ არის და ეს თემა იქნება ორგანული, იმადროულად კი კონსტრქსტაც მეუწიების თანამედროვე თბილისს და თან შეავსებს აქ მოსული სტუმრისთვის ამ სურათს, რომ მთლიანად აღიქვას თბილისი თავისი წარსულით და დღევანდლი დლით. მაყურებელი რომ შეხედავდა ფრესკას, იქვე 180 გრადუსით მოტრიალდებოდა და დაინახავდა უკვე დღევანდელ ქალაქს და მასზე ერთგვარ საინტერესო ეფექტს მოაღწენდა ასეთი შეთანადება ძველისა თუ ახლისა.

ამრიგად, შევჩერდი ძველი თბილისის თემაზე, ოლიდ ამ ზოგად ჩანადიქრს კონკრეტული ხორცშესხმა სჭირდებოდა. უკვე ჩემი ფიქრი აღარ დამჭირებია. ზეგონის, როგორც მხატვრისთვის, ძველი თბილისის განსახიერება არის ფიორისმანის შემოქმედება და, რა თქმა უნდა, ფიროსმანი გამახსენდა უპირველეს ყოვლისა. ყველაზე უკეთ მან გამოხატა, ასე მგონია, ძველი თბილისის სული, მისი ფერები, საერთოდ კოლორიტი და ყველაფერი დანარჩენი. მე არა მგონია, რომ მსოფლიოში კიდევ ბევრი იყოს მხატვარი, რომელსაც ასე სრულად, ასე სავსედ და ასეთი დიდი სიყვარულით, ასეთი დიდი ცოდნით და ასეთი დიდი ტრფიალით გამოეხატოს თავისი სამყარო, თავისი სამშობლო, თავისი ქალაქი და საერთოდ გარემო, როგორც ეს გააკეთა თა ფიროსმანმა.

და, რა თქმა უნდა, თავისთავად, ჩვენი ნიკოლა აღმოჩნდა მოხვედლი კომპოზიციის ღერძი, ასე ვთქვათ, ცენტრი, საიდანაც მე უნდა დამეწყო ყველაფერი დანარჩენის აგება. შემდგომ მე უკვე ჩემი სპეციფიკური ხერხი მოვსძევლიე, რომლითაც ფართო - მაქსიმალურად გაშლილი და მაქსიმალურად ტევადი - სურათი უნდა შემექმნა. სურათში ყველაფ-

რის ჩატევა მინდოდა. კი, შემდეგ მითხრეს საყვედური, რომ ყველაფერი მაინც ვერ ჩავატეე. სანყაღმა, ან ცხონებულმა არჩილ სულაკაურმა მისაყვედურა, - კოკაო, ყველაფერი დახატეო, მაგრამ სასაფლაო რომ არ არის არც ერთიო... მართალი იყო, რაღაცა მაინც გამომჩნა, თუმცა დიდი სურვილი მქონდა, სრული სურათი შემექმნა - იმ ძველი თბილისის ყველა კუჩქული, ცხოვრების გამოხატვის ყველა მომენტი ყოფილიყო ასახული...

დავჯექი და დავინჯე ესკიზის კეთება. არცთუ ისე დიდი ზომის ესკიზი იყო და დავინწყე მუშაობა, რა თქმა უნდა, ცენტრიდან - ცენტრში მოვათავსე ფიროსმანი. ძალიან ფრთხილად მივდექე ფიროსმანის სახის მოძენას - იერსახეს, რაკურსს... არსებობს ფიროსმანის ფოტოები, არსებობს ბანალური წარმოდგენებიც მის გარეგნობაზე, მის, ასე ვთქვათ, სახეზე. და მინდოდა, რომ რაღაცნაირად გვერდი ამეელო ყველაფრისათვის ამისთვის და ამიტომ ფიროსმანი მოვატრიალე ზურგით - რომ არ ყოფილიყო რაიმე პორტრეტული და სადავო; მის ხასიათს, მის მოკრძალებას უფრო გამოხატავდა ზურგით დგომა. ძალიან ვეცადე, მშრომელი კაცის, უკვე ნაჯაფარის, ოდნავ უკვე ცხოვრებისგან დაღლილის ზურგი გამეკეთებინა. ფიროსმანი ფეხზე დგას, ვეზური სკამი უდგას წინ და ზედ ერთ-ერთ მის ცნობილ სურათს - "გოგონა ნითელი საპაეო ბუშტიო" - ხატავს. დავინჯე ამით და ირგვლივ გვერდვინეთი მიუხატე ძველი თბილისის წარმომადგენლები: ყარაჩოხლები, ხელოსნები, მუშები და სხვები. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც სურათის კოლორიტიდან ჩანს, იქ დღე არის, ისინი მაინც სანთლებით ხელში აფეხატე - სიმბოლურად მინდოდა აჟღერებულყოი, რომ აი თვით ხალხი უნათებდა მას გზას შრომაში... მერე მივეყვი და "მოვეპარე" მთლიანად ეს ესკიზი; ძალიან ვისიამოვნე, მართალი რომ გითხრათ, ამ ესკიზის კეთების დროს, იმიტომ, რომ შესაძლებლობა მომეცა ის წარმოდგენა გადმომეცა, რომელიც მე მქონდა ძველ თბილისზე - ჩემი სუბიექტურად დაინახული წარსულის სურათი. არ მისარგებლია არც ერთი ეთნოგრაფიული თუ ისტორიული მასალაზეთ, - ფოტოებით, ჩანახატებით და სხვა, - ვიფიქრე და ვვანატხობორობდი, ვიგონებდი რაღაც ეპიზოდებს, რაღაც სახეებს, სახლებს - თბილისის ნაწილობრივ შემორჩა ძველი უბნები, დამახასიათებელი კუთხეები და ეს არ წარმოადგენდა ჩემთვის დიდ სიწმელეს. მინდოდა, რომ აი ეს სახლები, ეს აღმართ-დაღმართიანი ქუჩები გამეესო სიცოცხლით, ხალხით და, რა ვიცი, აბა - რაც შემეძლო, ვხატე და ვხატე და დიდად ვისიამოვნე. ვირიანტები არ გამიკეთებია - მივადექი და მოვექარეცე ის ესკიზი პირდაპირი გაგებით... და გამომივიდა ასეთი კომპოზიცია: სურათის ცენტრში იდგა ფიროსმანი, როგორც მოგახსენეთ, და მხატვრის ორგვლივ კონცენტრული წრეებად მოსახლება: ხელოსნები, ხაზანები, მჭედლები, მოვაჭრენი, მრეცხავეები, კინტოები, მოქიფენი, მეარღნეები, მებაღერები და ბევრი სხვაიც; წყალში რომ ჩააგდო პატარა კენჭი და გარშემო წრეებს რომ შექმნის - აი, დაახლოებით ასეთი შენაბა და კონსტრუქციაა ამ კომპოზიციის.

არ მიყვარს ცრუ ფილოსოფოსობა, ასხნა-განმარტებები - რატომ გავაკეთე ეს ასე, რას ნიშნავს ესა და ეს, - სურათი თვითონ ლაპარაკობს ყველაფერს და ამიტომი გაიგებს. მეტიოქმედება სიტყვებით ძნელი ასახსნელია, უფრო საინტერესოა მოსაყოლად ალბათ იმ დროების გამომხატველი სიტუაცია, რომელიც წარმოშევა ესკიზის გაკეთების შემდეგ.

ესკიზი ძალიან მოეწონათ ყველა ჩემიანებს და ალიკოსაც, მითხრა, შევთანხმებთ ამბასკომში და დაიწყებ მუშაობასო. თურმე ჯერ ეპოპეის თავში ვართ, იმ წლების დამახასიათებელი გარემოებები თვალნათლივ უნდა ვიგებოთ.

რეკონსტრუქციას და სხვა სამუშაოდეს კურირებად ვინმე ურუმაძე-ქსელაქის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე. ამოვიღლიავე ესკი-

ზი ფრესკისა და მე და ალიკო წავედით ურუმაძესთან აღმასკომში, იმას უნდა შევეთანხმოთ. რამდენჯერმე მივედიო, სულ საქმეებზე დარბოდა და ბოლოს დავიჭირეთ. შევედიო კაბინეტში, ვანახეთ ესკიზი; მოეწონა, გადამკოცნა: "ამას რა დაუდგება წინ, დიდებულია!.. მაგრამ უნდა ვანახავით ბუხრაშვილს".

დავდივართ ახლა უკვე სამნი - მე, ალიკო და ურუმაძე, - უნდა ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარე ბუხრაშვილი ენახოთ. რამდენიმე კვირა უშედეგოდ ვინვალეთ, როგორც იქნა, სამივენი მოვხვდით მასთან. ამაჲაც თქვა, კიო, კაცო, ძალიან კარგია, ოღონდ პარტიის საქალაქო კომიტეტის მხარშია თუ არ მოგვცა დასტური, ისე არ იქნებაო. რამდენიმე მდივანი ყოფილა, არც ვიცოდი - ჯერ ერთს ვაჩვენეთ, მერე მეორეს და ბოლოს მივიდა საქმე საქალაქო კომიტეტის პირველ მივივამდე - ვინმე ლოლაშვილი იყო ასეთი. ყველას მოსწონს ნამუშევარი ძალიან, ყველას უნდა, რომ გაკეთდეს, მაგრამ... აი, ასე დავდივართ ერთი კაბინეტიდან მეორეში მე და ჩემი მეგობარი ალიკო ამ ესკიზით ხელში. ეს ყველაფერი ასახტანი იქნებოდა, მაგრამ ძალიან გაგრძელდა დროში - გაგრძელდა იმიტომ, რომ, მოვესხენებათ, კომუნისტები ფრიად დაკავებული ხალხი იყო და ძალიან ძნელი გახლდათ მათთვის, რომ მხატვრისთვის რაღაც ზუთი ზუთი მოეძებნათ. პარტიის თბილისის კომიტეტის პირველ მდივანთან მიღებაზე მოხვდარა ხუბრობა საქმე ხომ არ გგონიათ... თითო მისვლაზე 1-2 კვირა იკარგება. ემატება მოსიარულეთიც: წინ ბუხრაშვილი მივივდივს, მერე ურუმაძე, ალიკო და ბოლოს - მე, ილიაში ესკიზამოჩრილი.

შევაღწიეთ ლოლაშვილთან, როგორც იქნა. "ძალიან კარგია, მაგრამ ვასილ პავლოვიჩს უნდა ენახოთ, ისე არაფერი გამოვა! ხომ იცით, მე ამას ვერ გადავწყვეტ..." გამეცინა. მიხვდა რატომაც, მიიხრა: "აუტკივარ თავს რატომ იტკივებ, ამოვა იქ ბანკეტი და იქნებ არ მოეწონოს".

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ვასილ მჟავანაძესთან შეხვედრა პრობლემა იყო. ერთი-ორი თვე დავგატრედა ლოდინი. ჩვენ თვითონ დავგითრებოთ, დრო უნდა შევტყუროთო. დამირეკადგნენ: "იყავი შინ, პირველი-ორი საათისთვის, რომ როგორმე შევიდეთ". ეტყუოდა, ეთვლებათ მუშაობაში ბუხრაშვილს, ლოლაშვილს...

ბოლოს, მართლაც მოხერხდა შეხვედრა მჟავანაძესთან. მოხდა ეს ძალიან სასაცილო ვითარებაში.

ერთხელ დამირეკეს: "ფუნიკულიორზე მჟავანაძე უნდა მოვიდეს რეკონსტრუქციის სანახავად, იქვე ნახავს შენს ესკიზსაც, ამას რა სჯობს". სასწრაფოდ გამომიგზავნეს ნახება, კიდევ კარგი, შინ ვიყავი, ეს ესკიზი წამოვიღე და ამიყვანეს ფუნიკულიორზე. დაედევნი ჩემს კედელთან - აქ დადექი შებო, მითხრეს. არ ჩანს არც ვასილ პავლოვიჩი და არც არავინ, მაქვსაღმა კი არის, ვვლიდები. გავიდა კარგა ხანი. ვხედე: დაცვა გაჩნდა ჩემთვის, წინ 50 კაცი მოდის, მათ უკან ტალახში ამოსულიო ვასილ პავლოვიჩი მოჰყვება - თურმე ამოატარეს მთელი მენობა, იქ სადღაც სარდაფში ჩასულა, ჩავადრინლა ტლაპში და ოთახში რომ შემოვიდა და მომიახლოვდა, მართალი გითხრათ, ვერ შევატყეე, რომ მაინც დამაინც კარგ ხასიათზე ყოფილიყო.

მე ვდგავარ ჩემი ესკიზით ხელში, გავიარე იმ არქიტექტორს, ძველ ქართულ პარკლეიფზე რომ არის გამოსახული ტბარის მოდელით ხელში... ახალგაზრდა ვიყავი მაშინ და ეს სიტუაცია მაინცდამაინც არ მზაფრავდა. მოვიდა ახლოს და აუხსენია, რომ ეს მხატვარია და ამ კედელზე - იმ კედელთან ვდგავარ ზუსტად - არის წინადადება, გაკეთდეს აი ეს ფრესკა. უყურა მჟავანაძემ ამ ჩემს ესკიზს, კარგა ხანს უყურა, ათვალეირა, მერე ჩაიფო პირში საჩვენებელი თითი და იმ თითით ესკიზი მოსინჯა სადაღც კუთხეში, გამომხედა და მკითხა: "შეიღო, ესა "ერასკებითა" გაქვს დახატული?" როცა დავუდასტურე, რომ არ ცდებოდა, თქვა:

- კარგია! რაშია პრობლემა? - თქვენ უნდა გენახათ... - გაისმა აქეთ-იქიდან.

- დაიხატოს! - და წავიდა. კარგი კაცი იყო, მე რომ მკითხო.

მეორე დღესვე აღმართეს ხარაჩოები, ფულიც გადმორიცხეს, ტილო ვიყიდეთ, საღებავები - დავინწყე მუშაობა. ეს იყო 1971 წელს და ის ალბათ უბედნიერესი წელი გახლდათ ჩემს ცხოვრებაში. იქვე "ზემელზე" ვცხოვრობდი, დილით ადრე ვდგებოდი, პირველივე საბაგირო გზის ვავრნით ან, თუ არ მუშაობდა - ფუნიკულიორის ტრამვაით, ავდიოდი და დილიდან დაღამებამდე ვმუშაობდი ერთი წლის მანძილზე და უფრო მეტიც...

ძალიან შრომატევადი სამუშაო გამოდგა. დიდი კედელია, ზომით 12 მეტრი 6 მეტრზე, ხედვის წერტილი კი აქვს მოკლე - დარბაზის სიგაზე დაახლოებით არის 10-12 მეტრი, ამიტომ ფრესკა მთლიანად ძნელი აღსაქმელია. ფრესკა მქონდა გაკეთებული ფერწერულად, ტონალური მიდგომით, და რომ დავამთავრე, მეც და ყველა მაყურებელიც მიხვდა, რომ ფრესკა არ აღიქმებოდა მთლიანობაში. ძალიან დატვირთულია ამ ფრესკის ყოველი კვადრატული მეტრი, - ფიგურები, სახლები, რაღაც წეროლმანები, - ამიტომ არ აღიქმებოდა, როგორც ერთი დიდი ფერწერული მათთვის, რომ მხატვრისთვის რაღაც, აი, ვთქვათ, ისევე, როგორც უყურებ ახალ ქალაქს ფუნიკულიორიდან, ზევინდა, ამ აივნიდან. და მაშინ გადავწყვიტე, რომ ფერწერულ, უკვე დასრულებულ გამოსახულებაზე ზევინდა დამეღო ერთგვარი გრაფიკული ნახატო, რომელიც მას დააკონკრეტებდა. მომიწია, ფერწერულ ტილოზე გადამეწელო ზევინდან წერილი ფუნჯით გრაფიკული, გრაფიკულიზებული შტრიხით. ამით ყველაფერი გამიჩნდა მცირე მანძილიდანაც კი, აღიქმებოდა და მთლიანადაც და აღიქმებოდა ადვილად ყოველი ცალკეული ეპიზოდი, ფუნა თუ კუთხე. რა თქმა უნდა, რაღაც დანაკლისიც განიცადა ფრესკამ, რადგან ნაწილობრივ ფერწერულობა დაკარგა, ცოტა სიმწრადე გაჩნდა, სიხისტე, რაც გრაფიკას ახასიათებს საერთოდ, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო. ძალიან ბევრი დრო დამჭირდა შესასწორებლად, 1972 წლის გაზაფხულზე დავამთავრე ფრესკა.

ადრევეც მოგახსენეთ, რომ ძალიან ბედნიერი დღეები იყო ჩემთვის; ჯერ ერთი, მუშაობისგან ვიღებე დიდ სიამოვნებას და მეორეც, ისეთი ადგილია, სულ ხალხი მიდიოდა. ბოლო ორი-სამი თვე გვერდით რესტორანი მუშაობდა, გამოდიოდა გიორგი გაბესკირია - ამ ჩემს სამუშაო ადგილს რესტორნიდან ფორფიცრის კედელი ჰყოფდა და იმის იქით ყოველ საღამოს მღეროდა გაბესკირია შესანიშნავად, ძალიან მომწონდა. რაღა დავამისალოთ, ყოველ საღამოს იმ ჩემს ოთახში იმარტობოდა პურ-მარილი - ამოდიოდნენ ჩემი მეგობრები; გვემსახურებოდა კოქეიკო - ძველი ყიადის მბრძანი, ნელში პროფესიულად მოხრილი, ლამაზად გამოილა უფრას. უშაღესი დონის სერვირება იყო: სპეციალური სუკვეითი დამზადებული საფირმო ჭურჭელი, ძვირფასი დანა-ჩანგალი... რაც ჰმონორარი მერგებოდა, ორი იმდენი ქეიფ-ქეიფში დამეხარჯა და კიდევ ვალშიც ჩავვარდი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ძალიან ბედნიერი დრო იყო ჩემთვის.

მახსენდება სასაცილო მომენტებიც. ერთხელ მეზუფეტების დღეო, გაცია მოვიდა ჩემთან - სამი ნითელ-სახიანი, ლოყებლაჟლაფა მეზუფეტე. ადრე სულ თეთრ ხალათებში მყავდა ისინი ნანახი - იქვე, გვერდით მუშაოდნენ, ახლა კი რატომღაც გამონყობილემო მოვიდნენ, პალსტუხებით... რა იყო-მეთქი, ძალიან ოფიციალურად ხართ გამონყობილები და რაშია საქმე-მეთქი. სერიოზული საქმე გვაქვსო, კაცო, სათხოვარი და წინადადებაც არისო... აიო, სულ ქეიფობო, ერთი 6-7 კაცი სულ გიზის სუფრაზეო; ერთი წლის მანძილზე ამ ქექს კაცს ჩვენ დავაპურებოთ, ჩვენი სტუმრები იქნებიანი, მაგრამ აი სახატულო?" როცა დავუდასტურე, რომ არ ცდებოდა, თქვა:



ძალიან მომხიბვლელი წინადადება იყო, მაგრამ... ასე, პალსტუხიანებს, გაპარსულ-დავარცხნილებს ვერ დაგხატავთ-მეთქი და რაღაც არ მოხერხდა ის ჩვენი კონტრაქტი, ბევრი კი ვიცინეთ.

ერთხელ სიმპათიური კაცი ამოვიდა კიდეც. შევატყეე, რომ ძალიან დიდი ხანია დგას, არ მიდის და არ მიდის, არ მიდის და არ მიდის, არც ხმა-სა მცემს. მე ვარ ხარაჩოვზე, ვმუშაობ. დავინტერესდი - დაჯდა 3-4 საათი, უყურებს და მიყურებს... უკვე თითქმის დამთავრებული მქონდა ფრესკა. მერე ჩამოვიდი ხარაიოდან და გაბედა: ერთი შეკითხვა მაქვს, - თბილისელი კაცი იყო, მოხუცებულად. გისმენთ, ბატონო-მეთქი. აიო, ვერცხლის ქუჩა რომელია აქიო. არ ვიცი-მეთქი, კაცო, რუკა კი არ დამიხატავს-მეთქი, რომელიც მოგეწონება, ის იყოს ვერცხლის ქუჩა-მეთქი. არაო, კაცოო, რაო, შენ ის ხომ არ გგონივარი, აი, ახლა მე ვუყურებო - აგერ აფთიაკი ხატიაო, გვერდზე გასტრონომია... მაშინ არ იყო, მაგრამ... აი, ზუსტად და ორ სახლს შორის ჩემი სახლიაო და ის სახლი გამოტოვებული გაქვსო. არა-მეთქი, კაცო... ბევრი დრო დამჭირდა, სანამ დავაწარმოებდი, რომ მე არავითარი ვერცხლის ქუჩა არ მქონდა მხედველობაში. ამაზედაც ბევრი ვიცინე.

მოდიოდნენ ბიჭები, თითქმის ყველა, ვისაც ვიცნობ და ვინც მიყვარს - ყველა იყო იქ სამ-სამჯერ და ათ-ათჯერ ნაქეიფარი, სანამ იქ ვმუშაობდი. ამ შრომის თითქმის ბოლოში ვიყავი ჩასული, ამოვიდა არჩილ სულაკაური; არ მახსოვს, ვისთან ერთად იყო, მე მგონი, გურამი იყო ასა-თიანი და ედმონე ყიფიანი; არც ერთი აღარ არის დღეს ცოცხალი. ჰოოდა, არჩილმა შემომთავაზა, რომ იქნებ დავარქვათ ფრესკას "ფიროსმანის მონატრებაო". ჩემთვის, მართალი რომ გითხრათ, სახელწოდებებს არ აქვს დიდი მნიშვნელობა; დავეთანხმე, მით უმეტეს, ჭიქები გვეჭირა ორივეს ხელში და ძნელი იყო არ დავთანხმებულიყავი. ასე დავრქვა სახელი ამ ფრესკას.

სამხატვრო ფონდის სამხატვრო საბჭომ სამუშაო 25 000 მანეთად შეაფასა, გააფორმეს ოქმი. ხელშეკრულებაზე ხელი უნდა მოსაწეროს ბუხრაშვილმა; გაფშიკა ფეხი, სასტიკი უარზეა.

- ამდენს არ მიცემ, რას ჰქვია 25 000!

უარყო სამხატვრო საბჭოს დადგენილება:

- ალბათ იქ ძმაბიჭები იყვნენ მისი, ჩანყიბლიდ იყო საქმე!

ოფიციალური წერილით მოითხოვა, სხვა სამხატვრო საბჭომ შეაფასოს ნამუშევარი - მხატვართა კავშირისა. მაშინ მხატვართა კავშირის პრეზიდიუმში იყვნენ ელენე ახვლედიანი, სერგო ქობულაძე, ლადო გრიგოლია, უჩა ჯაფარიძე - მართლა პრეზიდიუმი იყო. ეს ბებერი ხალხი ჩასხეს ავტობუსში და აიყვანეს მამა-დავითზე ფრესკის სანახავად. ბუხრაშვილის წერილი ისეთი ფორმით

იყო დანერილი, რომ სამხატვრო საბჭოს წევრები წინაწინ იყვნენ აღმფოთებულები - ვიღაც ახალგაზრდა მხატვარმა უნდა მიიტაცოს ამდენი ფული, რატომ უნდა მოითხოვოს (მე არაფერი მომითხოვია), ვინ არის ეს თავხედი? სხვათა შორის, განსაკუთრებით გაბრაზებული იყო ელიჩკა ახვლედიანი, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ვუყვარდი - რა არის ესო, მე მისგან არ მოვევლიდი ამა-სო... დავხედი იქა, ძალიან მოეწონათ, ბევრი მაქვს და მკონესც:

- კიდევ შეიძლება მომატება, ისეთი ნამუშევარია!

ბუხრაშვილი მაინც ციფ უარზეა: - არ ვაძლევ!

რამდენჯერმე მივედი, არ მიმილო; ბოლოს დერეფანში მელაპარაკა ძალიან უხეშად.

ქალაქის თავი იყო მაშინ და იმდენი მანვალა, იმდენი მანვალა, რომ ბოლოს მხოლოდ ნახევარი მომცა თანხისა. მე ვუთხარი: "კაცო, ამ ხალხმა შეაფასა ასე, მე ხომ არა, და ეს არის ოფიციალური დოკუმენტი..." არაფრით არ მომცა, რაც მე-კუთვნოდა.

შემდეგ მაგ ნამუშევარში საკავშირო სახელმწიფო პრემია მივიღე - 5 000 მანეთი - და რაღაცნაირად ამინაზლაურდა, რაც მაშინ ბუხრაშვილმა დამაკლო.

7 ნოემბერი იყო, 6-ში გამოუცხადებიათ ტელეწიგბით. მე არ გამგია, მაშინვე იყო ძალიან ავად.

დღლაადრიან ორი შავი მაქანით ორი სუკის თანამშრომელი მომადგა შინ - უნდა წამოხვიდო. "ვერ წამოვალ, ხომ ხედავთ, რა დღეშიც ვარ..." - არაო, უნდა უქვეყლად წამოხვიდე, ბატონ ედუარდ! უნდა, მოგილოცოსო, - ლამის ხელები გადამიტრიალდა. რაღა მქენა, ჩამსვეს მანქანაში... ტროტუანზე ამიყვანეს, მომილოცეს. იქვეა ბუხრაშვილიც, იმანაც მომილოცა პრემიის მონიჭება. მე ძალიან მწარედ ვუთხარი - თქვენი ერთი ხელმოწერა ღირს-მეთქი ამდენი და ჩემი წელნიად-ნახევრის ნამუშევარში ძალიან გაგიჭირდათ ამ თანხის გაღება-მეთქი. მწარედ ვუთხარი, აღარ არის ცოცხალი და იქნებ აღარც არის საჭირო ამის გახსენება, მაგრამ ღირსი იყო.

ფუნიკულიორის იმავე შენობაში ასეთივე ზომის მეორე დარბაზიც არის, ანალოგიური კედელია და თენგოზ მენთეშაშვილმა (იმ დროს ლოლაშვილის მაცვირად უკვე ის იყო თბილისის საქალაქო კომიტეტში) ძალიან მოხუცა, იქნებ თბილისობის თემაზე ფრესკა გააკეთოო. პირველი თბილისობა ჩატარებული იყო, ძალიან კმაყოფილები იყვნენ თავიანთი მოგონილი ახალი დღესასწაულით და ამ თემაზე მოხოვეს ფრესკის გაკეთება. კი, გავაკეთე "თბილისობის" ესკიზი, მაგრამ, მართალი რომ გითხრათ, ის მაინცდამაინც არ მაქმაყოფილებდა; ვითრიე ფეხი, იმდენი ვითრიე, რომ ბოლოს აღარ გავაკეთე. ესკიზი დარჩა, ის შეიძინა ხალხთა მეგობრობის მუზეუმმა. ეე იყო და ეე...

1997 წლის 27 ნოემბერი.



რედაქცია, თბილისი

უდიდესი სიზმარი

რესპუბლიკის მოედანი, მისი ფუნქცია და მნიშვნელობა, ხელისუფლებისა და საზოგადოების დამოკიდებულება ქალაქის განაშენიანების პრობლემებისადმი - ამ და სხვა საკითხებზე საუბრობენ

ხელოვნებათმცოდნე დიმიტრი თუმანიშვილი, არქიტექტორი ვატო ლეჟავა, პოეტი რატი ამალოშელი. საუბარს უძღვება დათო მალრადე.

დათო მალრადე:- გაზეთ "24 საათის" დამატება "დედაქალაქის" ბოლო ნომრებში დაიბეჭდა მასალები რესპუბლიკის მოედნის შესახებ. ჩვენ აღვნიშნავდით, რომ საბჭოურ ეპოქაში, ნებისმიერი სახლი იქნებოდა, ქუჩა, გზა თუ მოედანი, შე-რაცხული იყო საერთო გამარჯვების, წარმატებისა თუ გიგანტური ნაბიჯებით წინსვლის სიმბოლოდ. იქმნებოდა ფსევდოფასეულობები და ფსევდონარმატებებს მუდამ თან ახლდა ფსევდოხობტა-დღეება. გა-მორიცხული იყო, განხორციელებუ-ლიყო სახელისუფლებო შეკვეთა და მერე ეს საერთო აღტაცების საგანი არ გამხდარიყო. ჩემი აზრით, ასე მოხდა კონკრეტულად რესპუბლიკის მოედანთან დაკავშირებითაც. თუმცა,ჩემი აზრი ახლა არ არის გა-დამწყვეტი; მე, უბრალოდ, უფლება მაქვს, ასე მივიჩნიო. არაერთხელ მომისმენია არქიტექტორების აზ-რიც. ისინი საესკებით მეთანხმებოდ-ნენ და ვფიქრობდი, რომ საჯარო-დაც იტყოდნენ სათქმელს. რამდენიმე მათგანმა თავი შეიკავა კოლე-გიელობის გამო, ადამიანური ურ-თიერთობების გამო. ჩემთვის ესეც გასაგებია... დღეს შევიკრიბეთ ის ადამიანები, ვისაც შეგვიძლია აზ-რის საჯაროდ გამოთქმა. ოღონდ არ მინდა, რომ საუბრისას მხოლოდ რესპუბლიკის მოედნით შემოვი-ფარგებო. უბრალოდ, იგი, ჩემი აზ-რით, არის ერთგვარად სიმბოლო ისტორიულ ნაწილში უხეში ჩარევი-სა და მძვლეობა, რომ ამ ადგილას შექმნილიყო მოედანი, რისი აუცი-ლებლობაც, თავისთავად, საეჭვოა. ეს არის ერთ-ერთი მკაფიო კამოე-ლინება ტენდენციისა, რომელმაც წარმოშვა რიტუალური წარმოდგე-ნი. იგივე შემთხვევა ვიქნა დღევან-დელი კანცელარიის შენობაზე, რო-მელიც სოლოლაკის საუცხოო გარე-მოში კულტურაზე ძალადობის სიმ-ბოლოდ აღიქმება. როგორი დისო-ნანსიც შეიტანა ფორმით ამ ნაგებო-ბამ შესანიშნავ ძველ უბანში, ისე-თივე დისონანსი შეიტანა საზოგადო-ების ცხოვრებაში ამ შენობიდან გა-მოსულმა მსოფლმზგდევლობამ და ტენდენციებმა. დღეს ამ თემაზე სა-უბრის მიზეზი არ არის მხოლოდ მა-შინდელი გაფუჭებული საქმის გამო გულისტკივლი. მინდა, ზაზახსმით ვთქვა: ეს ტენდენცია გრძელდება და ამიტომაც არის ჩვენი წუხილი აქტუალური; სხვაგვარად ჩვენი მხრიდან ესოდნე მძაფრი რეაქცია, შეიძლებოდა, ადეკვატური აღარ ყოფილიყო. მაგრამ დღეს წაყრუე-ბის უფლება არა გვაქვს, რადგან ხსენებული ტენდენცია არ დამცხ-რალა და ხელისუფლების ნაქეზე-ბით ახალი ძალით გრძელდება.

დიმიტრი თუმანიშვილი:- ბო-ლო ათი-თხუთმეტი წლის განმავ-ლობაში ჩვენი ცხოვრების უცნაუ-რობათა შორის ერთი, გვონებ, მოე-ლეწა-ხდომილებათა კალეიდოსკო-პისებრი ცვალების თანმდევად არ-სებობის სიმდორის განცდაა. თით-ქოს რაღაც პლანტა და წვობიან ბურუსში წინ ნაბიჯი ვერ წავიდე-გამს და თუ ემოძრაობთ - ნელა, უმიზნოდ და უმიმართულებოდ. უამურ სიზმარივით შემანუხელები და უთავებოლა ბოლოჟამინდელი ჩვენებული აღმშენებლობაც.

ხშირად ამბობენ, თითქოს უშნო, ზორბა ნაგებობების მომრავლება, მათი "შემოჭრა" ჩვენი დედაქალა-ქის ძველ უბნებში და სხვ., კერძო მფლობელობამ მოიტანა, თითქოს საბჭოურ ხანაში ცენტრს არ ხელ-ყოფდნენ. არა მგონია, ეს მართლაც ასე იყოს. ნიშანდობლივ ჩვენშიც ხომ მრავლადაა ძველი განაშენიანე-ბის მიმართ, ასე ვთქვათ, "თაბამი" დამოკიდებულების მაგალითები - თავი რომ დავანებოთ სასახლის ქუ-ჩის დანგრევას, ახლანდელი ლესე-ლიძის ქუჩისა და თავისუფლების მოედნის გაფართოებას (ეს, დავუშ-ვათ, აუცილებლობით იყო გამოწვე-ული), შეგვიძლია გავისხენოთ თუ-გინდ ჯერ კიდევ 1930-იან წლებში XIX საუკუნის საქრესტომათიო მე-ნობების, ეგრეთ წოდებულ "გუმბერ-ნატორის სახლისა" და "მუხრანის ქუჩის სახლის" განადგურება, მეტე-ხის ხიდის კვანძის გავერანება, რი-ყის ალბა... ეს არცაა გასაკვირი: ყველასათვის ცნობილია, რომ XX საუკუნე, მეტადრე მისი პირველი ნახევარი, ყველაფერი ძველისადმი მეკეთრად უარყოფითი დამოკიდე-ბულებით გამოირჩევა, რომელიც სრულებითაც არ შემოიფარგლება ყოფილი სსრკ-ით. მაშინდელი "ახა-ლი არქიტექტურის" (დიდი ხანია ყავლგასულის!) უნიჭიერესი წარმო-მადგენლებიც კი "პროგრესის", "ფუნქციურობის", "რაციონალუ-რობის" და ა.შ. სახელით ძალიან იოლად იმეტებდნენ წინანდელ ნა-შენს, ღირებულად აშკარა შედევ-რებს თუ მიიჩნევდნენ. პოზიტიუზ-მითა ანდა ტექნიციზმ-ურტიკიზმით ნასაზრდოები ეს მიმართება წარსუ-

დამისის, მამადავითის ეკლესიის-თ-ვის გარჯილი მამუკა ორბელიანის ქალის ალექსანდრას ფოტოსურა-თებს; მათ გვერდიგვევრდ კი ამ კედ-ლებში გაზრდილი რევაზ თარხან-მოურავის ნამუშევრები ეკიდა... ხუ-როთმოძღვრულადაც ღირსშესა-ნიშნავი იყო იგი: "ტფილისურ გემო-ზე" ევროპულ-აზიური ელემენტე-ბით შეზავებული, ეზოს ხისსაკეტე-ბიანი და ქუჩისკენ გადაკიდებული ლითონის აივნებით, რიკულებიანი კიბეებით, შეისრული თაღებით განწყობილი დარბაზებით, ნახარა-ტევი კარებით...

ახლა ამ სახლისა და მოგვარებუ-ლი კუთხის სანაცვლოდ ოდინდელი გზობის სამონაჭრების უაზრო შე-ნაკრებია. შეგვრჩა კი: არა, მოედანი უთუოდ არა - ეს ხომ მოგვარებული, სულ ცოტა სამხხრივ მოფარგლული სივრცე უნდა იყოს. აქ კი - ცალი მხარე სრულებით იღია; მეორის ერთ კუთხეზე ერთმანეთისგან ყო-ველნაირად განსხვავებული სას-ტუმრო "ივერია" და ტელეგრაფია მათ შორის მოქცეული დავით აღმა-შენებლის ძეგლითურთ, ხოლო მო-პირდაპირე კუთხე საქართველოს გამაზრის მორკალვითაა გახსნილი; მესამე მხარე - ზემონახსენებ თა-ღებს უჭირავს, ერთიხეც - სამი ქუ-ჩის გადაკვეთაა, მათ ზაზებს მიყო-ლილი მოძცრო სახლებით.

არქიტექტორების წრეში ზოგნი მოსწრებულად ამბობენ, ეს აივა-ნიაო. ერთობ მოუხერხებელი კი, რადგან ზამთარში ამ იმეიათად ქა-რიან ადგილას სიცოვე არ გაგაჩე-რებს, ზაფხულში კი მზე ისე აცხუ-ნებს, შეიძლება ერთი ბოლოდან მე-ორმდე სული არ მიგვევს; ერთია მხოლოდ - წელიწადში სამჯერ-თიხერე მოკრიბებულ ცაზე მყინ-ვარწვერი გაშოიხაკვებთა ხოლმე; თქამ ეს გმეწნეირი სანახავი, რა თქმა უნდა, სხვაგნითაც იხილვება... ყველაზე მეტად ეს - გზაა, თუმცაღა მანქანები ვერ ავსებენ ამ რკინა-ზე-ტონის "ველს".

მოგვიგებენ, ალბათ, რაღა დროს ამაზე საუბარიაო. იქნებ ასეც იყოს! მაგრამ მიაქციეთ ყურადღება ამ "მოედნის" ზოგად მახასიათებლებს: პიპერტროფერებული ზომები (რად გვინდა, აბა, ამოდენა თავშესაყრე-ლი ადგილი ჩვენს პატარა ქვეყანა-ში? სიგრძე-სიგანით როდია, ბატო-ნებო, ჩვენი სამშობლო "უსასრუ-ლობის შემცველი მხარე"!), ამის გა-მი კი - გარემოში უბოდიშო შეჭრა; შინაარსობლივი სიფუტუროვე - რა უნდა საზეიმო მოედანს სასტუმ-როს, ფოსტასა და საცხოვრებლებს მისი უფლები, აგრესიულობა ადრე შექ-მნილის მიმართ - არცთუ დიდად და-ფარული მიზანი ხომ მთელი მიმდე-

ბარე მოშენების მოსპობა იყო (მახ-სენდება წინადადება - ქუჩების ჩვენს ნებაზე "გასწორებაში" უნი-ვერსიტეტი გვიმღის"-ო!).

განა ეს ის თვისებები არაა, რომ-ლითაც გვზარავს მთანმინდის კალ-თებს, ავლაბარს, სოლოლაკს, ფიქ-რის გორას, ჩუღურეთს მოდებული ულაზათო ახმახები? ჩემი აზრით, ისინი სწორედ ამისა და მისგვარი, განხორციელებულ-განუხორციე-ლებელი არქიტექტურული მონა-ფიქრების ნაბარტყია - "პოსტ-სამ-ჭოური" და სრულებითაც არა "ახა-ლი". ან რომელ "ახლებურობაზეა" საუბარი, თუკი ლამისაა მთელ მსოფლიოში აღარავინ ეცეოხს, რომ ყველაფერში, სოფლის მეურნეობი-დან ხუროთმოძღვრებამდე, მხო-ლოდ ხელთუქმნელი თუ ხელთქმნი-ლი გარემოს შენარჩუნებას დამყა-რებულ "მდგრად განვითარებას" აქვს მომავალი; რომ ფსიქოლოგიუ-რად, კულტურულად, ეკონომიკუ-რდაც კი დაუშვებელია გავწნოთ ისტორიულად ჩამოყალიბებული, საკუთარი სახის მქონე გარემოცვა; რომ ნამდვილი წინსვლა "მემკვიდ-რობის დაცვით" თუ წარიმართება. ამას იმიტომ არ მოგახსენებთ, ესაო-და, ინგლისურად ასე წერენო - ისე, ვერც როდის გამეგო და არც ახლა მესმის, რა საბუთია რისამე სიკეთი-სა, ესა ან ის "ცივილიზებული", "მო-წინავე" და ა.შ. (თავად ათასნაირი უკუღმართობითა და ცოდვით დამ-სიმბეზულ!) ქვეყნებში აშმაწრად არი-სო, - სწორი და მართებული რომაა, იმის გამო. იმიტიმაც კიდევ, რომ როგორც არასდროს, არ აქვს ჩვენში დღეს "შენდობა შინაურ მღვდელს". თორემ ქართველმა ხელოვნებათმ-ცოდნეებმა ეს ყოველივე ჩვენი მას-ნავლებლებისგან ათწლეულების წინ შევითვისეთ და მთელმა ქართ-ველივც ჯერ როდის მოისმინა ილიასგან, ნამყოდან ამოზრდელ ან-მყოს ძალუქსო მხოლოდენ მყობა-დის აღმოშობა.

ჯერჯერობით კი ჩვენი არქი-ტექტორ-შემგნებლები კვლავაც 80-90 წლის "სიახლეთა" დროშით უტე-ვენ იმას, რაც დრო-ჟამმა დაინდო. რასაკვირველია, ნიჭიერებიც გვყავს, მათი გვეიმედება კიდევ მაგრამ დღესდღეობით ისინი ჯერ ვერ ცვლიან საერთო ვითარებას და მაინც უბრუნდებიან გარემოს ნან-დახან თვალი გაჩეყული "მოდერნუ-ლობისკენ"...

ამ მიზეზითაც არის, ასე ხშირად რომ წაგავს ჩვენი ყოფა გაუთავე-ბელ, უღიზღამო სიზმარს.

ვატო ლეჟავა:- რესპუბლიკის მოედანთან დაკავშირებით გაზეთში დაბეჭდილი მასალების გაცნობამ მაფიქრებინა: უკვე ათ წელიწადზე მეტია, რაც აღარ არსებობს საბჭო-თა კავშირი და ძალიან სამწუხაროა, რომ იგი ვერ კიდევ ცოცხალია და სა-

ვალი ადამიანის გულსა და გონება-ში. ეს ჩემთვის ყველაზე მეტად დამ-თრგუნველი ფაქტია. მეორე მხრივ, მოხარული ვარ, რომ მრავალი ადა-მიანის გულსა და გონებაში ეს ქვე-ყანა, ეს რეჟიმი აღარ არსებობს. ამის დასტურია გაზეთის ფურც-ლებზე გამართული დისკუსია, სა-დაც შეგვიძლია, გამოვთქვათ სრუ-ლიად განსხვავებული, თუნდაც არაპოპულარული მოსაზრებები. რაც შეეხება ჩვენს დღევანდელ შეხ-ვედრას, რესპუბლიკის მოედანი ნამდვილად იმდენად არის საინტე-რესო, რამდენადაც შეიძლება ამ თემის გაერცობა და განზოგადება, რადგან გრძელდება ტენდენცია, რომლის შედეგადაც შეიქმნა ხსენე-ბული მოედანი. სამწუხაროა, რომ დღემდე არავის უცდია ამ ტენდენ-ციისა და ამ დამოკიდებულების რე-ვიზია. დღეს რეალურად, საუბარი გვინევს იმაზე, რომ არსებობდა ეპოქა, როცა ძალაუფლებით აღ-ჭურვილი რამდენიმე პირი იღებდა გადაწყვეტილებებს, რომლებიც აშ-რიორულად იყო მიჩნეული ყველაზე სწორ, სამართლიან და მიზანშეწო-ნილ გადაწყვეტილებებად. რასაქ-ვირველია, ყოველთვის გამოინახე-ბოდა ადამიანთა ის ჯგუფი, რომე-ლიც ამ იდეებს განახორციელებდა. შემდეგ ეს ორი ჯგუფი ერთმანეთს მიუღოცავდა მიღწეულ წარმატებას და რატომღაც მიაჩნდა, რომ აღტა-ცების ამ ყოვილ-ხივილს მთელი სა-მომავალიც უნდა აჰყოლოდა. ეს, სამწუხაროდ, განსაკუთრებით და-მახასიათებელი იყო ქალაქმშენე-ლობისათვის. ამის მაგალითია რეს-პუბლიკის მოედანი, რომლის იდეა ალბათ წარმოშვა მოსაზრებამ, რომ რესპუბლიკის დედაქალაქში უნდა არსებობდეს მოედანი, სადაც შე-სამდებელი გახდებოდა ჩატარება ისეთი რიტუალური ღონისძიებეი-სა, როგორიც იყო, ვთქვათ, სამეფ-ნოებშიო და საპირველმისო დე-მონსტრაციები. დაკვეთა წარმოქმ-ნა არა საჭიროებამ, არამედ ხსენე-ბულმა იდეამ და შემდეგ მოინახა გზა მის განსახორციელებლად.

დღეს ეს სარიტუალო ღონისძიებე-ბი, საბედნიეროდ, წარსულს ჩაბარ-და, ამ მოედნის, - რომელსაც პლაცს დავარქმევდი - ამ სამხედრო პლა-ცის არსებობამაც დაკარგა აზრი; დადასტურდა, რომ თავის დროზე მიღებული გადაწყვეტილება და გა-დანყვეტა გაუმართლებელი იყო. მაინ ვერ გაუძლო დროის გამოცდას. დღეს მოედნის ნაცვლად რეალუ-რად შეგვრჩა გაგანიერებული სატ-რანსპორტო დერეფანი, რომელიც ეჯახება საკმაოდ ვიწრო, თბილისის ამ უზნისთვის დამახასიათებელ ქია-ჩელისა და ახვლედიანის ქუჩებს, რომლებიც მოედნის ქვეშ არსებუ-ლი სივრცისგან განსხვავებით, გა-მოირჩევა ხალხმრავლობისა და სა-

ზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტე-რირები. რეალურად, ეს მოედანიც კი არ არის. ფუნქციურობის თვალ-საზრისით, ეს არის გარკვეული პლატფორმა, რომელიც სატრანს-პორტოდ გამოიყენება. ფეხმავლე-ბის არსებობა იქ, სამწუხაროდ, არა-ვის შეუმჩნევია, არც მოედანზე და არც მის ქვემოთ. ალბათ უნდა ითქ-ვას, რომ მთავარი იდეა ვერ გან-ხორციელდა. ცალკე მსჯელობის საგანია ის, თუ რა დაზიანდა, რა გა-ფუჭდა. გინდ ჩათვალოთ, რომ მი-ზანი ამართლებს საშუალებებს, მა-ინც ვერ ვიტყვით, რომ მიზანი მიღ-ნეულია. რაღაც გაფუჭდა, მაგრამ სანაცვლოდ შედეგს ვერ მიაღწიეს. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ქა-ლაქის ცენტრში არის დიდი სივრცე, სადაც მომავალში შესაძლებელია, რაღაც მოხდეს. განვლილმა პერი-ოდმა დაადასტურა, რომ არაფერი არ მომხდარა, გარდა იშვიათი აღ-ლეუმებისა და იშვიათი მიტინგებისა. კიდევ ერთხელ დასტურდება მო-საზრება, რომ ეს მოედანი კი არა, მარშირების პლაცია, რომელსაც ალბათ ყაზარმის წინ უფრო ეკუთვ-ნის ადგილი, ვიდრე ქალაქის ისტო-რიულ ნაწილში.

რატი ამალოშელი:- საესკებით გეთანხმებით და ალბათ გამოვდი-ვარ წმინდა სუბიექტური, ესთეტი-კური მოსაზრებიდან, რომელიც არის მოქალაქის პოზიცია, და ამდე-ნად, არ არის ხელნაშოსაკრავი. XXI საუკუნეში არ შეიძლება მოქალაქის პოზიცია იყოს ხელნაშოსაკრავი. წარმოუდგენელია, რომ 1500-წლო-ვანი ისტორიის ქალაქში (ამას არ ვამბობ პათეტიკის გამო), ქალაქის ცენტრში, იდგება პლაცი, რომელ-საც არაფერი აქვს საერთო იმ ისტო-რიულ ფლერადობასთან, რაც უნდა იყოს შენარჩუნებული ამ ქალაქში; არაფერი აქვს საერთო იმ ამბიციას-თან, რაც რეალურად გააჩნია ამ ქა-ლაქს და ასახულია სიმღერებში, ლექსებში, ქალაქის ისტორიისადმი და მისი სიყვარულისადმი მიძღვნილ სახელოვნებო სივრცეში. ჩვენი ქა-ლაქი რეალობაში არაფრით არ ამართლებს ამ სიყვარულს, ამ დამო-კიდებულებას. მივდივართ იმ კონე-ლიტამდე, რომელიც არის, ჩემი აზ-რით, ქართული ფსიქოლოგიის კონ-ფლიქტი, რეალურსა და იდეალურს შორის ძალიან დიდ ზღვარს რომ დებს; რეალური და იდეალური აბ-სოლუტურად განცალკევებულია, ერთმანეთს აცდენილია და მესხვის წერტილები აღარ რჩებათ. ჩემთვის არსებობს ორი თბილისი: თბილისი ჩემს წარმოდგენაში, ნაკითხულ წიგ-ნებში, თბილისი, რომელიც მიყვარს და თბილისი, რომელშიც რეალური პროცესები მიმდინარეობს და განს-ხვადება ჩემი საყვარელი ქალაქი-საგან. გამანადგურებელი პროცესე-ბის ნათელი დასტურია რესპუბლი-



საქ. პარლამენტი, თბილისი

ქალაქური პროზა

დონ ჟუანი

ამ დღეებში ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ დასტამბა აკა მორჩილაძის ახალი რომანი "დონ ჟუანი". გთავაზობთ ფრაგმენტს ამ ნივნიდან.

აპა მოჩაილაძე
ხიფათის წამი! თუმც სიამაფე, ტკივილი, დარდი, ასე იცავდნენ, ვით მახვილი: ამოიხირა...
<i>ბაირონი, "დონ ჟუანი"</i>
გამომძიებელი

ღამით სასაფლაოზე შეიპარნენ ორიან, ქალი და კაცი.

დარაჯს თავის ფარდულში ეძინა. ღამე იყო მთვარიანი, უქარი, ცი-ცინათელუბიც გაილეგებდნენ ხოლმე. კაცი ორმოცისა იქნებოდა, ან ცოტა მეტისა, რუხ კოსტუმსა და მოხდენილ შავ შლაპაში, ხელში ათამაშებდა მონი-კელეზულ სანთებლას, რომელსაც მალამალ ჩამოჰკრავდა ხოლმე გზის გასაკვლევად. მაშინ, როცა მთვარის შუქი ვერ აღწევდა ტოტებს შორის.

ხელიხელჩაიდებული მიდიოდნენ, უფრო კი ქალს მიჰყავდა კაცი, ქალი ოცდათერამეტეი წლისა იყო და მთვარის შუქზე კრთებოდა მისი ტანის საესე და მაღიანი მოზაზულობა. ქალს თმა დაეყარცხნა ისე, როგორც პაემანზე მიმავალი ესპანელი ქალი ივარცხნის ხოლმე.

ისინი რესტორნიდან მოდიოდნენ, სადაც მშვენივრად ევაზშმათ და საკმაოდაც ეთქვათ ერთმანეთისთვის. კაცს თითქოს გაუკვირდა, როდესაც ქალმა უთხრა, ნავაზმშვეს სასაფლაოზე გავი-სეირნოთო. რომელ ქალს მოუდებდა შუალამის პირზე სასაფლაოზე გასე-ირნება. მაგრამ კაცი იცნებდა ქალს და თითქოს მიხვდა კიდევ, რომ ქალს მისი გამოცდა, გათამაშება სურდა.

მერე ტაქსში ჩასხდნენ და სასაფ-ლაოსკენ გასწიეს. ვერ ხედავდნენ მძღოლის შემცბარ თვალებს სარკეში, რადგან კაცმა ხელი გადაუსვა ქალს, რესტორანში ნასვამი წითელი იტალი-ური ღვინით გაცხელებულ ფეხზე. ბარძაყისკენ წავსარიალა თითები და სცადა წინდებს შიგნით ჩაეღწია. ქალ-მა პარდაში მიაკრა ბარძაყს, თითქოს კარი გადაეკეტა და კაციც აღარ მძა-ლუბია, მხოლოდ, მეორე ხელი მოხვია მხრებზე და სცადა ეკოცნა, ესეც საკ-მაო მომრდებთი. ქალმა კოცნაც აირი-და, ფანჯრისაკენ მიაბრუნა თავი.

ასე ისხდნენ მთელი გზა. კაცს რომელიმე საფლავის ქვაზე უნდა დაეკო თავისი რუხი პიჯაკი, ზედ გადაეწვნია ქალი და წელნელა გაესხნა მისთვის ღილეები მეკრდზე. უნდა გაე-გონა მისი კვნესა და კრტქუნი სასაფ-ლაოს სირემში. უნდოდა, ქალს ის მოელოდა გარცხნილობა უნდა გასწე-ვოდა და ფერუმარილი გადღაზნოდა ტურქებზე. ხელში ღონივრად უნდა სჭე-როდა მისი წვევები და თვალის კიდით დაეწახა მისი თეთრი ფეხსაცმლის წვე-ტიანი ქუსლი. კაცს უნდოდა ეგრძნო, როგორ მოძრაობს ქალის სხეული მის-თვის.

სასტუმროს ოთახში, ან სადმე სხვაგან ამ სურვილებს ვერ აისრუ-ლებდა, რადგან ერთია ძველი სასაფ-ლაოს ქვა, მეორე კი ზამბარებიანი ჭრილა საწოლი. ერთია, როცა ნიავე აგრილებს გახურებულ სხეულებს, მე-ორე, როცა ტაშტში უნდა დაიბანო, ის კი, ვინც წამის წინ კვალს ტოვებდა მქნს სხეულზე, ტელშიდან გისხამდეს წყალს ამ კვალის ნასამულედად.

და მაინც, კაცმა არ იცოდა, რა უნ-დოდა ქალს, რას შესთავაზებდა ქალი. ტაქსის მძღოლმა ერთი ჰკიდა თვალი ქალს და შეცბა. იფიქრა, რომ აზრი არა აქვს ასეთი ქალის სასაფლაოზე წაყვა-ნასო, არა იმიტომ, რომ ეს მიღებული არ არის, არამედ იმიტომ, რომ არ იცი, რას უნდა მოელოდე ასეთი ქალისგან.

რას გაუვლედ ღამის ტაქსისტებს, მათ ხომ იმდენი რამ უნახავთ სიბნე-ლეში, სხვას რომ არც დაესიზმრება.

ქალმა წინადღით ნახა კაცი, რომე-ლიც კაფეში იჯდა ვიტრინასთან, მაგი-

დაზე ალუბალჩარჩენილი მარტინის ჭიქა ედგა.

მზარეჭიანი კაცი იყო, ალესილი ნიკაპითა და ხშირი წარბებით, შავი თმა უკან გადაეყარა და სიგარას ეწყო-და. ქალს თითქოს ადრევე გადაეწყეი-ტა. კაფეში შევიდა და თითქოს თავი-სუფალი მაგიდის ძებნა დაეზარაო, ისე ჰკითხა:

შეიძლება? მეც მიყვარს ვიტრინას-თან ჯდომა.

შეხედრდა მეორე საღამოსთვის დათქვეს იქვე, მოედანზე, ჰერცოგის ძეგლის წინ. მაშინ იმ ძეგლთან ჯერ კი-დევე არ იკრიბებოდნენ ჰაშიმის გამ-ყიდვლები და მოკცანვე გოგო-ბიჭე-ბი, რომლებსაც ქვაფენილზე ფეხმორ-თხმით ჯდომა და ერთმანეთისთვის თვალეზში ყურება უყვართ.

კაცი ყვავილების გარეშე მივიდა, რაც ქალს ამკარად მოეწონა. სად უნდა ეთარა ყვავილები? მართლა შეცე-ლილხარო, უთხრა კაცმა.

"უკეთუბოსიკენ? გაიციან ქალმა. მსუბუქი საჭმელი დაუკვეთეს, ქა-ლი კი საკმაოდ მალე შეთვრა, თუმცა როგორღაც მორია თავს და მალევე იფხიზლა. კაცმა შეაშწინა, როგორ მო-ერია ქალი თავს, რათა მისი ნდობა სა-ვახშმო სუფრასთანვე არ გადაზრდი-ლიყო მღვრიე მოქმედებაში. შემთვრა-ლი ქალი ხომ მუხლით ცდილობდა მის მუხლებს შორის შეღწევას.

კაცი უწმძლის მესახზე უამბობ-და, რალაცას ყვებოდა ზანგური მუსი-კის შესახებ, აქებდა იქაურ თევზს და ოკეანის მოტანლი მარილიანი წყლის სურნელს. როცა თავს მორია, ქალმა მოუთხრო როგორ ცხოვრობდა. ისე არა, როგორც ჩვეულებრივ უამბობდა ხოლმე. კმაყოფილი ჩანდა თავისი ცხოვრებით, მაგრამ კაცი მიხვდა, რომ ეს კმაყოფილება დიდხანს არ გასტან-და, რადგან ქალი რალაცას დაეძებდა. სხვაგვარად, რაგომ მოუჯდებოდა გვერდით იმ კაფეში? კაცს ეგონა, რომ თავგადასავლების სურვილი ღამე არ-სებობს და მხოლოდ თვითონდაა ასე-ით, მოხეტიალე და მოგზაური, რო-მელსაც სურს, რომ ჩვეულებრივი პეე-მანი დაუწიყარ ღამედ გადააქციოს.

სასაფლაოზე ისეთი სირემე იყო, როგორიც არის ხოლმე ღამის სირემე ათასობით მეკდარს შორის. განა რა არის სასიამოვნო ღამის სასაფლაოზე? კაცი ფიქრობდა, რომ ქალი ღვინომ გა-ათამამა და ამიტომაც უშიშორად მოაბი-ჯებს საფლავებს შორის. ბილიტე მ-მაგალს თავადვე დაქანა სახელოზე, შეაჩერა, შემოაბრუნა და კოცნა და-უნყო.

ღლით, სასაფლაოს დარაჯი იგო-ნებდა, რომ თითქოს მოესმა რალაც ხმაური სასაფლაოს სიღრმიდან, ფა-რანზე აიღო, ჯოხიც და ძაღლიც წამო-აგდო, ახლომხალს ადგილები ძახი-ლით მიიარ-მოიარა კიდევ, მაგრამ ხმაური აღარ გამოერებულა და მშვი-დად დაბრუნდა თავის ჯიხურში.

გამოსაძინებლად მინ მიმავალმა ღამის ტაქსისტმა ბისტროში ახალ ამ-ბაგს მოჰკრა ყური, თითქოს ამ დღითი სასაფლაოზე მოკლული კაცი ეპოე-ნოთ.

ტაქსისტმა ეროზ-კვერცხი და შემ-წვარი ძეხვი ძლივს შეჭამა, ყავა აღარც დაუღლეია, ისე ჩაჯდა თავის მანქანაში და საპოლიციო დეპარტამენტის რუხი შენობისკენ გასნა.

მან უამბო გამომძიებელს, რომ წი-ნა ღამით, იტალიური რესტორნის სა-დარბაზო კართან აიყვანა წყვილი, რო-მელსაც სასაფლაოს მთავარი შესასე-ვლეის მორიახლოს გააჩერებია მან-ქანა. მან თქვა, რომ ქალი და კაცი მთე-ლი გზა ღუმდნენ და მხოლოდ ამოიხ-რვა და გახშირებული სუნთქვა თუ შე-მოესტებოდა ხოლმე, რაც გამომძიებ-ლისთვის გასაგები უნდა იყოს. ამის შემდეგ გამომძიებელი და მისი ორი თანამშემე პროზექტურისკენ გაუძღე-ნენ მძღოლს, სადაც თუთიის მაგიდაზე გვაბი ეცვნა.

დაჯერდნით ვერ ვიტყვი, თქვა მძღოლმა, ღამე იყო, იმ კაცს მაგი შლა-პა ესხურა. იერთი კი ჰგავს. თითქოს წი-კაპი ასეთი ჰქონდა. რუხი კოსტუმი ეცვა, ეს მაშინ დავინახე, როცა რეს-ტორნიდან გამოვიდნენ. ერთხანს ღამ-

პიონთან იდგნენ, ახლოახლოს, თვა-ლებში უყურებდნენ ერთმანეთს თუ რა იყო, არ ვიცი.

გამომძიებელმა კმაყოფილებით გადაისვა თავზე ხელი და ქალის შესა-ხებ ჰკითხა.

ზედმეტ სითამამედ ნუ ჩამომართ-მევთ და იმ ქალის ტანი არ დამავინე-დება. მომხიბველელი ქალი იყო, ქალს რომ უწოდებენ, სწორედ ისეთი. მანქა-ნის სალონში ბნელა, ამიტომ მისი თე-ძიები უფრო მახსოვს, ვიდრე იერი, უპასუხა ტაქსისტმა, მეკრდიც ზღაპ-რულად ედგა, თითქოს ყველაფერი სა-განგებოდ ვიწრო ეცვა და შზად იყო.

ამ დროისათვის გამომძიებელმა უკვე იცოდა მოკლულის ვინაობა. მისი პიჯაკი თის გულის ჯიბიდან ამოღებული საბუთებით დაედგინა მისივე ბოლო, მერიის არქივში აღნიშნული მისამარ-თი, და მისი ცოლის ვინაობა.

ცოლს ტელეფონით შეატყობინეს მომზადრის შესახებ, მან კი ოდნავ სეე-დიანი, მშვიდი ხმით უპასუხა, რომ შეიდ წელიწადზე მეტია არ უნახავს თავისი ქმარი, რომელთანაც კანონით გაყრილი არ არის, რადგან ერთ მშვე-ნიერ დღეს მინ დაბრუნებულს, ქმრის ნაცვლად გამოთხოვების წერილი და-უხვდა და ახლა სულაც არ აპირებს, მი-სი დაკრძალვის ხარჯების გაღებას. გამომძიებელმა შეახსენა, რომ მოკ-ლული საკმაოდ შეძლებული კაცი იყო, რასაც სმის საბანკო ანგარიშების შეს-ნავლა ადასტურებს, რადგან მისი რამ-დენიმე წიგნი მშვენივრად იყოღებოდა მიუღს ევროპაში და ბანკში ინახება მისი ანდერძი, რომელიც მომწეების და ნოტარიუსის თანდასწრებით უნდა გა-ისხნას და მას, როგორც საბუთებით მოკლულის მეუღლეს, შეუძლია დაეს-წეროს ამ აქტს.

ქალმა კიდევ უფრო მეტი სცვიდით მიუცო, რომ არ აინტერესებს ქმრის ალ-დერძი და წუხს, რომ იგი ასეთ ტრაგი-კულ ვითარებაში გარდაიცვალა, თუმც-ა, მისი ხასიათიდან გამომდინარე, ეს მოსალოდნელი იყო.

გამომძიებელმა სთხოვა ქვრივს, მეორე დღეს საპოლიციო დეპარტა-მენტში წსწევოდა ადგოკატთან ერთად, რადგან მასთან გასაუბრებლად მაინც აუცილებელი იყო.

სავარაუდოდ თქვენი ქმარი ქალმა მოკლა, უთხრა ცოლს.

ესეც არ არის მოულოდნელი, გაე-პასუხა ქვრივი და ყურმილი დაკიდა.

გამომძიებელი კი იტალიური რეს-ტორნისკენ გაემუქრა, სადაც მიმტა-ნებთან გასაუბრებას აპირებდა.

სწორედ ამ დროს განვიცდა და გა-მომძიებელმა იფიქრა, კარგი იქნებო-და, დღიით ლაბად წამომეღოო. გა-ზაფხული ხომ ასეთი ცვალებადი შე-მარებაა ამ განედლებზე. რახან ლაბად არ ჰქონდა, გამომძიებელმა კეპი ჩამო-იფხატა მელოდ თავზე, პიჯაკის საყე-ლოები წამოიწია და ტრამეაის გაჩერე-ბისკე გაიქცა.

მეფერი და უზრარლი რესტორანი იყო. მაგდგებზე მზიდსფერი სურფრები ეფინა და კლიენტების სიმრავლის მი-უხედავად, ხმაური არ იყო. გამომძიე-ბელი სამზარეულოსაკენ წავიდა და მენეჯერი იკითხა. მენეჯერი იტალიე-ლი გამოდგა, მზიარული კაცი, რომე-ლიც ხელეობს ქნეფით ლაბარაკობდა.

მიმტანებთან გასაუბრება კი გა-ჭირდა. არა იმიტომ, ყველანი იტალიე-რები გამოდგნენ, არამედ იმიტომ, რომ მოუცლელნი აღმოჩნდნენ. სწრა-ფად დაალოილეებდნენ მზზინავ ლან-გრებს მაგიდებს შორის. ყველაფერი სანელლებლის სურნელით იყო გაჯე-რებული. დაჭყლენტილი ზეთისილი ენყო ღრმა ლამაქებში და გარშემო ყველა კმაყოფილი ჩანდა, რადგან გა-ზაფხულის წვიმიანი საღამო იყო და იტალიური გზაშიმე და ღვინო ხომ მის-წრებაა ასეთ დროს.

გამომძიებელი დარბაზის სიღრმე-ში იჯდა ორადგილიან მაგიდასთან და მიმტანებს მოკლული კაცის ფოტოს უჩვენებდა. მიმტანები სულ შევიდნ იყ-ვნენ და მოიცლიდნენ თუ არა, მიდი-ოდნენ ამ მაგიდასთან. მეოთხემ გაიხ-ნა, რომ წინა საღამოს ენახებოებო-და ამ კაცს და მასთან ერთად მოსულ ქალს. მიმტანი პატარა კაცი იყო, ორ-

მოცდაათს მიტანებული, მოუსვენრად დაურობდა თვალები და უნდოდა ბეე-რი მოეთხრო, თუმცა იმდენიც არაფე-რი იცოდა. გაიხსენა, რამდენი აშუქეს ჩაისთვის, რა შეუკვეთეს და როგორ იქცეოდნენ. უშზიანი ქალი იყო, თუმცა, ქალი რომ ვყოფილიყავი, კაცისკენაც გამექცეოდა თვალიო. ძალიან შინაუ-რულად ლაპარაკობდნენ და ასეთ წყვილებს მაშინ თუ მიაქცევ ყუ-რადლებას, როცა ქალი მომხიბველ-ლიაო, თქვა. ისიც გაიხსენა, რომ ქალს მრგვალი, დაბალი ქუდი ესურა, ისიც მუქი მზინდფერი, და მეტად ნატიფი თითები ჰქონდა, რასაც ალისფერი მა-ნიკური ამშვენებდაო.

ახლა რომ ნახოთ, იცნობთ იმ ქალს? ჰკითხა გამომძიებელმა.

ვიცნობ, როგორ არა. შეიძლება ასეთივე იერის ქალმი ამერიოს, მაგრამ სხვათაგან ნამდვილად გამოვარჩეე. უშზიანი ქალი იყო, მეკრდი ჰქონდა, რომ შეიესებთან და ძალიან რომ უხდე-ბათ კორსეტი, მიუგო მიმტანმა.

გამომძიებელმა მეორე დღეს თორ-მეტი საათისთვის დაიბარა მიმტანი. რაც იცით, ქალადზე უნდა გადავტაე-ნოთ და თანაც, გეგე ახალი რამ მოხდე-სო. ერთხანს ორჭოფობდა, აქვე ხომ არ ვივახშმოო, მაგრამ წამოდგა და დაუმშ-ვიდობებლად გამოვიდა გარეთ. დაუმშ-ვიდობებლად წამოსვლა მისი ერთ-ერ-თი უცნაური ჩვევა იყო და დეპარტამენ-ტში ამბოღმაც ეძახდნენ ინგლისელს. თუმცა, ინგლისელს არაფერი უგაფდა ამ წვევის გარდა, არც მოქანცული კაცის შავი თვალები და არც მოკლე, მონღო-მებით ნარკენი შავი უღუამი.

გარეთ ცრიდა, ტოტქუარი ირეკ-ლივდა ღამპირნების სინათლეს. გა-მომძიებელმა დაინახა, როგორ გადმო-ვიდა სველი მანქანიდან ნაცნობი ტაქ-სისტი და ხელი დაუჭნია.

აჰ, თქვენ!

ჰო, მე აქ ვდგავარ ხოლმე, უთხრა მძღოლმა, ზედად როგორ წვიმს? ალ-ბათ იმ საქმეზე მოხვედით, არა?

დიახ, თქვენ მართალი იყავით. აქ ყოფილა ვილაც ქალთან ერთად.

მოხდენილი ქალი იყო, გაიხსენა ტაქსისტმა. სადმე მოპოვრებით ხომ არ მიბრძანდებოთ? ნაყიყვანთ.

არა, ფეხით გავივლი... ქუდი შეის-წორა გამომძიებელმა, მაინც უნდა და-მერეკა თქვენთვის. ზგალ თორმეტი სა-ათისთვის დეპარტამენტში გელოდე-ბით.

აჰ, შეიცხადა მძღოლმა, გამოძინე-ბას ვერ მოეხსნრებ. ცოტათი გვიან არ მოხერხდება?

არა, მეტად საჭირო საქმეა, მიუგო გამომძიებელმა და გამოეთხოვა, ქუჩა გადაჭრა და მოედნისკენ წავიდა. მო-ეხდნის სამხრეთით, იმ ქუჩაზე, სადაც ახლა ნიდერლანდული ყვავილების მა-ლაზიებია, მაშინ კი მხოლოდ ერთი საყ-ვავილე იყო, გამომძიებლის საყვარე-ლი ცხოვრობდა მეორე სართულზე, პატარა ბინაში.

ისინი კვირაში სამჯერ მაინც ხვედ-ბოდნენ ერთმანეთს და გამომძიებელს უყვარდა მასთან ერთად ყოფნა. მარ-ტოხელა, თავის მომვლელი ქალი იყო, რომელსაც ქმარი ანასოდეც ჰყოლი-და და სამაკლერო კანტორაში მუშაობ-და. ისეთი ქალი გახლდით, რომ დიდად არაფერზე აიტკიებდა თავს, მასთან ყველაფერი იოლი იყო და მათი შეხ-ვედრაც წარსულ ზაფხულს როგორ-ღაც ოოლად მოხდა. გამომძიებელი იმ კანტორაში მივიდა, რადგან მოხუცი დედისგან მემკვიდრეობით დატოვე-ბული ბინის გაყიდა გადაეწყვიტა.

ხომ არ გვევახშმმა? ჰკითხა ქალს, მესამე ვიზიტისას.

როდის?

თუნდაც დღეს, შესთავაზა გამომ-ძიებელმა.

ძალიან კეთილი შემოთავაზებაა თქვენგან, მაგრამ დღეს არ მცალია, უპასუხა ქალმა, არც ზგალ. გენბავთ, ზგე ვივახშმით ერთად, თქვენ როგო-რი სამზარეულო მოგწონთ?

მე კაცი ვარ, გაცვიანა გამომძიე-ბელს, ის სამზარეულო მომწონს, რო-მელც იმ ქალს მოუწონება, მე რომ მო-მენარა და ვახშმად დავპატყე.

გმონი, გაუვგებთ ერთმანეთს, გაე-ცინა ქალსაც.

ახლა გამომძიებელი ფიქრობდა, რომ ზაფხულში შევებულებას აიღებდა და სადმე სამხრეთისაკენ წაიყვანდა ქალს, ზღვის პირისაკენ.

წინა საღამოსაც შეხედნენ ერთმა-ნეთს და საერთოდ ჩვეულებად არ ჰქონდათ, რომ ზედიზედ დაეთქვათ პაემნები. გამომძიებელს არც კი დაუ-რეკავს მისთვის, იტალიურ რესტო-რანში ყოფნამ თუ გადასწყვეტინა მას-თან მოსვლა. იქაური სამზარეულოს სურნელმა გამოაფხიზლა და წამოიყ-ვანა აქეთ, სადაც ქალი ეგულებოდა. ასეთია ამ ქალაქების სული, ის მარ-თავს ადამიანებს, წვიმაშიც კი.

საყვავილე ჯერ კიდევ ღია იყო. გა-მომძიებელმა ყვითელი ყვავილების პატარა თაიგული იყიდა და ისე შევიდა სადარბაზოში. ამ ყვავილების სახელი არ იცოდა, მაგრამ ყოველთვის მოს-წონდა ისინი.

კარს იქიდან ხმადაბალი მუსიკის ხმა მოისმოდა. რადიო "შავ ვარდს" უკ-რავდა. გამომძიებელმა ჩვეული რიტ-მით დააკაუნა და მოაჯირს ჩამოეყრ-დნო. კარი არ გაულეს. გამომძიებელმა კვლავ დააკაუნა, ამჯერად უფრო მო-უჩივებლად, მაგრამ კვლავ არავინ ჩანდა.

ეტყობა სადმე წავიდა და რადიო-საც ამიტომ აუხია, გაიფიქრა კაცმა. მერე თაიგული კარის სახელურში გაუ-ყარა და კიბეს ჩამოუყვია.

მოხყვნილი წამოვიდა მოედნისაკენ და იქ ერთ კაფეში ძლივს იპოვნა თავი-ს სუფლიო სკამი. აღბათ წვიმის ბრალი თუ იყო, კაფეში რომ ამდენი ხალხი ირიოდა. დახლთან ვერ გავივლიდ, სა-პირფარეომედ მისვლაც კი ჭირდა. დართქილელ ვიტრინებს იქით არაფე-რი ჩანდა, უკვე ისედაც ჩამობნელებუ-ლიყო.

გამომძიებელმა ორმაგი ესპრერი შეუკვლია და სიგარეტი ამოიღო. წელა ეწყოდა. თითქმის არ სვამდა ყავას.

კარგი იქნებოდა, საღამოს გაზეთი მეყიდა, ღოლის წინასწარ ფსონებს მა-ინც ჩაუხედავდიო, გაიფიქრა გამომძი-ებელმა და სცადა კაფეში ახმინებული რადიოსთვის მიეგდო ყური. სიგარეტი რომ ჩაამთავრა, წამოდგა და ჩაზუთუ-ლი კაფედან გამოვიდა, იქვე იყიდა სა-ღამოს გაზეთი და საყვარლის სახლი-საკენ გაემუქრა.

აჰ, მოსულა, გაიფიქრა გამომძიე-ბელმა, როცა დაინახა, რომ კარის სა-ხელურში თაიგული აღარ იყო და ხა-ლისიანად დაკაუნა.

რადიოს ხმა აღარ მოისმოდა, მაგ-რამ კარიც არავის გაულია.

ჰეი, დაბარახუნა გამომძიებელმა, მე ვარ...

რა ამბავში ხარ?

კიბეზე ქალი ამოდიოდა, უკვე და-კეცილი სველი ქოლვა ეჭირა.

სად ხარ? მუუბღირა გამომძიე-ბელმა. უკვე მეორედ მოვედი.

სულაც არ გელოდი, შენთან რომ მოესულყავი ასე, დამხედებოდი? ზე-რეულად აკიცა ქალმა და კლიტეს გასა-ლები მოაჩოო.

ჩემი თაიგული სად არის? ნაიბურ-დლუნა კაცმა. წელან მოვედი და კარში თაიგული დავტოვე.

თაიგული?

ჰო, თაიგული.

ვილაცამ მოიპარა ჩემი თაიგული?

გაცივანა ქალმა. რა სისუფლეა.

თაიგული დავტოვე. რადიო კი "შავ ვარდს" გადმოსცემდა.

რადიო გამორთულია, თქვა ქალმა და ქოლვა მიაყუდა საკიდთან. რა გჭირს?

უცნაური, თქვა გამომძიებელმა და ჰოლში გაჩერდა.

მოიხადე ეგ ქუდი და დამშვიდდი, დიდი ამბავი, ვილაცამ ბოროტად იხუმრა და თაიგული მოიპარა. ბორო-ტების მეტი რა არის ამ ქალაქში?

და "შავი ვარდი"? დაიოხნა კაცმა.

არ ვიცი, აღარ ვიცი, ეგებ სულ სხვა მხრიდან მოდიოდა ეგ ხმა.

ეგ შენი პროფესია გაგაგიყუბეს, თქვა ქალმა. გაიხადე.

აჰ, წამო წავიდეოთ სადმე.

აჰ, მე უკვე ვივახშმე. თან, სად წა-ვიდეთ ამ წვიმაში?

თუნდაც, ოპერეტაში, ან თეატრში სადმე, ანდა კინოში.

არა, არა, გაიხადე მეტიო, უთხრა ქალმა, მე ვვახშმებ. მაქვს რალაცები, ვთქვათ სალმონი. ახლავე შევწევე ღვინოში.

გამომძიებელმა ქუდი მოიხადა და თქვა:

რალაცით ოჯახს გვავართ. რალა-ციო.


ოჯახის რა გაგეგება? სამზარეუ-ლოდან გამოსძახა ქალმა. რა იცი ოჯა-ხის?

მახსოვს, როგორ მოდიოდა მამაჩე-მი შებნელებულს, თქვა გამომძიე-ბელმა და საგარძელში ჩაჯდა. სალა-მოს გაზეთი მაქვს. ზეგინდლი დღოის ფსონებს შევათავალიერე.

</

თბილისის კარიბჭე - მომავალი „მანჰეტენი“?!

S O S



სასტუმროების კვადრი

აეროპორტის გზატკეცილი დედაქალაქის უმნიშვნელოვანესი მაგისტრალია, რომელსაც პირდაპირ ფუნქციასთან ერთად იდეოლოგიური დატვირთვაც გააჩნია. ამ ტრასით შემოდის ჩვენი ქვეყნის ყველა რანგის სტუმარი. ეს გზატკეცილი დედაქალაქის კარიბჭეა. არქიტექტორმა ვახტანგ დავითიამ პრობლემაზე მსჯელობის დასაწყებად საკუთარი საპროექტო წინადადება შესთავაზა საზოგადოებას, რომელიც ტექნიკური უნივერსიტეტის პირველ კორპუსში შეიკრიბა.

დალი კუპრაძე

აეროპორტიდან ცენტრისკენ. ანუ როგორ ეგებება დედაქალაქი სტუმარს

ორი უინტერესო, პროვინციული აეროპორტის შენობა. შემდეგ 6-7 კილომეტრის გაყოლებაზე ღორებითა და ქათმებით მოფენილი გზა, მარჯვენა მხარეს “ხრუშჩოვები”-გაზიფიკაციის სოციალიზმის ხანის არქიტექტურული ძეგლები, გამოფენილი სარეცხი, გარეთ გამოყრილი ძველი საყოფაცხოვრებო ნივთები...

მასპინძელს უხერხულობისგან შეწებადებს ხედი იხსნის და სტუმრის ყურადღებას იქით მიაპყრობს. პირველი შთაბეჭდილება ამ ტრასაზე იქმნება, რომლის წაშლაც ქართული სტუმართმოყვარეობით და ცეკვა-სიმღერით ძნელია.

დღეს აეროპორტის ტრასა დამთრგუნველად უსახურია. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია გზის ის მონაკვეთი, რომელიც მოშენებულია 8-სართულიანი ტიპობრივი სახლებით. შენობათა არქიტექტურულ უსახურობას ემატება მოზინადრეთა საქალაქო ცხოვრების არაადეკვატური ნესიც.

არანაკლებ დამთრგუნველია ტრასის ამ მონაკვეთის მარცხენა მხარეც, რომელზეც სასაწყობო და სამეურნეო შენობების სრული ქაოსია.

პრობლემა - საჰაერო ჭიმკარი

მავანი იტყვის, რა დროს “კარიბჭეა”, იმდენი პრობლემა მოსაგვარებელი.

საჰაერო ჭიმკრის პრობლემა არ არის მხოლოდ არქიტექტურული, ეს უფრო იდეოლოგიური, პოლიტიკური, ან, სულაც, ეროვნული ღირსების პრობლემაა.

“მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ თბილისის შემთხვევაში, პრობლემა არა იმდენად ფინანსურ-ეკონომიკურია, რამდენადაც მსოფლმხედველობითი და ორგანიზაციული - ეს ხელისუფლების მხრიდან მისი მნიშვნელობის შეუფასებლობაა. ტრასის დღევანდელი სახე შეურაცხყოფს ჩვენს ეროვნულ ღირსებას და უარყოფითად მოქმედებს მის პრესტიჟზე” - ამბობს ვახტანგ დავითიამ.

მისივე თქმით, დავითიამ არქიტექტორთა საზოგადოება მოიწვია არა იმდენად საპროექტო წინადადების ავტორიანობის განსაზღვრულად, რამდენადაც პრობლემის მნიშვნელობაში გასარკვევად და საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციისათვის.

რას გვთავაზობს საპროექტო წინადადება

ძალიან მოკლეც, ეს არის მომავალი თბილისის “მანჰეტენი”. უფრო დაზნერობით კი გათვალისწინებულია:

აეროპორტის ტრასის მარჯვენა მხარის, რეკონსტრუქციის ტიპობრივი საცხოვრებელი სახლების “გაქვითილობა” ახალი ფასადის მიშენებით; ახალი მოცულობითი ჩანართები, საცხოვრებელი სახლების 875 მეტრიანი “ფარდის” ცალკეულ სეგმენტებად გასარღვევად; საპროექტო წინადადებით “ფარდა” განცვეტილია ახალი მოცულობებით. არსებულ სახლებს მიშენებული აქვს ახალი ფასადები, რომლის კონცეპ-

ტურული დებულებაა უარის თქმა აივნებზე. არქიტექტურული თემა კი “დამსხვილებულია” და ითვალისწინებს ტრანსპორტიდან ჩქაროსნული ალქმის სპეციფიკას.


ტრასის მარცხენა ნაწილი, “საზოგადოებრივი ჯგუფი” ტრასის 850 მეტრიანი მონაკვეთის მოპირდაპირე მხარეს წარმოადგენს. დაპროექტებულია სამი ჯგუფი: ბიზნესცენტრი, სასტუმროები, საგაჭრო ცენტრი.

“საზოგადოებრივი ცენტრის” მთელი ტერიტორიის მინის ქვეშ დაპროექტებულია 2-3 სართულიანი მინისქვეშა სივრცე, რომელიც უზრუნველყოფს ზედა მოცულობების სრულ სავსელობაზე ავტონომიურობას (მანქანების სადგომი, სასაწყობო მეურნეობა, საინჟინრო უზრუნველყოფის სათავსოები და სხვა). აქვე შეიძლება განთავსდეს კლუბები, ტრენაჟორები, საცურაო აუზები. დიდი შესაძლებლობაა ზედა და ქვედა სივრცეების ერთობლივად გააზრების, სათავსოთა პირველი სინათლით განათებისა და ინსოლაციის.

არქიტექტურამ თბილისის გარეუბნებში უნდა გადაინაცვლოს

არქიტექტორ ვახტანგ დავითიას დაანგარიშებით, ერთი სახლის ფასადისთვის საჭიროა 360 000-420 000 ამერიკული დოლარი.(!)

რესპუბლიკის და ქალაქის ხელმძღვანელობა ამ საპროექტო წინადადებას იცნობს: “ორჯერ იყო შეხვედრა მერიაში, მერის დონეზე. ესწრებოდნენ ვიცე-პრემიერი, ქალაქის მთავარი არქიტექტორი, ძველი და ახალიც. ბოლო შეხვედრა ერთი თვის წინ შედგა”-თქვა არქიტექტორმა. მათთან შეხვედრაზე აღინიშნა, რომ პრობლემა არსებობს და ეს დღეს თუ ხვალ გასაკეთებელი საქმეა. საპროექტო წინადადებასაც პროექტამდე დიდი გზა აქვს გასავლელი. შეხვედრების შემდგომი დასკვნა კი ასე უღერს “ფული არ არის!” თუმცა ვახტანგ დავითიამ იმედოვნებს, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში გაითვალ-



ბიზნესცენტრი

ლისწინებენ სახსრებს ტრასის გაქვითილობილებისთვის.


შეხვედრაზე არქიტექტორმა ასმათ რაზმად აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება საერთო რეგიონული სივრცის პროექტად უნდა განიხილებოდეს, ვინაიდან თბილისი ოდითგან იყო სამხრეთ კავკასიის კულტურულ-პოლიტიკური ცენტრის საფუძვლი ბარათი. ამდენად განხორციელების ხარჯიც უნდა გასცდეს ქალაქის ფარგლებს.

“რაც შეეხება რეალიზაციას, ეს რა თქმა უნდა არ არის ერთი და ორი წლის საქმე. მის განხორციელებას განსაზღვრავს კერძო კაპიტალის დინამიკები. არსებობს ხელსაყრელი გარემოებები: აეროპორტის სიახლოვე, ჩქაროსნული ტრასა, მეტროს სადგური და საკმაოდ იაფი მიწის ნაკვეთი, სადაც დღეს განთავსებულია ბარაკის ტიპის სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები. მთელმა მსოფლიომ “მოთხოვნის” პერიორიენტაცია გააკეთა და ამით იხსნა ისტორიული ქალაქები არქიტექტურული აგრესიისგან”-თქვა დავითიამ. მართლაც, როგორ უნდა შეჩერდეს კერძო კაპიტალი, როგორ უნდა შეჩერდეს თბილისის არქიტექტურული ინტერვენცია.

ყველა ქვეყანა თავისი ისტორიის უმნიშვნელოვანეს ფაქტებს არქიტექტურით აღნიშნავდა-ტრიუმფალური თაღებით, თაღისკეპებით, საუნივერსიტეტო კომპლექსებით და ხშირად ახალი ქალაქის დაარსებითაც კი.

არქიტექტორი ვახტანგ დავითიამ საქართველოს დამოუკიდებლობის აღნიშვნას “დედაქალაქის კარიბჭით” სთავაზობს საზოგადოებას და ამ საკითხზე მსჯელობას იწყებს.


რედაქცია ეთანხმება მოსაზრებას, რომ არქიტექტურამ გარეუბნებში უნდა გადაინაცვლოს. რაც შეეხება ავტორისეულ კონცეფციას ქალაქის კარიბჭისთან დაკავშირებით და შემოთავაზებულ პროექტს, ეს ცალკე განსჯის თემა და ამაზე შემდგომ.



გერეგმა



კულტურის ცენტრი



საცხოვრებელი სახლის ფასადი

წერილი რედაქციას

“დედაქალაქის” რედაქტორს ბატონ დათო მადრაძეს

განცხადება

ჩვენ, დილის მასივის მე-9 კვარტლის მე-10 და მე-11 კორპუსების მაცხოვრებელი გათხოვნი განიხილოთ ჩვენი განცხადება.

მოგახსენებთ, რომ ჩვენი კორპუს-

სების გვერდით (დაახლოებით 15 მეტრის მოშორებით), ახლა უკვე ყოფილ საბავშვო მოედანზე, შენდებიან მანქანათა ტექნოსახურების (როგორც შენებლები გვეუბნებიან) დიდი კომპლექსი. მოთხოვნაზე, გვაჩვენონ ნებართვა შენებლობის შესახებ, მხოლოდ უხეშ უარს ვღებულობთ. ამის გამო ზუსტად არ ვიცით,

ვინ აშენებს და რას. მოყვანილია დაცვა და შენებლობა სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს.

როგორც მოგახსენეთ, შენებლობა მიმდინარეობს საბავშვო მოედნის ადგილას, რომელიც ჩვენი კორპუსის ბავშვებისათვის გართობისა და დასვენების ერთადერთი ადგილი იყო. იმის გარდა, რომ ჩვენს

ბავშვებს აღარ ექნებათ სათამაშო ადგილი, ეს შენებლობა ეკოლოგიურად და ტექნიკურად (კორპუსებთან სიახლოვის გამო) მიზანშეწონილი არ მიგვაჩნია.

გულითადად გათხოვნი გაითვალისწინოთ ჩვენი ბავშვების, მოზლების, მაცხოვრებლების თხოვნა და შეძლებისდაგვარად დაგვეხმაროთ

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრაში.

განცხადებას ერთვის 17 ხელმოწერა

განცხადებას უერთდება აგრეთვე მე-9 კვარტლის მე-17, მე-16, მე-15 და მე-14 კორპუსების მაცხოვრებლები.

■ ■ ■
რედაქციისაგან: დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობას ვთხოვთ, განიხილოს დილის მასივის VI კვარტლის X-XI კორპუსების მაცხოვრებელთა განცხადება, გაითვალისწინოთ მათი მოთხოვნა და პასუხი რედაქციას აცნობოთ.


მარიონეტული პანთეიზმი

როდენის ქართული მემკვიდრის ახალი რომანი



"ბედნიერებას ნებისმიერ წამს უნდა მოელოდა"

ავტობიოგრაფიული ჩანაწერებიდან



ხორხე ლუის ბორხესი

ვინმემ რომ მკითხოს, რა არის თქვენი ცხოვრების უმთავრესი მოვლენაო, იმნამსვე მამაჩემის ბიბლიოთეკას დავუსახელებ. ასე მგონია, ახლაც იქა ვარ, იმ სამყაროში, თვალდახუჭულსაც შემოძლია მისი დახატვა: ეს იდუმალი ნავსაყუდელი შემინულ კარადებთან ოთახში იყო განთავსებული და რამდენიმე ათასეულ ტომს ითვლიდა. ახლომხედველი ვარ და საგრძნობლად მიჭირს ადრინდელ ნაცნობთა სახეების გახსენება (ის კი არადა, ბაბუაჩემზე, ასევედომე როცა ვფიქრობ, მისი სიკვდილი რადგან თვალნირი და არა თვითონ), ჩემბერსისა და ბრიტანულ ენციკლოპედიათა გრაფიურების უმრავლესობას კი ქვეყნად ვერაფერი დამავიწყებს.

"ჰეკლბერი ფინი" იყო პირველი ნაწარმოები, რომელიც ბავშვობაში წავიკითხე. მას "კალიფორნიის დაუფინყარი დღეები" მოჰყვა, შემდეგ - კაპიტან მარიეტის თხზულებანი, უელსის "პირველი ადამიანები მთვარეზე", დიკენსის, პოს და ლუის კეროლის ნაწარმოებები, ლონგფელოს ერთტომეული, "განძთა კუნძული", "დონ კიხოტი", "ტომ ბრაუნის სკოლის წლები", ძმები გრიმები, ამჟამად სრულიად მივიწყებული "მისტერ ვერდანიტ გრინის თავგადასავალი", ბერტონის მიერ თარგმნილი "ათას ერთი ღამის" ზღაპრები. მოგეხსენებათ, ეს შესანიშნავი ნაწარმოებები უწმანურებისა და უხამსობის განსახიერებად იყო მიჩნეული, მეკრძალებოდა მასთან მიახლოება და მეც მალულად ვკითხულობდი, ჩვენივე სახ-

ლის სახურავზე მიყუჩებული... ჩემთვის უცნობი, ჯადოსნური სამყარო მიტაცებდა. ვფიცავ, რაიმე დასაძრახს ვერც კი ვამჩნევდი, ზღაპრებს ვკითხულობდი ფრთაშესხმული, ეს იყო და ეს, სხვა არაფერი მაინტერესებდა. ყველა ეს წიგნი ინგლისურ ენაზე წავიკითხე და მერე, როცა "დონ კიხოტს" ორიგინალში გავეცანი, მომეჩვენა, რომ უფარგის თარგმანს ჩავკირკიტებდი. კარგად მახსოვს გარნიეს გამომცემლობის პატარა წითელი ტომები, მოხდენილი და ოქროს ნატიფიფიანი. ერთი ხანობა რაღაც ცვლილება მოხდა მამაჩემის ბიბლიოთეკაში და როცა ამ წიგნის სხვა გამოცემა წავიკითხე, ისეთი გრძნობა დამეფულა, თითქოს ეს არ იყო ნამდვილი "დონ კიხოტი". მოგვიანებით, ერთ-ერთმა მეგობარმა მაჩუქა გარნიეს მიერ გამოცემული წიგნი, ჩემთვის ნაცნობი გრაფიურებით, შენიშვნებითა და მცდარ ბეჭდილებით. ყველა ეს დეტალი ნაწარმოების განუყოფელი ნაწილი იყო ჩემთვის, მუდამ ასეთად წარმომედგინა ნამდვილი "დონ კიხოტი".

ესპანურ ენაზე მაქვს ნაკითხული ედუარდო გუტიერესის თხზულებანი თავზეხელაღებული ყაჩაღებზე (მათ შორის საუკეთესოდ "ხუან მორიერას" დავასახელებდი), მისივე "სამხედრო სილუეტები", სადაც მთამბეჭდავად იყო აღწერილი პოლკოვნიკ ბორხესის აღსასრული. ისიც უნდა ვთქვა, რომ დედაჩემმა ამიკრძალა "მარტინ ფიეროს" გადაკითხვა, ეს წიგნი მხოლოდ უწლოვან ხულოგნებს თუ გაიტაცებს, თანაც ჭეშმარიტ გაუზოგებზე არ მოგვითხრობს. მისი ასეთი გან-

წყობა იმით აიხსნებოდა, რომ ერნანდესი როსასის მიმდევარი გახლდათ, ანუ მტერი ჩვენი უნიტარი წინაპრებისა. ცხადია, ამ წიგნსაც მალულად ვკითხულობდი. მოგვიანებით გავეცანი სარმიენტოს "ფაკუნდოს", გარდა ამისა, ნაწარმოებებს ძველბერძნულ და სკანდინავიურ მითოლოგიაზე. აი პოეზია კი, ინგლისურად წავიკითხე: შელი, კიტსი, ფიცჯერალდი, სუინბერნი. ყველა მათგანზე ჭკუას კარგავდა მამაჩემი, ზეპირად ახსოვდა მათი ლექსებისა თუ პოემების საკმაოდ ვრცელი მონაკვეთები და ციტირებაც უზომო სიამოვნებას ანიჭებდა.

სხვათა შორის, მამაჩემის თითქმის ყველა წინაპარი და ნათესავი ლიტერატურის დიდი სიყვარულით გამოირჩეოდა. მისი ბაბუის ბიძაშვილი, ხუან კრისოსტომო ლაფინური ერთ-ერთი პირველი არგენტინელი პოეტი იყო, ავტორი ოდისა გენერალ მანუელ ბელგრანოს აღსასრულზე. მამაჩემის ბიძაშვილი, ალვარო მელიან ლაფინური, რომელსაც მეც კარგად ვიცნობდი, აგრეთვე პოეტი გახლდათ და მოგვიანებით არგენტინის ლიტერატურის აკადემიის წევრადაც აირჩიეს. მამაჩემის ბაბუა დედის მხრიდან, ედუარდ იანგ ჰეიზლემი, არგენტინაში ერთ-ერთი პირველი ინგლისური გაზეთის ("სამხრეთის ჯვარი") გამომცემელი, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა თუ ლიტერატურის (კარგად არ მახსოვს, რომლის) დოქტორი იყო. ოქსფორდსა და კემბრიჯზე ხელი არ მიუწვდებოდა, ამიტომაც მიაშურა გერმანიას. როგორც ამბობენ, მთელი კურსი ლათინურ ენაზე გაიარა და იქვე მიენიჭა ეს ხარისხი. საბრალო, თუ არ ვცდები, პარანაში გარდაიცვალა. თავად მამაჩემს დანერგილი აქვს რომანი "კაუდილიო", ენტრე-რიოსის პროვინციის ისტორიის ამსახველი, რომელიც 1921 წელს გამოაქვეყნა კუნძულ მაიორკაზე. აგრეთვე დანერა (და გაანადგურა) ნარკვევების წიგნი, ასეთივე ბედი არგუნა აღმოსავლურ მოთხრობათა კრებულს, "ათას ერთი ღამის" სტილში შექმნილ არცთუ ურიგო ნაწარმოებს. გარდა ამისა, დანერგილი აქვს დრამა "გზა არსაითკენ", შვილზე გულაყრილი კაცის ტრაგედიას რომ ასახავს, არგენტინელი პოეტის ენრიკე ბანჩის მიზაძვით გალექსილი სონეტები. ბავშვი ვიყავი, მამაჩემი როცა დაბრმავდა; ჩვენი ოჯახი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მისი გზა მე უნდა გამეგრძელებინა. მსგავსი რწმენა კი, უბრალო სურვილსა თუ ოცნებაზე გაცილებით ძლიერია. სხვა გზა არ მქონდა: მწერლობას ვერსად გავმეტოვდი!

1937 წელს პირველად მოვეწყვე ე.წ. "მუდმივ სამსახურში". იქამდე უმნიშვნელო ლიტერატურულ მოღვაწეობას ვწევოდი: ვთანამშრომლობდი ჟურნალ "კრიტიკის" რაღაც გასართობ, უგემოვნოდ ილუსტრირებულ დამატებაში; პოპულარულ ყოველკვირეულ გამოცემაში, რომელსაც რატომღაც "კერა" ეწოდებოდა, თვეში ორჯერ ვამარაგებდი უცხოურ წიგნებზე დანერგილი

რამდენიმეგვერდიანი რეცენზიებით და ამ წიგნების ავტორთა ბიოგრაფიებით; გარდა ამისა, ვწერდი ტექსტებს სხვადასხვა ქრონიკებისთვის და გამოცემები ფსევდონიმურ ჟურნალს "ქალაქი", ბუენოს-აირესის კერძო მეტროპოლიტენის სარეკლამო ორგანო რომ იყო ფაქტიურად. ამ ყველაფერში ძალიან ცოტას მიხდიდნენ, მე კი, უკვე იმ ასაკში გახლდით, კარგა ხნის წინ რომ უნდა დამენყო წვლილის შეტანა საოჯახო ბიუჯეტში. შემდეგ მეგობრები დამეწმარნენ და მიველ კანეს ბიბლიოთეკის ფილიალში მონაწყვეს პირველი თანაშემწის მოკრძალებულ თანამდებობაზე. ბიბლიოთეკა ძალიან შორს იყო ჩემი სახლიდან, ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ერთობ უღიმღამოსა და მოქუფრულში. იმ სამსახურში ჩემსაზე დაბალი თანამდებობებიც არსებობდა, მაგალითად, მეორე და მესამე თანაშემწისა, პირადად მე კი დირექტორს და მის სამ მოადგილეს ვემორჩილებოდი. ჯერ თვეში ორას ათ პესოს მიხდიდნენ, მერე ორას ორმოცი დამინიშნეს. უნდა გითხრათ, რომ ზემოაღნიშნულ თანხებს სამოცდაათი-ოთხმოცი აშერიკული დოლარი შეესაბამება.

ბიბლიოთეკაში ძალიან ცოტას ვმუშაობდით. ორმოცდაათი თანამშრომელი თხუთმეტიოდე კაცის საქმეს ვინაწილებდით. ოც ადამიანს საბიბლიოთეკო ფონდის კლასიფიკაცია და კატალოგების შედგენა გვევალებოდა. ბიბლიოთეკას იმდენად ცოტა წიგნები ჰქონდა, იოლად ვახერხებდით მათ მიგნებას და არასოდეს მიგვიმართავს იმ გულდასმით შემუშავებული სისტემისათვის, ურომლისოდაც, წესით, ფონს ვერ უნდა გავსულიყავით. პირველ დღეს თავი გამოვიდე და შესაშური გულმოდგინებით ვიმუშავე, მეორე დღეს კი ერთმა კოლეგამ განზე გამიხმო და შემარცხინა, თქვენი ასეთი სიბეჯითით ორმოც ვკითხვითო. თურმე ნუ იტყვით, კატალოგიზაცია მხოლოდ იმიტომ ნამოუწყიათ, ხალხისთვის საქმე რომ გაეჩინათ, მე კი ჩემი კეთილსინდისიერი მუშაობით ლუკმა-პურს ვაცლიდი ხელიდან ადამიანებს. იმნამსვე პატიოსნად ვღაიარე, რომ სავალდებულო ასი დასახელების კლასიფიკაციის ნაცვლად, ოთხასიოდეს გავართვი თავი. თქვენ თუ ასე გააგრძელებთ, დირექტორი ძალიან გაბრაზდება და ჩვენც უფუნქციოდ დავრჩებითო, შემომჩივლეს კოლეგებმა. ბოლოს შევთანხმდით, რომ ერთ დღეს ოთხმოცდასამ წიგნს დავამუშავებდი, იმის მომდევნოს - ოთხმოცდაათს, მესამე დღეს კი ას ოთხი წიგნის დამუშავების უფლება მეძლეოდა.

ცხრა წელი გავლიე ამ ყოფაში, მძიმე და გაუხარელი წლები... იქ მამაკაცებს ძირითადად დოლი, ფეხბურთი და უხამსი ისტორიები აინტერესებდათ. ჩემი იქ მუშაობის პერიოდში ერთ ქალზე ძალაც კი იხმარეს, როცა ის ტუალეტისკენ მიდიოდა. მაგრამ ეს არავის გაკვირვებია, ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან ქალებისა და მამაკაცების ტუალეტები ამ შენობაში ერთმანეთის გვერდითაა განთავსებული, გაიძახოდნენ. ერ-

თხელაც ორმა დარბაისელმა და კეთილმოსურნე ქალბატონმა, მომინახულა, აინტერესებდათ რა სახის სამუშაოს ვასრულებდი ბიბლიოთეკაში. ორიოდ დღის შემდეგ დამირეკეს ამ მანდილოსნებმა და ისეთი რამ მითხრეს, რაც არასდროს დამავიწყდება: "თქვენ, შესაძლოა, მოგწონდეთ კიდეც ეგ სამუშაო, მაგრამ გაზეთდევთ და პირობას ჩამოგართმევთ, რომ ერთ თვეში სხვა სამსახურს მოიძიებთ, სადაც ცხრაას პესოს მაინც გადაგიხდიან". პატიოსანი სიტყვა მივეცი, რომ სურვილს უთუოდ შევუსრულებდი. მთელი ამ სიტუაციის კომიკურობა იმაში გახლდათ, რომ იმ ხანებში საკმაოდ ცნობილ მწერლად ვიყავი მიჩნეული, ჩემს კოლეგებს კი ჯერ არაფერი სმენოდათ ამის შესახებ. მახსენდება, როგორ გაოცდა ბიბლიოთეკის ერთი თანამშრომელი, როდესაც ენციკლოპედიაში ვინმე ხორხე ლუის ბორხესს გადააწყდა, რა უცნაურად ემთხვევა თქვენი და ამ კაცის სახელები და დაბადების თარიღებიო. დროდადრო, მთელი ამ წლების განმავლობაში მუნიციპალურ მუშაკებს მატეს ორფუნქტიანი კოლოფით გვაჯილდოვებდნენ და ნებას ვკრთავდნენ, ეს სიმდიდრე სახლში წაგვეღო. ასეთ დღეებში, სალამოობით, როცა ფეხით გავდიოდი ათიოდე კვარტალს ტრამვაის გაჩერებამდე, ძალიან მიჭირდა ცრემლების შეკავება: ეს სამარცხვინო მოწყალება ხაზს უსვამდა ჩემი არსებობის უბადრუკობასა და ამაოებას.

თითქმის ყოველდღე, ტრამვაიში, გზად სამსახურისკენ თუ შინისაკენ, საათობით ჩავკირკიტებდი "ლეთაებრივ კომედიას". "სალხინების" უკეთ გასაგებად ჯონ ეიტკენ კარლელის პროზაულ თარგმანს მივმართავდი, დანარჩენს თავად ვუმკლავდებოდი, სამსახურში კი "საბიბლიოთეკო სამუშაოს" დილით ერთ საათს ვანდომებდი, შემდეგ სარდაფში, ანუ წიგნსაცემი ვიძურწვდი და დარჩენილ ხუთ საათს წერაკითხვაში ვატარებდი. ასე წავიკითხე ედუარდ გიბონის "ნგრევა და დაცემა", ვისენტ ფიდელ ლოპესის მრავალტომეული - "არგენტინის რესპუბლიკის ისტორია", ლეონ ბლუა, კლოდელი, გრუსაკი და ბერნარდ შოუ, მაბო-კვირას კი ვირჯინია ვულფს და ფოლკნერს ვთარგმნიდი. ერთ მშვენიერ დღეს თავბრუდამხვევ ზეასვლასაც მივაღწიე, მესამე მოადგილედ გადამიყვანეს.

ერთხელ დედამ სამსახურში დამირეკა და შინ მისვლა მთხოვა. მეც სასწრაფოდ დავეთხოვე უფროსობას. მამაჩემს აგონია დასწყებოდა, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე დამიხვდა სახლში მიჭრილს. მამა 1938 წელს გარდაიცვალა და იმავე წლის შობის წინა დღეს თავად მეც ძლივს გადავეურჩი სიკვდილს: კიბეზე სწრაფად ავდიოდი, უცებ ვიგრძენი, რომ ვიღაცამ სკალპი ამხადა... ფანჯრის ახლად შეღებილ საგდულს მივჯახებოვარ თავით. პირველად დახმარება კი აღმომიჩინეს, მაგრამ ჭრილობა გამიხადა და მთელი კვირა არ მომიხუჭავს თვალი, მაღალმა სიცხემ და ჰალუცინაციებმა გამანამა. ერთ საღამოსაც ენა წამერთვა. მაშინვე

საავადმყოფოში გამაქანეს, იქ კი გამოირკვა, რომ საოპერაციო ვი-ყავი. მალე სისხლის მონამვლა დამეწყო, მთელი თვე ვებრძოდი სიკვდილს (მოგვიანებით ეს ყველაფერი დანვრილებით აღვწერე მოთხრობაში "სამხრეთი"). როდესაც გამოჯანსაღება დავიწყე, გულში შიში შემეპარა, სულ იმას ვფიქრობდი, ნეტა გონება არ დამიქვეითდეს-მეთქი. მასხოვს, დედა ხმამალა მიკითხავდა ლუი-სის წიგნს "მდუმარე პლანეტადან". ერთი ხანობა ვერც კი ვუსმენდი, ბოლოს დამიყოლია, თავს ძალა დავატანე და... ორიოდე გვერდის მოსმენის შემდეგ ავტირდი. მიზეზი მკითხა. "ვტირი იმიტომ, რომ მესმის", ვუპასუხე. მაინც ველღავდი, არ ვიცოდი, შევძლებდი თუ არა ოდესმე წერას, მანამდე კი საკმაოდ ბევრი ლექსი და არცთუ ცოტა რეცენზია მქონდა დანერილი. დარწმუნებული ვიყავი, რომ თუ შევეცდებოდი რეცენზიებზე მუშაობას და ხელი მომეცარებოდა, ეს მართლაც მიწასთან გამასწორებდა, მაგრამ თუ ისეთი რამის შექმნას შევეცდებოდი, რაც ადრე არ შემიქმნია და ამასაც ვერ გავნდებოდი, ეს დარტყმა ნაკლებად მძიმე აღმოჩნდებოდა ჩემთვის და, ალბათ, ახალი აღმავლობისთვისაც მომამზადებდა. ამიტომ მოთხრობის დაწერა განვიზრახე და ასე გაჩნდა "პიერ მენარი, ავტორი დონ კიხოსისა".

"პიერ მენარი", ისევე როგორც მისი წინამორბედი - "მიახლოება აღმუთასიმთან", დროებითი ნავსაყუდელი აღმოჩნდა ესეიდან ჭეშმარიტ მოთხრობამდე მიმავალ გზაზე, თუმცა წარმატებამ მაინც გამამხნევა და უფრო ამბიციური რამის შექმნაც გავზედე: "ორბის ტერციუსი" იყო ნაწარმოები ახლად აღმოჩენილ სამყაროზე, რომელსაც საბოლოოდ უნდა განედევნა ამჟამინდელი. ორივე მოთხრობა, "მენარიცა" და "ტერციუსიც" ვიქტორია ოკამპოს ჟურნალში დაიბეჭდა. კვლავ განვაგრძობდი მუშაობას წიგნსაცემში, ზოგჯერ კი, თუ ამინდი ხელს შემინყობდა, ბიბლიოთეკის ბრტყელ სახურავსაც არ ვინუნებდი. კოლეგები აღმაცერად მიყურებდნენ, ვერ გაეგოთ, რატომ გაუფრბოდი ხმაურიან თავყრილობებს.

კაფკას მოტივებზე შექმნილი მოთხრობა "ბაბილონის ბიბლიოთეკა" ჩაფიქრებული იყო როგორც კომმარული ვარიანტი ჩვენი მუნიციპალური ბიბლიოთეკისა და ამის გამო ტექსტის დეტალებს სულაც არა აქვთ რაიმე სიმბოლური მნიშვნელობა. ამ მოთხრობაში წიგნებისა და თაროების ჩემ მიერ დასახელებული რაოდენობა ზედმინევით თანხვდება იმას, რასაც მთელი ცხრა წელი შევყურებდი. კრიტიკოსები თავს იმტვრევდნენ ამ ციფრებზე და ხელგაშლით აჯილდოებდნენ მისტიციზმით. "ლატარია ბაბილონში", "სიკვდილი და ბუსოლი", "ნანგრევებში" - ყველა ეს მოთხრობაც მოპარულ სამუშაო საათებში დაიწერა. სხვებთან ერთად ეს ნაწარმოებებიც შევიტანე წიგნში "განტოტვილ ბილიკთა ბალი", რომელიც ხელახლა გამოიცა 1944 წელს სხვა სათაურით: ახლა მას "გამონაგონი" ერქვა. ეს წიგნი და მოთხრობების კრებული "ალეფი", ვფიქრობ, ჩემი საუკეთესო ქმნილებებია.

1946 წელს ქვეყნის სათავეში მოვიდა პრეზიდენტი, რომლის სახელის ხსენებაც არ მსურს. მალე მაუწყეს, რომ "დანიზურებული" გახლდით, ინსპექტორის თანამდებობა ებოძებინათ ჩემთვის -

ქალაქის ბაზრებში ჩიტებითა და ბაჭიებით ვაჭრობის კონტროლი მევალებოდა. საქმის გასარკვევად მერიას მივაშურე: "უცნაურია, რომ უამრავ თანამშრომელს შორის გამომარჩიეს და მაინცდამაინც მე მხვდა წილად ასეთი პატივი!" - მაშ რა გეგონათ? - მომიგო ვილაც მოხელემ, - თქვენ ხომ მოკავშირეთა მომხრე იყავით, სხვას რას ელოდით? მივხვდი, რომ ამ საქმეს აღარაფერი ეშველებოდა, მეორე დღესვე დავტოვე ბიბლიოთეკა. მეგობრები იმწამსვე დაირაზმნენ და გამოსამშვიდობებელი სადილი გამიმართეს. წინასწარ სიტყვაც კი მოვამზადე, მაგრამ ვიცოდი, თავად ვერ შევძლებდი მის წაკითხვას და ჩემს მეგობარს, პედრო ენრიკე ურენიეს ვთხოვე დახმარება.

ახლა, ჩემი ასაკისა და მიუხედავად, სულ მუდამ ვფიქრობ უამრავ ლოდზე, რომელთა გადაბრუნებაც ვერ მოვასწარი, და ისეთებზეც, კვლავაც სიხარულით რომ შევეჭიდებოდი. ვიმედოვნებ, ვიხილო მორმონთა ქალაქი იუტა, სადაც ბავშვობაში მარკ ტვენისა და კონან დოილის წყალობით "ვიმოგზაურე"; სიამოვნებით მოვივლიდი ისლანდიას, ტექსასსა და შოტლანდიას კი ხელმეორედ ვენცეოდი.

სამოცდათერთმეტი წლის ასაკში მუხლჩაუხრელად ვშრომობ და საინტერესო იდეათა ნაკლებობასაც არ ვუჩივი. გასულს წელს მოვამზადე ლექსების კრებული "Elogio de la sombra" ("წყვდიადის ხოტბა"). მასში მხოლოდ ახალი ლექსები შევიტანე, სპეციალურად ამ გამოცემისთვის დანერილი. ძირითადი იდეა ამ კრებულისა, რომელიც რამდენიმე ლექსშია გაცხადებული, ეთიკის სფეროს მიეკუთვნება, აქ ვერ ნახავთ რელიგიურ თუ ანტირელიგიურ მიკერძოებას. თქვენც კარგად იცით, "წყვდიადი" სიბრმავესაც რომ გამოხატავს და სიკვდილსაც. "Elogio"-ს ლექსებს ყოველ დილას ვკარნახობდი ეროვნულ ბიბლიოთეკაში ერთ-ერთ თანამშრომელს. როცა ეს სამუშაო გავასრულე, გადავწყვიტე არასოდეს მეღალატა ამ წამოწყებისთვის და ახლა მოთხრობების კარნახს შევუდექი. 1953 წლიდან მოყოლებული ახალი მოთხრობები აღარ დამეწერა და გულით გადავერთე საქმეში. კრებული, რომელიც "El informe de Brodie"-ით ("ბროუდის შეტყობინება") დავასათაურე, შეულამაზებელი, მარ-



ბუენოს აირესი, 20-იანი წლები.

ტივი თხრობის მოკრძალებული ცდაა. მთელი ხუთი წლის მანძილზე შეუსვენებლივ ვეჩიჩინებოდი ამ წიგნზე დიდსა თუ პატარას. ახლახან დავამთავრე მუშაობა კინოსცენარზე "Los otros" ("სხვები"), სიუჟეტი ჩემია, სცენარს კი ადოლფო ბიომი კასარესთან და ახალგაზრდა არგენტინელ რეჟისორ უგო სანტიავოსთან ერთად ვწერდი. ამჟამად, სადილის შემდგომ საათებში, ჩემთვის სასიხარულო საქმითა ვარ დაკავებული: სამი წელია, რაც საკუთარი მთარგმნელი მყავს და ერთად ვთარგმნით ჩემს ნაწარმოებთა ტომეულებს ინგლისურად, ენაზე, რომლის გამოყენების ღირსადაც თავს არა ვთვლი... ისე კი, არაერთხელ მინატრია, რომ ინგლისური ჩემი მშობლიური ენა ყოფილიყო...

განზრახული მაქვს საინტერესო სამუშაოს წამოწყება: ეს,

ალბათ, იქნება მთელი რიგი არამეტყნიერული, პირად აღქმაზე აგებული ესეებისა დანტეს, არისტოსა და შუა საუკუნეების სკანდინავიურ სიუჟეტებზე. გარდა ამისა, მსურს შევადგინო "ლალი" კრებული, სადაც თავს მოვუყრი საკუთარ აზრებსა და ესთეტიკურ შეხედულებებს, მახვილსიტყვაობის უამრავ ნიმუშს. შემდეგშიც რაიმეს მოვიფიქრებ: ბევრი ამბავი მაქვს თქვენთვის შემონახული - გაგონილი თუ გამოგონილი... სიამოვნებით მოგიყვებოდი. ამჟამად ვამთავრებ ვრცელ ნაწარმოებს კაფკასეული სათაურით ("კონგრესი") და ვიმედოვნებ, რომ ამისდა მიუხედავად, ის უფრო ჩესტერტონის მოტივებზე იქნება აგებული. მოქმედების ადგილად არგენტინა და ურუგვაი შევარჩიე. ოცი წელია თავს ვაბეზრებ ჩემს მეგობრებს, სულ ერთთავად მის სიუჟეტზე

ვესაუბრები. ახლა კი მივხვდი, რომ სრულიად ზედმეტია მისი დამატებითი გადამუშავება: რაც არის, არის! კარგა ხანია, ვაპირებ მამაჩემის რომანის "კაუდილიოს" რედაქტირებასა და გადანერას, ეს ხომ მან მრავალი წლის წინ მთხოვა. ბევრ რამეზე ვიმსჯელებ მაშინ. ვიცი, დიდ სიხარულს მომანიჭებს ეს სამუშაო, ის იქნება ჩვენი თანამშრომლობაც და დაწყებული დიალოგის გაგრძელება...

ადამიანები მუდამ კეთილად მეპყრობოდნენ. მტრები არა მყავს და თუკი ვინმე შეეცდებოდა არაკეთილმოსურნის ნიღბის აფარებას, მაინც იჩენდა იმდენ დიდსულოვნებას, რომ ჩემთვის გული არ დაენწყიტა. იმ წერილების კითხვისას, რომლებითაც მაკრიტიკებენ, უცნაური გრძნობა მეუფლება: არა მარტო ვეთანხმები ჩემს ოპონენტებს, არამედ, ვფიქრობ, რომ მათ ადგილას მე მეტ სიმკაცრეს გამოვიჩენდი. უნდა ვურჩიო ჩემს მომავალ კრიტიკოსებს, რომ წერილობით გამოიმგზავნონ თავიანთი პრეტენზიები, ოღონდ წინასწარ, თავდასხმამდე. ვფიცავ, ყოველწლიურად დავეხმარები! ის კი არადა, იმაზეც ვოცნებობ, დაუნდობლად გავაკრიტიკო საკუთარი შემოქმედება, ქვა ქვაზე არ დავტოვო ჩემი ნაწერებიდან. და ამ ოცნებას თუ ავისრულებ, ცხადია, ფსევდონიმის გამოყენებაც მომიხდება. ო, რომ იცოდეთ, მკითხველებო, რამდენი შეულამაზებელი "სიმართლე" დავიმალეთ!

ჩემი ასაკის ადამიანმა უნდა შეიცნოს და გაითავისოს საკუთარ შესაძლებლობათა ზღვარი, ამის აღქმას ხომ ბედნიერების შეცვლაც შეუძლია. სიყმანვილეში ლიტერატურა დახვეწილ ვარიანტითა მონაცვლეობად მიმაჩნდა მხოლოდ, ახლა კი, როცა საკუთარ "ხმას" მივაგენი, ვგრძნობ, რომ დაკემსვა და საკერებლებითა აჭრელება არც ნაადგება და არც ავნებს ჩემ ჩანახატებს. ცხადია, ამის გაფიქრება დიდი მკრეხელობაა ჩვენი საუკუნის ლიტერატურის ერთ-ერთი ძირითადი ტენდენციის - მრავალსიტყვაობისკენ ამბიციური სწრაფვის თვალსაზრისით. ამ ტენდენციამ აიძულა ისეთი ადამიანი, როგორიც ვეიშს ჯოისია, გამოექვეყნებინა "დაუმთავრებელი ნაშრომი" - ვრცელი ფრაგმენტები ამ ხმამალაღი და პრეტენზიული სათაურით.

ვფიქრობ, ჩემი საუკეთესო ნაწარმოებები უკვე დანერილია, ეს აზრი ახლა შევბასაც კი მგვრის, მაგრამ მგონია, ჯერ კიდევ ბევრი რამა მაქვს სათქმელი მკითხველისათვის. ახალგაზრდული შემართება და სილაღე ახლა უფრო მახლობელია ჩემთვის, ვიდრე მაშინ, შორეულ სიყმანვილეში. ბედნიერება მიუწვდომლად აღარ მეჩვენება, ადრე კი, ძალიან დიდი ხნის წინათ, სწორედ ასეთად მესახებოდა. ახლა მე ვიცი, რომ მას ნებისმიერ წამს უნდა მოელოდე, არავინ იცის როდის გენვევა... მაგრამ არც მის გამოდევნებას ვურჩევდი ვინმეს. რაც შეეხება დიდებასა თუ ხელის მოცარვას, მათ მიმართ ყოველთვის გულგრილი გახლდით. ახლა ჩემთვის მთავარი სიმშვიდე და სიხარულია, მეგობრებთან ურთიერთობით და ზოგჯერ საკუთარ ფიქრებთან განმარტოებით რომ მიიღწევა, და რაც არ უნდა ხმამალა ჟღერდეს, მსურს მუდამ ვფლობდე უნარს სხვისი სიყვარულისა და სხვაშიც შევძლო ამ გრძნობის აღძვრა.

თარგმნა ასმათ ლეკიაშვილმა



მარიონეტული პანთეონი

როდენის ქართველი მემკვიდრის ახალი რომანი

მალხაზ ხარბაძია



რეზო გაბრიაძე, ქუთაისი ქალაქია (რომანი). ყდის დიზაინი ლევან გაბრიაძისა. თბ. "სა-ნი", 2002.

დედაჩემი ქუთაისელია, ბიძაჩემი კი დღესაც ქუთაისში ცხოვრობს და ამიტომ ხშირად გვინვე-და ამ ქალაქში ჩასვლა. ჩავსდებოდი მამაჩემის ნითელ "ნოლდვა"-ში და გავუყვებოდი ხოლმე დაზეპირებულ გზას. ქუთაისის ბოლო წლებშიც ვესტუმრე რამდენიმეჯერ, მაგრამ ყველაზე კარგად მაინც ის 20 წლის წინანდელი ქუთაისი დამამახსოვრდა. მაშინ 7-8 წლისა ვიყავი და იქ ჩასული, ძირითად დროს ბიძაჩემის სამუშაო ოთახში ვატარებდი, უჯრების ამოტრიალებითა და დამტვერილი წიგნების ქექვით ვიყავი დაკავებული. შუალედებში ქალაქში გავდიოდით ხოლმე და დღესაც, შეიძლება ითქვას, მაშინდელი თვალით დანახული ქუთაისი უფრო უკეთ მახსოვს, ვიდრე რამდენიმე წლის წინანდელი. იმდროინდელი მოგონებები დღემდე გაუზუნარია ჩემთვის და ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, ერთი უცნაური კაცი იყო, რომელიც თბილისის ქუჩაზე ცხოვრობდა. ეს კაცი ბიძაჩემის სიმამრი (ანუ, ბიცოლაჩემის მამა) გახლდათ, ვალიკო მოქანდაკე იყო, როდენის მოსწავლის, იაკობ ნიკოლაძის მოსწავლე.

მაშინ მეც ქანდაკებაზე დავდიოდი (უფრო სწორად, ძერწავზე), გადავადნობდი ხოლმე ფერად-ფერად პლასტიკურ, დავამაგრებდი ფიცარზე "კარკასს" და ვინყებდი "ტინტულობას", ხან რას ვძერწავდი, ხან რას. პირველი გაკვეთილები ვალიკომ ჩამიტარა და ჩემგან რომ მოქანდაკე გამოსულიყო, ვიტყოდი, როდენის მოსწავლის მოსწავლის მოსწავლე ვარ-მეთქი, მაგრამ ვერ ვივარგე, გატყდა ჩემი საჭრეთელი.

ერთხელ, დიდი ხნის წინ, მახსოვს, ბიცოლაჩემს, მანანას ვკითხე, "მიმინოში" რომ ვალიკო მიზანდარია, ვალიკო ბაბუასთან რა საერთო აქვს-მეთქი და სწორედ მაშინ გავარკვიე, რომ რეზო გაბრიაძე ვალიკოს მოსწავლე ყოფილა, ხატვაც მისგან უსწავლია და ა. შ. მოგვიანებით, აგული ერისთავშიც ამოვიცანი ვალიკოს სახე - ფილმში, რომელიც ასევე რეზო გაბრიაძის სცენარის მიხედვით იყო გადაღებული. როცა ყველაფერი ეს გავარკვიე, ვალიკო მიზანდარი ცოცხალი

ალარ იყო, სამაგიეროდ მისგან გაგონილი ამბები შემორჩა მეხსიერებას. თუმცა ბუნდოვნად, მაგრამ მაინც დღემდე მახსოვს მის მიერ მოთხრობილი ვილაც ტყვეების ისტორია, მოყვნილი თითებისა და გაქცევის ამბები და ბევრი სხვა.

რეზო გაბრიაძის ამ უჩვეულო წიგნის კითხვისასაც არაერთხელ გამახსენდა ვალიკო მიზანდარი და ის უცნაური შერწყმა ქუთაისურისა და რალაც უცხოის, ევროპულის, რომელიც ასე ახასიათებდა ვალიკოს და გაბრიაძის "ქუთაისსაც" გამსჭვალავს. ამ წიგნს ორი მთავარი გმირი ჰყავს, გერმანელი ტყვე ოტო შულცი (ანუ ქუთაისურად ოტოია) და პატარა ბიჭი ვარლამი.

წიგნში მოთხრობილი ამბავი ვარლამს "ბავშვობის სიბერეში" გადახდენია, ათი წლის რომ იყო მაშინ. ვარლამს დედა მევიოლინე ჰყოლია (აგრეთვე, მეკრავი და გერმანულის მასწავლებელი), მამის შესახებ კი მხოლოდ ფოსტის ნომერი ვიცით

12\A\89423\6793. ეს რამდენიმე ნიშანია მისი გვარიც, სახელიც და მოკლე ბიოგრაფია. ვარლამი ხშირად ავადმყოფობდა - თავდავიწყებით, წიგნებითა და ფანტაზიებით. როცა ავად ხდებოდა, ყოველი შემთხვევისთვის, სხვადასხვა თერმომეტრით უსინჯავდნენ სიცხეს, თუმცა ყველა ერთი და იმავეს, 38 და 5-ს აჩვენებდა, თიკო ლვინაშვილის თერმომეტრით და თამარა კიკნაძისაც. ვარლამის შესახებ ბევრ სხვა რამესაც ვიგებთ, მაგრამ მთავარი მოვლენები პირველი მაისის პარადთანაა დაკავშირებული. სიმალის ტრადიციული, წინასააღმშობლო გაზომვისას ვარლამს ფეხსაცმელში გაზეთებიდან გამოჭრილ ორ-სამ სანტიმეტრიან ქუსლებს უპოვნიან და აღმოჩნდება, რომ "სავალდებულო" 130-ის ნაცვლად იგი 127 სანტიმეტრის სიმალისაა. ამიტომ მას პარადზე არ დაუშვებენ, თანაც ყმანვილს ისიც უღრღნის გულს, რომ ძმებმა ტიკარაძეებმა, სლიპუიამ და ფეზუიამ, სამაკატკა წაართვეს და სწორედ ამ

დროს იჭრება მის ცხოვრებაში ოტო შულცი (რომელიც აქამდე კინალამ შეენიარა ვარლამის ბაბუისთვის ჩემის რეორგანიზების გმირულ საქმეს). იგი პატარა ბიჭს გამოექომაგება და ქუთაისის ანგელოზსაც არ დაინდობს ორი სანტიმეტრისა და სამი პად-შიზნიკის გულისთვის. საქმეში ერევან ინვალიდებიც, რომელთა პროტესტსაც ("მე თუ მეტრიც ალარ დავრჩი, პარადზე ალარ გამესვლებს!") პარადის ჩაშლა, დაკითხვა და ათასი სხვა უბედურება მოჰყვება, ბოლოს კი ყველაფერ ამას დიდი ბელადის, სტალინის გამოჩენა აგვირგვინებს, რომელიც წყალტუბოშია ჩამოსული დასასვენებლად... და ეს მხოლოდ ნაწილია იმ ხალისიანი სევდით აღსავსე განძისა, რომელიც ამ რომანში ყოველ ნაბიჯზე პოეტურ მარგალიტებადაა მიმოფანტული.

"ქუთაისი ქალაქია"-ს ნაკითხვის შემდეგ რომელიმე ენა-მახვილი ქუთაისელი იტყოდა: "ეგია ბუჯო რომანი? ეგია პოემა. ამას რაფრა ეძახი ბუჯო რომანს!" და მართალიც იქნებოდა, იმიტომ რომ წიგნი მართლაც გრძელი ლექსით იკითხება და ძალიან უნდა მოინდომო, რომ ერთი ამოსუნთქვით არ წაიკითხო. ისე, კინოსაც ჰგავს ეს უცნაური წიგნი, კარგ, კეთილკინოს, კერძოდ და ნიშანდობლივ კი - ჟაკ ტატის ფილმებს. პირველი გვერდებიდანვე გამახსენდა ის მაგიური კადრები ტატის "ბიძაჩემიდან", ათი წუთის განმავლობაში რამდენიმე ძუკნა-დვარნიაშკა "სასტაულებს" რომ ახდენს (სამსახიობო ოსტატობის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა) და დახლის ქვეშ დამალული ის ფრანგი მურიკელაც დამიდგა თვალწინ, მყიდველის ჩანთაში "ჩასვენებულ" შებოლილ ქარიყლაპიას რომ უყეფს გააფთრებით, აქაოდა არ მიკბინოს ამ შეჩვენებულმაო.

ასეთი სცენები ბევრი მოიძებნება "ქუთაისში", ეს წიგნი საკმაოდ ამგვარი პოეტური უცნაურობებით. ბუზებიდან დაწყებული და ქალაქის ანგელოზით დამთავრებული (მთავარი გმირებისა და მეორეხარისხოვანი ინვალიდების გავლით), ყველა პერსონაჟი რალაც უცხო კანონის მიხედვით მოქმედებს და სწორედ ეს უცხო კანონია საკითხავ სამოთხეს რომ გვიქმნის ამ ერთი შეხედვით ბანალური ისტორიისგან. ამ უცხო კანონს კი "გაბრიაძის წერის კანონი" ჰქვია.

წერის რეზო გაბრიაძისეულ მანერას ბევრი სახელი შეიძლება მოეძებნოს, ოღონდ ერთი რამ ვერ გამოგია, ასეთი სახელდებისას როგორ უნდა შეაჯვარო ერთმანეთთან სტილი და სიკეთე? ეს ორივე ცნება ხომ ძალზე მნიშვნელოვანია რეზო გაბრიაძის ნაწარმოებებისთვის. ამიტომ გავრისკავ და მის წერის მანერას თხრობით გაკეთილშობილებას ვუწოდებ.

ადრე ზოგ-ზოგიერთი პერსონაჟი თხრობით სიცოცხლეს

იხანგრძლივებდა (მაგალითად, შაჰრაზადი), აქ კი ავტორის თხრობა პერსონაჟებს აკეთილშობილებს, მათ შორის, ისეთ მონსტრებსაც, როგორიც სტალინი იყო. ერთ-ერთ ბოლო სცენაში ქუთაისის ანგელოზი სტალინს ეხვეწება, პროფესიონალი მღვდელი ბრძანდებით, ერთი პატარა წირვა ჩავგიტარეთო, ხალხიც მოინანიებს და თქვენცო. სტალინს ამ დროს ხილვა ეწვევა: დანახავს, ვითომ ეკლესიიდან გამოდის ანაფორაში ჩაცმული ჯვრით ხელში, "ფეხზე კალომები აცვია. წინდაში ჩატანებული აქვს შარვალი, ზურგზე ქერტილი აყრია."

ზემოთ შემთხვევით როდი ვთქვი, ყველა პერსონაჟი ერთ კანონს ემორჩილება, ბუზებიდან დაწყებული მეთქი. გაბრიაძესთან ყოველი საგანი, ყოველი მწერი თუ ცხოველი ერთიან ქმედებაში ერთვება, აქ ყველაფერი სინქრონულია და ყველა თანაბარია ამ ქმედებაში, რადგან მწერალს ერთი უმცირესი დეტალი ჰყოფნის ამ უმწი რწყილების პეროიზირებისთვის და ისინიც ერთად გამოფინებიან ხოლმე სათაფლიდან ბანოჯამდე: ლომები, ვეფხეები, ბალანჩივადები, გურეშიძეები, ბრეგვაძეები, ფარშავანები, ალავედის თხა და ა.შ.

მოდით იასამნებით, ბუზებით, ბელურებითა და სხვადასხვა მეტეოროლოგიური მოვლენებით დავინყოთ მათი დახასიათება. მაგალითად, ერთი სცენა - ვარლამი ქუჩაში გამოდის, ბნელა, ქუჩის საათი 6 და 14 წუთს აჩვენებს. ისარი ძაგდაგით გადახტება წინ, 15 წუთი ხდება. ბუზები ისრიდან აიშლებიან, ისარი წყნარდება, ბუზები ისარს უბრუნდებიან. ზუსტად ერთ წუთში ისარი ისევ გადახტება, ამჯერად უკან, რა თქმა უნდა ბუზებიც აიშლებიან და ასე გრძელდება უსასრულოდ. ამ წიგნში ფლორისა და ფაუნის ბევრი სხვა წარმომადგენელია. მატარებელში, მაგიდის ქვეშ შეკვეთებული თხა რქებისთვის ადგილს ეძებს და ქვევიდან ურტყამს მაგიდას, ბელურები ხან მარცხენა თვალით ათვალიერებენ ადამიანებს, ხან მარჯვენათი. სადღაც იქვე, კინოთეატრ "კომუნის" უკან, ჩიხში დგას იასამნის ბუჩქიც. ისე, ტყვილად, მისაფსმელად დგას და მორცხვად ხარობს (ამ ბუჩქიდან ერთხელ, სრულიად მოულოდნელად "ავე მარიაც" გაისმება). ქუთაისის მილიციის პირველი განყოფილების ეზოში კი პალმა კვდება უკვე მეორე წელია. ხანდახან გაივლებს ძროხისა და ველოსიპედის ნაზი სილუეტი, ხან კი ძაღლები ჩაიქროლებენ: ეს საბრალო ცხოველები ყველაფერს ერთნაირი ხალისით მისდევნენ, პურის დროსაც და ფილხაზია მემაროჟნის ლურჯ-ზოლიან თეთრ ურიკასაც.

ნაწარმოებში ოხრადდაა მიმოფანტული სხვადასხვა უცნაური ნივთი, ისეთი, ტომ სოიერი რომ სიამოვნებით წააპნიალებდა გადასაცვლელად: პატარა ჯაყვა, ტარზე სადაფის ფირფიტით, ნი-



რეზო გაბრიაძე

კელის ბურთულა, მომპასიეს ჟეშტის კოლოფი, გილზებიდან გაკეთებული ზაჟიგალკები, ჭადის გადასაბრუნებელი ნიჩაბი, თითისტარები, კოვზები, ზურგის მოსაფხანი ჯოხები და კბილის საჩიჩქნები, მინერალური წყლის მუშტუკიანი ჭიქა, სიტრო-ლიმონათის იარლიყები, ნიკელირებული ზამბარა, ველოსიპედის ზარი, ამერიკული ლილი არწივითა და წარწერით, საათის ციფერბლატი, ნითელი რეზინა და ვინ იცის კიდევ რა.

ერთ პატარა სივრცეზე (ანუ ერთ ქუჩაზე და ერთ აბზაცში) იპოვით მესაათეს, სამკერვალოს, საპარიკმახეროს, სამხატვრო სტუდიას, ღვინის სარდაფს, ყელ-ყურის ექიმს, საზენკლოს, უტილის ჩაბარების პუნქტს, რენტგენს, მედოლეს, სააკვნე და საკუბოვე ცეხს.

აგერ, ამდენი რამ ჩამოვთვალე და რომ მახსენდება, კიდევ რამდენი დარჩა, თავბრუ მესხმის. მაგრამ ახლა ბევრს აღარ გავაგრძელებ და ადამიანისა და სხვა, აბსოლუტურად არაადამიანური მოვლენების სტატუსთა

მონაცვლეობის კიდევ რამდენიმე მაგალითს მოვიყვან და დავასრულებ (თანაც ისიც მინდა დავსძინო, რომ ამ შემთხვევებს ვერ დაარქმევ უბრალოდ მეტაფორებს).

მაგალითად, ვარლამის ბაბუის წამოსვენებისას, გზაში, პროფესიონალი მოტირლები გამოჩნდებიან. გაიკითხავენ მიცვალე ბულის სახელს, "ისტე", ცოლისთვის სახელსაც დააზუსტებენ და შემდეგ რიგრიგობით და ხმამაღლა დაუწყებენ გამოკითხვას ცას, მინას, ხალხს, მთებს, ხეებს და ღრუბლებს: "ვინ დადიოდა შენზე კარგი ამ ქვეყანაზე? რატო წადი?! რატო მიგვატოვე, არ გცხვენია?!" ასეთი **მარიონეტული პანთეონში** სხვა ადგილებშიც ხშირად გვხვდება და საერთოდაც, რეზო გაბრიადის მთელ შემოქმედებას ეს **თეატრალური თუ ლიტერატურული წარმართობა** ახასიათებს. ამ რომანში ადამიანები (კერძოდ, ჯარისკაცები) ქვებივით აწყვია მანქანებში, ან აკაციის ფოთოლივით თრთიან, მცენარეები კი ადამიანებივით ხარობენ და

კედებიან. ვასო მილიციონერს სარდაფიდან უფეხო ინვალიდები ამოაქვს და შემასავით ყრის, შულცს კი სწორედ იმ მომაკვდავ პალმაზე აყუდებენ. გმირებს ხან აჭარის მთები უღიმის, ხანაც სამეგრელოს, ხან სვანეთიდან მოვარდნილი ქარის ტალღა მიაქანებს, ხანაც გაუთავებელი ქარი სამტრედიიდან.

ნიგში ერთ-ერთი უძლიერესი ეპიზოდია ქარსა და უბედურებაში ნიფხავ-პერანგის ამარა ბაბუის მიერ "ჩეჩმის დალაშქვრის" სცენა. წარმოდგენით, ქარი სამტრედიიდან ქუთაისისკენ ზნიქავს ალვის ხეებს, წელში მოკაკული ბაბუა კი ამ დროს სტიქიონს მიაპობს და ზევით მიიწევს, ჩეჩმისკენ: "ქარი წოდა ჩეჩმის ნაფოტებში, დროშასავით ფრიალებდა გეოლოგის პლამის ნაგლეჯები, რაც ჩეჩმას სიდიადეს მატებდა. ეზოს თავზე მაღალი ძაბვის მავთულები ერთმანეთს ედებოდნენ, ნაპერწკლებს ყრიდნენ, შხამიანი მწვანე შუქით ანათებდნენ ეზოს. ო, რა მრისხანედ გამოიყურებოდა დღისით ასეთი უბრალო და სანყალი ჩეჩმა!" როგორია? თქვენი არ ვიცი და

პირადად მე ამ სცენამ "მეფე ლერი" გამახსენა:

"იჭექ-იჭუხე, წვიმა ღვარნე, ცეცხლი აფრქვით! წვიმა, გრიგალი, ქარი, ცეცხლი, ჭექა, ქუხილი ჩემი სისხლ-ხორცნი, ჩემი შვილნი როდი არიან! თქვენ სტიქიონო, მე არ გწამებთ უღმობელობას, სამეფო ჩემი მე ხომ თქვენთვის არ მომიცია...."

ჰო მართლა, ამ ქუხილზე გამახსენდა: რომანში განუწყვეტილ რაღაცის ხმა ისმის და ზოგს ეს ხერხი შესაძლოა კინემატოგრაფის მარაგიდან აღებული მოეჩვენოს, ზოგს კი სხვა, კონტრაპუნქტული ეფექტის სანინდრად. რადიოდან ხან ხარაგოულის მშრომელთა თხოვნით გაშვებული "სისატურა" ისმის, ხან "მე ვარ სიმონა დოლიძე"-ს გადმოსცემენ, ხანაც პავლე ხუჭუა ჰყვება ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის ბოგრაფიას მისივე რექვიმის ფონზე. ორკესტრებიც ჩნდებიან - სამხედრო და აბრეშუმ-კომბინატის, საიდანაც მესაყვირე გამოეყოფა და "შორი გზიდან

სატრფოს ველი"-ს ჩააბულბულებს ხოლმე.

ბავშვები მელოდიას ლილინებენ ფილმიდან "ჯარისკაცის ბედი ამერიკაში", რომელიც ჩემი დაკვირვებით "My Melancholy Baby" უნდა იყოს, ბერნეტ-ნორტონის ცნობილი (ამ სიმღერას ფილმში პრისცილა ლეინი მღერის) ჯაზ სტანდარტი.

ყველაფერს ვერ ჩამოთვლი, ყველაფერს ვერ განვდები. თანაც საქმეს ისიც ართულებს, რომ ძალზე ძნელია ამ ნაწარმოების ჟანრის გარკვევა. თუმცა, ერთი რამ თამამად შეიძლება ითქვას, წიგნის აურა საოცრად გადამდებია და პირველად ნაკითხვის შემდეგ, გარდა გადაკითხვისა, გარეთ გასვლასა და ქადაგებასაც მოგანდომებს. "რის ქადაგებას ბუჯო?", ისევ იტყვის ის ჩვენი ენაშაზილი ქუთაისელი და სწორედ ეს კითხვა იქნება, გონებას რომ გაგვიანათებს და აღმოგვათქმევინებს: "ეგი წიგნი, ბოძია-ბაბუებო, სახარებასავითაა, აპოკრიფული სახარებასავით და კუ წუ გაგიკვირდებათ მაგი ამბავი".

ძნელი გზა მკითხველისაკენ

თორნიკა მოდებაძე



გურამ რჩეულიშვილი. თხზულებები ხუთ ტომად, ტ. 2 (მოთხრობები, 1957 წ.). რედაქტორი მარინე რჩეულიშვილი, მხატვარი ვახტანგ რურუა. თბ., "საარი", 2002.

გურამ რჩეულიშვილის მეორე ტომში 1957 წელს დაწერილი პროზა შევიდა. აქ არის ადრეულ გამოცემებში გამოქვეყნებული, მკითხველისთვის უკვე ცნობილი მოთხრობები: "ნადირობა", "უსახელო უფლისციხელი", "სადღაც ვინოებში", "სიკვდილი მთებში", "ზღვა არცთუ ისე ღელავდა", "მუწვი ახმედი და სიცოცხლე". სხვა მოთხრობების უმრავლესობა პირველად ქვეყნდება. პირადად ჩემთვის საინტერესო იყო ცნობილი ნაწარმოებების დაწერის ისტორია. მარინე რჩეულიშვილი თავის კომენტარებში ცდილობს, რაც შეიძლება ობიექტურად, ზუსტად, მიუკერძოებლად აღწეროს ის ვითარება, რომლის წიაღშიც ხორციელდებოდა ესა თუ ის ჩანაფიქრი. აი, ვთქვათ, როგორ იქმნებოდა "უსახელო უფლისციხელი". ნაწარმოების დასრულების შემდეგ გურამი მიდის ბიძამისთან, ცნო-

ბილ ხელოვნებათმცოდნე ლეო რჩეულიშვილთან: "უფლისციხიდან ჩამოსვლის მეორე დღესვე გურამი მივიდა ძია ლეოსთან და უთხრა, ნარკვევი უკვე დაგწერეო. ძია ლეოს ეწყინა თავის ძმისშვილის ასეთი არასერიოზული დამოკიდებულება საქმისადმი, ასეთ სამუშაოს ის თვეებს და, შეიძლება, წლებსაც კი ანდომებდა. თურმე უთხრა კიდევ: "როგორ უნდა დაგეწერა გურამ, წესიერად არც კი დაგიმუშავებია ჯერ მასალა. ასე ნაჩქარევად და ქარქვეტულად ისტორიული წყაროების დამუშავება არ შეიძლება". გურამმა უსიტყვოდ დაუტოვა "უფლისციხელი" და წავიდა. ძია ლეომ თქვა: გურამის ნასვლის შემდეგ მაშინვე ნავიკითხე მოთხრობა, ძალიან მომეწონა, მივხვდი, რომ მას სულ სხვა გზა ჰქონდა ცხოვრებაში და არასწორი ვიყავი, საყვედურს რომ ვეუბნებოდიო".

ეს და სხვა კომენტარები ცხადყოფს მწერლის ერთ თავისებურებას: მას შინაგანად გააჩნდა საიმისო რწმენა, რომ მისი სათქმელი არა მარტო სერიოზული იყო, არამედ სასურველი მხატვრული ძალმოსილების მქონე. ამ რწმენას გურამის მუდმივი დაძაბულობა განაპირობებდა. ეს დაძაბულობა განუყრელი შთაგონების ნაწილი გახლდათ.

მოთხრობაში "ზღვა არცთუ ისე ღელავდა" ძალზე დრამატული ამბავია გადმოცემული. გამჭვირვალე ლირიზმთან ერთად აქ თვალსაჩინოა სიცოცხლისათვის ბრძოლა, პერსონაჟების ტრაგიზმამდე გამძაფრებული რთული ფსიქოლოგიური მდგომარეობა. კომენტარებში მკითხველი გაეცნობა თემო ჯაფარიძის მონაყოლს: "1957 წლის სექტემბერში გურამი და მე ვიყავით ზღვაზე, ბათუმში. გურამმა შეცურა ადიდებულ ზღვაში ვილაცის გადასარჩენად, თუმცა იქ შეკრებილი ხალხი არ უშვებდა. ნაპირიდან ჩანდა, როგორ ჩაავლო ხელი კაცს და ნელ-ნელა,

ცურვა-ცურვით როგორ მოჰყავდა ნაპირისკენ, გადაარჩინა. აღმოჩნდა პროკურორი, თათარი, მოსულიერდა თუ არა, ატეხა ყვირილი: მახრჩობდაო. ხალხი გაბრაზებული მივარდა. გურამი იცინოდა".

ფვიქრობ, მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება ის რეაქცია მწერალთა მხრიდან, რომელიც მოჰყვა მოთხრობის "სიკვდილი მთებში" გამოქვეყნებას. საერთოდ, ხშირად საუბრო-

ბენ იმის შესახებ, რომ იყო მკაცრი ცენზურა, თამამი ლიტერატურული ნაწარმოებების ტენდენციური შეფასებები, გარკვეული ზეწოლა იმდროინდელ ახალგაზრდა მწერლებზე და ა.შ. ეს ყველაფერი, ცხადია, იყო და არც არის გასაკვირი, მაგრამ საინტერესოა მეორე მხარეც: ვთქვათ, ცნობილი მწერლების მიერ იგივე გურამ რჩეულიშვილის პირუთენელი აღიარება, რასაც წერილობითი ფაქტები მოწმობენ. აი, ვთქვათ, რას წერს



გურამ რჩეულიშვილი

მოსკოვში მყოფ გურამს დედა: "... მეორე დღისით გამოსულა სიმონ ჩიქოვანი, რომელსაც კარგად გაურჩევია შენი ნაწერები და დაუსაბუთებია, რა, რატომ არის კარგად დაწერილი. მთელი ხალხით აღტაცებით შეხვედრია, ჩიქოვანს მოსწონებია "სიკვდილი მთებში", უთქვამს ეს ფილოსოფიური ნაწარმოებიაო, ძალიან გამიკვირდა, როცა გავიგე ამის დაწერი 23 წლისა ყოფილაო..."

ამ მცირე ციტირებებშიც მკაფიოდ ჩანს, რომ საინტერესოა არა მხოლოდ გურამ რჩეულიშვილის ნაწარმოებები, არამედ მთელი ის ატმოსფერო, რომელშიც ისახებოდა, იქმნებოდა და მკითხველ-შემფასებელთა თუ მწერალთა სამსჯავროზე იხილებოდა ეს ქმნილებები. უაღრესად საინტერესო თემაა: "საბჭოთა ტოტალიტარიზმი ქართულ გარემოში და თავისუფალი აზროვნების მქონე ქართველი მწერალი".

ქართველ მწერალთა გარკვეული წრე, რა თქმა უნდა, იმთავითვე მაღალ შეფასებას აძლევდა გურამ რჩეულიშვილის ნაწარმოებებს. მაგრამ ის ფაქტი, რომ მწერლის გარდაცვალებიდან ამდენი ხნის შემდეგ ქვეყნდება ეს ტომეულები, თავისთავად მეტყველებს მკითხველისაკენ გასაკვალავი გზა არცთუ იოლი გახლდათ.

მეორე ტომში წარმოდგენილი ჯერ გამოუქვეყნებელი ნაწარმოებები კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, თუ რა დიდი შინაგანი თავისუფლების მქონე პიროვნება იყო გურამ რჩეულიშვილი. არ შეიძლება კიდევ ერთხელ არ დაგვებადოს აზრი, რომ ნამდვილად საინტერესო მწერლად მხოლოდ უსაზღვროდ თავისუფალი ადამიანი შეიძლება იქცეს. მე პირადად ღრმად დარწმუნებული ვარ, მეორე ტომში შესული მრავალი მოთხრობა საბჭოთა პერიოდში ვერ იხილავდა დღის სინათლეს.

ლეკის დაბადება ტრაგიკულიდან

მიქაელ ირემაძე



"ხმით ნატირლები". კრებულის შეადგინა ნაწული აზიკურმა. მხატვარი თენგიზ მირზაშვილი. თბ., "კავკასიური სახლი". 2002.

ადამიანის ცხოვრებისათვის არაფერია უფრო უეჭველი და მნიშვნელოვანი და, ამავე დროს, უფრო მიუღებელი და ძნელად შესაგუებელი, ვიდრე მისი გარდაუვალი სიკვდილის ფაქტი. და შესაძლოა, კაცობრიობის მთელი ისტორია და კულტურა გააზრებულ იქნას, როგორც ბრძოლა სიკვდილის ფუნდამენტური რეალობის დასაძლევად, ადამიანური ცხოვრების შეზღუდული საზღვრების გასარღვევად.

ეს მცდელობა ზოგჯერ ფრიად უცნაურ ფორმებს იძენს. მონტენს ერთ ესეში მოჰყავს ამ თვალსაზრისით საინტერესო ფაქტები: შოტლანდიელებთან მეომარმა ინგლისის მეფე ედუარდ პირველმა იმდენად ირწმუნა, ჩემი დასწრება აუცილებელია ბრძოლის მოგებისთვისო, რომ შეიღს უანდერძა სიკვდილის შემდეგ გამოეხარშა მისი სხეული, განეცალკევებინა ძვალი და ხორცი და მხოლოდ ეს უკანასკნელი დაემარხა, ძვლები კი ყველა ბრძოლაში თან ეტარებინა. ჩეხების უძლეველი სარდლის იან ჟიჟკას სურვილი იყო, მისი მკვდარი სხეულისთვის ტყავი გაეძროთ და საბრძოლო დაფდაფზე გადაეკრათ.

თუმცა, ამგვარი უცნაურობანი მაინც იშვიათობაა განუწყვეტილ პირლია საფლავებისკენ მიმავალ თაობათა ისტორიაში. სიკვდილის დაძლევის ცდა და იმედი, ძირითადად, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ რიტუალსა და კულტურას უკავშირდებოდა. სიკვდილთან ბრძოლის სხვადასხვა უბანზე მოპოვებული გამარჯვებები უეჭველი და უთვალავია. ისიც იკმარებს, გავიხსენოთ რეკვიემის ჟანრში შექმნილი მუსიკალური შედეგები, ან კიდევ, ის ფაქტი, რომ ანტიკური სამყაროს შვიდი საოცრებიდან ორი (ხეობის პირამიდა და მეფე მავსოლეს აკლამა ჰალიკარნასში) სამარხ ნაგებობებს წარმოადგენდა.

ძველი საქართველოს, ისევე როგორც მთელი საქრისტიანოს ცხოვრება განმსჭვალულია სიკვდილის ტოტალური ხსოვნით. საქმარისია, გადავიკითხოთ საბას "სწავლა ჯოჯოხეთის სატანჯველათვის", რათა მივხედეთ,

რა ემოციური ძალით განიცდებოდა საიქიოს საშინელებანი და რა მნიშვნელობა ენიჭებოდა სულის მოსახსენიებელ რიტუალს... ცოცხლად შევიგრძნოთ მშრალ სააღაპე ჩანაწერებში ჩაღვრილი სასოება.

თუ ახლა სარეცენზიო წიგნით მონიშნულ რეგიონზე, - თუშ-ფშავ-ხევსურეთზე, - გადავალთ, ვნახავთ, რომ აქაც განუზომლად მნიშვნელოვანი იყო არყოფნის, სრული გაქრობის დაძლევა ხსოვნით და რიტუალურად. ერთი ანდრეზის მიხედვით, ისრით სასიკვდილოდ დაჭრილი ხევსური აპარეკა სულის ამოსვლაძედე უბარებდა თანამებრძოლებს, თუ ვინმე ცოცხალი გადარჩით, ხევსურეთში ჩვენი ბრძოლის ამბავი ჩაიტანეთ, რათა "სახელი არ დაიკარგოსო". დაღუპული გმირის პატივისცემის უმაღლესი გამოხატულება იყო ხატში მის სახელზე დადგმული საკარგეკო ჩხუტი და დაგზებული ცეცხლი.

* * *

"ხმით ნატირლები" დაკრძალვის რიტუალის ერთ-ერთი ელემენტი - სიმღერით ამოსათქმელი სამგლოვიარო ლექსებია, მრავალმხრივ საინტერესო და ზოგი ასპექტით უნიკალური. ცნობილია, რომ რაც უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული ნაწარმოები თავის ყოფით-ეთნოგრაფიულ ფუნქციასთან, მით მეტია საფრთხე, სხვა სააზროვნო-ემოციურ სივრცეში გადატანისას თვისება იცვალოს და მცდარად იქნას გააზრებული.

"ხმით ნატირლებზე" საფუძვლიანი მსჯელობისათვის აუცილებელია ისინი რიტუალის საერთო სტრუქტურაში და საიქიოზე თუშ-ფშავ-ხევსურთა წარმოდგენების კონტექსტში იქნას განხილული. საგაზეთო რეცენზიის ფარგლები მცირე შესაძლებლობასაც კი არ ტოვებს, ზერელედ მაინც აღინიშნოს თითოეული კუთხისთვის დამახასიათებელი დაკრძალვის რიტუალის თავისებურებები და, ისლა დამრჩენია (გიორგი ჩიტაიასა და სერგი მაკალათიაზე დაყრდნობით), ფრაგმენტულად მოვნიშნო, რა ვითარებაში იქმნებოდა და ხშირად ებოდა ხევსურეთში ეს ტექსტები:

პირაქეთ ხევსურეთში მიცვალეზულს მესამე დღეს ასაფლავებდნენ, პირიქითში კი - მეორე დღეს. ამ ხნის განმავლობაში მთელ სოფელს უნდა ეგლოვა, ემარხულა, ეუქმა და ამით პატივი ეცა ჭირისუფლისთვის. მისამძიმრება ყველასთვის სავალდებულო იყო. კაცები ერთად შეჯგუფდებოდნენ, პირზე სამოსის კალთას აიფარებდნენ და მიცვალეზულს ასე დაიტრებდნენ. მამროვანის ხმამალა ტირილი სირცხვილი იყო და ხევსური მამაკაცი გარდაცვლილს ხმით არ დაიტრებდა.

ტირილი სხვადასხვაგვარი იყო - "მოთვლით", "ძახილით" და "ხმით". ჰანგი და რითმა მხოლოდ ამ უკანასკნელს ახლდა. პირველი ორი სახის ტირილი ყველას არ შეეძლო: წესი კრძალავდა ცოლს ქმარი ეტირა, ქმარს - ცოლი, ახალგაზრდა

დედ-მამას - შვილი. "ხმით" დატრება კი ყოველ ქალს შეეძლო, მიუხედავად მიცვალეზულის ნათესაობისა, მაგრამ რაკილა გლოვის ეს წესი გარკვეულ პოეტურ ტალანტს მოითხოვდა, "ხმით" მოტირალი ბევრი არ იყო, - უკეთეს შემთხვევაში, ერთი ან ორი ქალი მთელ სოფელში.

სახელიანი მიცვალეზულის ჭირისუფალი "ხმით" მოტირალს დაინვევდა და რამდენი ასეთი ქალიც იყო სოფელში და თემში, იმდენ სახმითმოტირალი კვერს გამოაცხობდა. "ხმით" მოტირალი პირველად ახალ მიცვალეზულის ტალავარზე (ტანისამოსზე) აიტეხდა ტირილს. იწყებდა ბორგვას და კანკალს. დედაკაცები იჭერდნენ მას და ისევ ტალავართან სვამდნენ. ბოლოს ქალი კანკალით დაიწყებდა:

"სკლატის ცმა არა იცოდითო.

ლევა ჩოხაი ჩაიცვითო,

გვერდზედა ქუდი გაიგდითო.

ალაღებულსა ღვანდი

წყალსაო,

ვერ გასავალსა ცხენისასაო.

პირ-გამართულსა ღვანდი

თოფსაო,

ხმაძალიანსა სიათასაო.

დაფხაებულსა ღვანდი

ხმალსაო

ფრანგულსა სახლჩი

დაჩვეულსაო".

ტირილის დღეს სამარხს ან ცრემლობის დღეს უწოდებდნენ.



სატირლად გამართულ ახალი ტალავრით, ქამარ-ხანჯლით და თოფით მორთულ მიცვალეზულს ფარდაგზე დაასვენებდნენ, იქვე დაუნყოფდნენ თამბაქოს, არაყს და სამ მრგვალ კვერს. მიცვალეზულთან დააყენებდნენ მის "სულის ცხენს", რომლის ალვირს მარცხენა ხელზე გამოაბამდნენ (ვაჟკაცს საიქიოში სჭირდება ცხენი, რომლითაც ამსოფლიდან ჩამავალ სულებს ეგებება და სააქაოს ამბებს გამოჰკითხავს). კარგად შეკაზმულ ცხენს უნაგირზე გადაკიდებდნენ ხურჯინს, რომელშიც არაყი და ქაღები ეწყო.

მზის გადახრისას ვინმე სოფელს გადასძახებდა, "მოტირალთ უძახეთო". სოფლის დედაკაცები შეგროვდებოდნენ და მიცვალეზულს მიუსხდებოდნენ. "ხმით" მოტირალი აიღებდა მიცვალეზულის ხანჯალს, დაეყუდებოდა მასზე და დაიწყებდა ხმამალა მოთქმით ტირილს:

"შარმანაულო და შავარდენო, მთიბელნი გიხარაინლაეო; მთიბელ-მამკლისა სანაყროდაო, დუმას ზისცვარში ხარშავლაეო. ბევრაის ჯიხვის გამგორესაო, თოფსა ხირიმსა ზიდავლაეო..."

ტიროდა "ყინჩად", ცდილობდა ყველა აეტირებინა, ისე, რომ ლამის "მიცვალეზულსაც მონდომებოდა" ატირება. ისეც ხდებოდა, რომ ერთი "ხმით" მოტი-

რალი მეორეს შეეჯიბრებოდა ხოლმე...

* * *

"ხმით ნატირლებს" ხევსურეთში მამაკაცებიც ამოთქვამდნენ, ოღონდ ფრიად უცნაურ ვითარებაში - თიბვის დროს. სიტყვები და ჰანგი იგივე იყო, მაგრამ საგლოვო ლექსი ფუნქციას იცვლიდა - შრომის სიმღერად გარდაიქმნებოდა.

საერთოდ, ხევსურეთში თიბვას განუყოფლად დაუკავშირდა მიცვალეზულის გახსენება - მისი "ხმით" დატირება დაკრძალვის შემდეგ კიდევ ერთხელ ხდებოდა "თიბვის შამშაბათს" - სათიბად სოფლის პირველად გასვლის დღეს, როცა ჭირისუფალი ტაბლებს ამზადებდა და მთელ სოფელს პატიუებდა.

რამდენი გონივრული და დამაჯერებელი ახსნაც უნდა დაუძებნონ მეცნიერებმა ამ ფაქტს, ის მაინც უჩვეულო იქნება, შეუცნობელი და იდუმალი. თვით მეზობელ თუშეთშიც კი, რომლის მჭიდრო რიტუალურ-ეთნოგრაფიული კავშირი ხევსურეთთან ეჭვს არ იწვევს, "ხმით ნატირლის" საჯარო გამოვრება ავის მომასწავებლად ითვლებოდა და ტაბუ ედო. აქ ნატირლებს მარტოობაში "ზუზუნებდა" ხელსაქმით გართული ქალი და ამას სხვის თანდასწრებით არასოდეს გააკეთებდა.

აკაკი შანიძემ ხევსურული ნატირლები, საერთოდ, მთიბლურ ლექსებადაც კი მიიჩნია (თუმცა დაკრძალვის რიტუალის ამ დათალხულ ნამსხვრევებს სათიბშიც გაჰყვა წარმომავლობის დამლა: სახელი "გვრინი" საბას მიხედვით "საგლოელი ხმა") და აღნიშნა მათი რიტმულ-ფორმალური უნიკალურობა: "ერთია ძალიან საყურადღებო მთიბლურ ლექსებში, - ეს გახლავს მათი ფორმა, რომელიც სრულ კონტრასტს წარმოადგენს დანარჩენ სიმღერა-ლექსებისას, აქ არ არის რითმა, რომელიც აუცილებელი ნიშანია ქართული ხალხური ლექსისა საზოგადოდ. არც მარცვალთა რაოდენობით უდება ამ ციკლის ლექსები სხვა ლექსებს... საზოგადოდ მთიბლური ლექსის მუხლი (თუ მუხლის ნახევარი) ცხრა-მარცვლოვანია... ლექსს მთაში კიდევ აქვს შერჩენილი ძველი ხასიათი, შესრულებულ იქნეს მუსიკალურად, ე.ი. სიტყვები გალობით იქნეს წარმოთქმული... მთიბლური ლექსების სასიმღერო ჰანგები თვით ტექსტების შესახებაც გვეტყოდა რასმე... ასეთ სიმღერებში უნდა გვეკონდეს ერთ-ერთი ნიმუში უძველესი ქართული ლექსისა..."

თუ გავითვალისწინებთ, რომ ჰანგიცა და ლექსი ამ შემთხვევაში სიკვდილის ფუნდამენტური რეალობის დაძლევის ცდამ შვადა, შესაძლოა, ამავე სწრაფვამ განუყოფლად დაუკავშირა თიბვას, ჩნდება რაღაც ბუნდოვანი იმედი: იქნებ, ოდესმე ჩვენშიც შეიქმნას ნიცშეს ეპოქალური წიგნის ერთგვარი დამატება თუ ანტიპოდი - "მუსიკის სულის, ლექსისა და შრომის დაბადება ტრაგიკულიდან".

ილუზიების მსხვერპი

ანდრო ბუაჩიძე



ჯუანშერ ტიკარაძე. ლექსები. რედაქტორი თინათინ ბოლქვაძე. დიზაინი და დაკაბადონება გიორგი ტაბლიაშვილისა. გარეკანზე გამოყენებულია გურამ ნიბახაშვილის ფოტო. თბ. "დიოგენე", 2002.

ჯუანშერ ტიკარაძის ლექსების წიგნმა პირადად მე მრავალი საფიქრალი აღმიძრა. ეს საფიქრალი პოეტური აზრის მოძრაობას და ზოგადად პოეზიის თანამედროვეობასთან მიმართებას შეეხება. იცვლება დრო, იცვლება გამოხატვის ხერხები და საშუალებები. ასე იყო და ასე იქნება მუდამ. მაგრამ საგულისხმოა სწორედ ცვალებადობის ხასიათი, ხარისხი, დიაპაზონი. საინტერესოა, რა იცვლება გარემომცველი სინამდვილის კარნახით თუ ზემოქმედებით ადამიანში და, აქედან გამომდინარე, პოეზიაში. უფრო სწორად, ისეთი რა ცვლილება მოხდა (იგულისხმება ჩვენი, ქართული გარემო) ადამიანში, რომ პოეტური აზრის მიმართულება რადიკალურად შეიცვალა. შეიცვალა კი? როგორია საერთო სურათი?

არიან ჩვენში პოეტები, რომლებიც ჯიუტად ინარჩუნებენ ტრადიციულობის ელფერს და პოეზიის კლასიკური განსაზღვრების ჩარჩოებში თავსდებიან. არიან, მეორე მხრივ, ისეთებიც, რომლებიც ამ ჩარჩოებიდან ნებისმიერი გზით გათავისუფლებას ცდილობენ ან უკვე გათავისუფლდნენ. ერთი რამ კი ცხადია: ყოველმა მათგანმა დროის შესატყვისად სიახლისკენ მიზანმიმართული გეზი აიღო და თან ეცადა, "პოეზიის ენა" არ დაეკარგა. მიზანმიმართული, ვამბობთ, მაგრამ ეს ნათქვამი შეიძლება გადაჭარბებულიც იყოს. "სიახლისკენ სწრაფვა" მოარული შტამპია. სინამდვილეში ყველაფერი გაცილებით უფრო რთულად ხდება. პოეტი ინტუიტურადაც და ცნობიერადაც ეძებს განსხვავებულ ფორმას, განსხვავებულ ინტონაციას, რომელიც მის პიროვნულ ინდივიდუალობას უნდა შეესაბამებოდეს, მაგრამ ამ ძიების გზაზე მას, არ შეიძლება, რაღაცგვარი მიმართება არ ჰქონდეს უკვე არსებული ტრადიციისადმი. ტრადიციის ყველაზე რადიკალური უარყოფაც კი მის გარკვეულწილად გადააზრებას გულისხმობს. ჯუანშერ ტიკარაძის ლექსებ-

მა იმიტომ ამიშალა ფიქრის სალერლელო, რომ მან სწორედ ტრადიციის თავისებური გადაფასების საფუძველზე სიახლეთა ნიშნით აღბეჭდა თავისი ლირიკული ნააზრევი. ამავე დროს მან, ჩემი აზრით, შეძლო თავი დაეღწია "შემოქმედებითი ვაკუუმისთვის", სიცარიელისთვის, რომელშიც არაერთი ახალგაზრდა პოეტი მოხვდა. იქ მოხვდა ის, ვინც ქართულენოვანი პოეტური ტრადიცია ხელალებით უარყო და ვერაფერი მოიხვეჭა მკვდარი სიტყვების გარდა. მკვდარი სიტყვების ანაბარა კი იგი შეიძლება დარჩეს, ვინც არ იცის ერთი რამ: არაფერს ისე არ ეშინია სიტყვიერი ქაოსისა, როგორც პოეზიას. პოეზია სწორედ სიტყვიერი სიზუსტის ხელოვნებაა. პოეტურ აზრს ცხოველმყოფლობას სხვა უნარებთან ერთად სიტყვის საჭირო კონტექსტში ჩასმის უნარი ანიჭებს.

ჯუანშერ ტიკარაძის ლექსები მეტწილად ვრცელია, მაგრამ აქ ძნელად თუ იპოვით უფუნქციო სიტყვებს. მისი აზროვნება კონკრეტულ და შეუნაცვლებელ სიტყვებზეა აგებული. აქ მეტწილად ამბის თხრობაა ან მედიტაცია, ხშირად ერთი ენაცვლება მეორეს. თავისუფალ ლექსებში მეტაფორული აზროვნება მინიმუმამდეა დაყვანილი, კონვენციური ლექსის სტრუქტურაში კი მეტაფორა თითქოს თავის "ჩვეულ ადგილს" იკავებს. ლექსის კონვენციურობაც სწორედ ამით არის განსაზღვრული, რომ ყველა ტრადიციული სალექსო კომპონენტი ერთად იყრის თავს.

ამიტომ, ჯუანშერ ტიკარაძის კონვენციური და თავისუფალი ლექსები მნიშვნელოვანწილად განსხვავდება ერთმანეთისგან. ეს ფაქტი აღნიშვნის ღირსია, რადგან ყველა პოეტთან ასე როდი ხდება. მოვიყვან ტრადიციული ლექსის ნიმუშს: "მზერადაღლილი ლანდები წვანან / შორს, ჩამავალ მზის ჩადრით ბურვილი / და თავს ვაკვებ ოცნებით, სანამ / ჩემში ჩაცხრება ნგრევის სურვილი, / მაგრამ ადრეა... ვერ ითმენს ამდენს, / თან უტეხია გონის ქმნილება; / მუშტებს არ უნდათ, თითები გახდნენ, / აღარც თითებს სურთ დამორჩილება. / დღე კი ილევა. ფერშეცვლილ კედლებს / მზე სისხლით აწერს რაღაც ასოებს. / სიმწრით ვაკვებ ატეხილ მხედრებს, / ცხენებს დეზები ეჭვებს ასობენ. / მაინც რად უნდა ბედს - მოხუც ყასაბს, / ნაჯახს ვიქნევდე მეც გამეხებით / და ვხედავ, როგორ მეფშვნება, რასაც / ვიხსენებ, ანდა ფიქრით ვეხები. / ჩქარა ბნელდება, ქვეყანაც ჩაქრა / - დაუნდობელი ღამით ბურვილი. / მე თავს ვიტყუებ ოცნებით, მაგრამ / სულში არ ცხრება ნგრევის სურვილი".


ტრადიციის ინერცია, როგორც უკვე ვთქვი, თავს არ მალავს და იმდენად მძლავრია, რომ თითქმის მთლიანად იპყრობს ლექსის სააზროვნო სივრცეს. აქ არის ისეთი პაუზები, ისეთი ინტონაციური ინტერვალები, რომ თითქოს უკვე ნაცნობი მელოდია ჩაგესმის ყურში. მაგრამ ამავე დროს, არის რაღაც ტიკარაძისეული, საკუთრივ მი-

სი, რასაც ინდივიდუალობის მიმნიჭებელი შტრიხი შეაქვს ლექსში. რა არის ეს? ჩემი აზრით, ეს არის პათოსი, რომელიც კარგად გამოიხატა სიტყვებში "ნგრევის სურვილი". ჯუანშერ ტიკარაძის წიგნში ნათლად ჩანს ამ პათოსის, ამ ღრმა ინტუიციაზე დაფუძნებული სწრაფვის, "სტერეოტიპების ნგრევის" შედეგები, რაც უფრო მკაფიოდაა გამოვლენილი თავისუფალ ლექსებში. აქ თითქოს პოეტი თავის ბუნებრივ სტიქიაშია, თვითონვე ქმნის თავის საარსებო გარემოს.

ჯუანშერ ტიკარაძის თავისუფალი ლექსები თავისებურია: აქ თხრობა, ფაბულა, უჩვეულო ამბავი გადამწყვეტ ფუნქციას ასრულებს. კომპოზიციურ სტრუქტურას სწორედ ამ ამბის, ფაბულის გაშლა-განვითარება, მოულოდნელი მედიტაციური ნიაღვრეები, ერთმანეთზე გადაბმული თხრობითი ელემენტები ქმნის. ჯუანშერ ტიკარაძე, როგორც თვითონ ამბობს, "ჰყვება ლექსს", და ამასთანავე ის თითქმის მთელ წიგნში ინარჩუნებს "პოეტურ სიმჭიდროვეს", მხატვრულ დაძაბულობას, ერთგვარ სიტყვიერ სიხისტესთან ერთად მოქნილობას, ელასტიურობას, მკაფიო ლირიკულ ფონს. აი, ვთქვათ, ლექსი "ერთხელ, პარასკევს": "მოდიო ამნაირად მოვყვები ამ ლექსს: გამოიყვანეს დილის ცის ქვეშ და მოასხეს მენამული მანტია მხრებზე და დაადგეს ეკლიანი გვირგვინი და ხელთ ღერნამი დააჭერინეს და ხარხარით მოიყარეს მუხლი იმის წინ და აბლაღდნენ მეფე, მე-

ფეო, მეფეო ურიათაო და გამოგლიჯეს მერე ღერნამი და ნააქციეს რბილ მიწაზე და დაუნყეს ცემა იმ ღერნმით და წიხლებით და მუშტებით და აფურთხებდნენ და მანტია შემოაფლითეს და აჰკიდეს მერე ხის ჯვარი და გაიგდეს წინ სისხლიანი და მტვრიანი და ფერმემკრთალი და რამდენჯერმე ნაიქცა გზად ჯვარის სიმძიმის ქვეშ და რბილ მიწაზე დაეხვინა მისი ტუჩები და ლოყები და წამწამები და მეომრებმა წამოაყენეს შუბების ჩხვლეტით და იმის უკან სუნთქავდა ხალხი ცხელ ნესტოებით და ხალხი ბორგავდა და გაჰყვიროდა ხალხი. და წამოაქციეს ბოლოს ჯვარი ზე და გამოვიდა კაცი მოუქნელი და თმაგადახოტრილი და მან ჯერ ჩხვლეტა იგრძნო მხოლოდ ხელისგულზე და მერე ლურსმანი ხორცის ნაფლეთებთან ერთად შესრიალდა ხეში და ჩაჯდა იქ და თვალები გადმოცვივდნენ ლამის გუგიდან ისე გადიდდნენ და კიდევ ერთხელ დაჰქრა ჩაქუჩი ისე ყოველი შემთხვევისათვის და მიაჭექყა ხელისგული ლურსმანსა და ჯვარს შორის მჭიდროდ და ნელ-ნელა აღმართეს ჯვარი და ლურსმანზეც ნელ-ნელა დაცურდა ხორცი და ნელ-ნელა ჩაიხა ხორცი ტანის სიმძიმით და აქეთ-იქით ამოუყენეს ორი ჯვარი ქურდის და ავაზაკის და ერთი მათგანი აგინებდა მას და აფურთხებდა სანამ პირი გაუმრებოდა და ბრბოც გარშემო გაუგუნებდა მზით დანესტრილი და ბორგავდა ბრბო და ბრბო სუნთქავდა ცხელ ნესტოებით და გავიდა ერთი საათი და გავიდა სამი საათი და მან თვალები აახილა დასუსტებული და ტუჩები სისხლისაგან შენებებული ძლივს აახლიწა ერთიმეორეს და ცეცხლჩამქრალი სხეულიდან ამოიყვირა ღმერთო ღმერთო რატომ დამტოვე ღმერთოო ღმერთო და მას სანაცვლოდ ძმრიანი ღრუბელი მიუტანეს პირთან და მოუსვეს დამსკდარ ბაგეზე და მან ამოიოხრა უსასრულოდ და საბოლოოდ და დაინახა ცის სამყოფელი და მამის ხელი სიყვარულით გამოშვერილი - მაპატიე, ამნაირად მოვეყვი ეს ლექსი, ქრისტე."

ეს ლირიკული აპოკრიფი მართლაც თვალნათლივი ნიმუშია იმისა, თუ როგორ იჭრება პოეზიაში პროზა, როგორ შეიძლება დაემთხვეს პოეტური და პროზაული რაკურსი ერთმანეთს. მე ზემოთ სტერეოტიპების ნგრევის სურვილზე და პათოსზე ვლაპარაკობდი და თვითონ პოეტს დავესესხე ეს სიტყვები. ამ ლექსის გაცნობის შემდეგ კი მკითხველისთვის ცხადი გახდება, რომ ჯუანშერ ტიკარაძე, უპირველეს ყოვლისა, იმ სტერეოტიპს, იმ წარმოდგენას ამსხვრევს პოეზიაზე, რომელიც ილუზიებით, ეგზალტაციით რეალობის დამთრგუნველი ფანტასმაგორიებით არის ნასაზრდოები. ჯუანშერ ტიკარაძეს "არაპოეტური", მაგრამ თურმე ნუ იტყვით, სწორედაც პოეტური ჟინი ამოძრავებს - ილუზიებისგან განძარცვოს სინამდვილე და ყოფიერების ყველაზე უფრო ღრმა ფსკერს მიანვდინოს მზერა. მის პოეტურ იმპულსებს ცხოვრების ყველაზე უფრო პროზაული მო-



ლექსი "არაპოეტური" - ჯუანშერ ტიკარაძის

80-7 გვარდიონი

მენტები აღძრავენ. ჯუანშერ ტიკარაძე, თუ შეიძლება ითქვას, პროზაიკოსია პოეზიაში, რაც თანამედროვე ქართულ მწერლობაში არცთუ უცხო ხილია, მაგრამ მისი ლექსები მაინც უჩვეულო შთაბეჭდილებას ტოვებს. უჩვეულოა ყოველ ლექსში მისი დაუოკებელი სწრაფვა ტრადიციულ-პოეტური საფარველისგან განძარცვისა, ცხოვრების ყველაზე უხემ სინამდვილესთან მიახლოებისა, პროზაული რეალობის ყველაზე უფრო "მსხვილი პლანით" წარმოჩენისა. ალბათ, სახარების ყველაზე დრამატულ-პროზაული ფრაგმენტიც იმიტომ აქცია ლექსად, რომ ერევნებინა, რა მკვეთრი განაჩენი გამოუტანეს ქრისტეს ადამიანებმა და როგორ გაიღვიძა თვითონ მასში ადამიანურმა ბუნებამ. ღმერთო, ღმერთო, რატომ დამტოვე, ამბობს ქრისტე და ეს არის ლექსის დამაგვირგვინებელი აკორდი.

"მოდით, ერთ პატარა ამბავსაც მოგიყვებით", გვეუბნება პოეტი და უკვე ვგრძნობთ, რომ ამბავი არა მარტო უჩვეულო იქნება, არამედ "ილუზიების მსხვერველი" და ცხოვრების ფსკერის მომხილველი. ამ ამბავს ანუ ლექსს ჰქვია "მაშინ ათი

წლის ვიყავი".

ამ ლექსში ათი წლის ღირსი-კული გმირის ფროიდისეული ლიბიდო ჯერ გაუცნობიერებელი ინტერესის მეშვეობით იჩენს თავს. პანანინა ტყის მსგავს ხეივანში ბავშვები ტყემლის და ჭერმის ნაყოფებს აგროვებენ. ერთხელაც, როგორც ათი წლის ბიჭი გვამცნობს: "გაუკრეფავი ხის ძიებაში საკმაოდ ღრმად შევედი ტყეში და, ღმერთო ჩემო, რა დავინახე! ქალი და კაცი". ბიჭი ქალაქის განაპირა, მივარდნილ ადგილას უჩვეულო "სანახაობას" გადააწყდა, ვინაიდან ვერ მიხვდა მიწაზე გართხმული ქალი და ზედ გადანოლილი კაცი რას აკეთებდნენ, სქესობრივი აქტი ძალადობად ჩათვალა და ნეტარების ბურუსში გახვეულებს ქვა დაუშინა. და შემდეგ ისეთი პასაჟი მოსდევს ქვის სროლას, რომელიც მთელ ლექსს პოეტურ დინამიზმს და ექსპრესიულობას ანიჭებს. ამ პასაჟის მეშვეობით ჯუანშერ ტიკარაძე წარმოდგება ჩვენს წინაშე, როგორც მხატვარი, როგორც დრამატული ვითარების ზუსტი შტრიხებით აღმწერი: "მე მივრბოდი ქალის კივილში, კაცის გინებაში, შემზარავი აჩრდილებით დასახლებულ ჰაერში. მე მივრბოდი თავდაღმართზე, დაგორებულ ქვებში, იმ ქვებიდან აღენილ მტვერში. მე

მივშლივინებდი მუხლებამდე ბალახში, სახით, მკლავებით, ტანით მივამტვრევდი ტოტებს, ტანსაცმლის ნაფლეთებს ვტოვებდი იმ ტოტებზე. მე მივრბოდი საკუთარ გულისცემაში, მე მესმოდა საკუთარი ნაბიჯების ხმა, მე მეშინოდა საკუთარი ნაბიჯების, მე მეჩვენებოდა გამომვერილი ხელები, დანები, გუდიანი კაცი..."

ჩვენს წარმოდგენაში არსებული სამყაროს ტრადიციული სურათის რღვევა, ერთგვარი ეპატაჟური გამოწვევაც ჯუანშერ ტიკარაძის ლექსების ზოგადი შტრიხია. უკვე ვნახეთ, პოეტი როგორც თავისი მსოფლმხედველობით, ისე ლექსწერითაც უპირისპირდება რაც დრომოჭმულია, ზედაპირულია, და სამწუხაროდ, ფესვგადგმულია ჩვენს ე.წ. კულტურულ ატმოსფეროში. ჩემი აზრით, არსებობს უფრო კონკრეტული შტრიხიც, რომელიც უაღრესად თავისებურად წარმოაჩენს მის ლირიკულ სუბიექტს, მისი მკაცრი პოეტური ქვეყნიერების მთავარ პერსონაჟს. ეს ჩანს ჯუანშერ ტიკარაძის წიგნისთვის ნიშნდობლივ ლექსში "ბეკეტი, კამიუ და სხვანი მარტოხელა ზარმაცი ადამიანისათვის". შეუძლებელია, არ გაგახსენდეს მერსო კამიუს "უცხოდან". ეს ლექსი სწორედ

მერსოსეული განწყობილებით არის აღსავსე. ამავე დროს აქ არის ბეკეტი თავის "გოდოს მოლოდინით". რემინისცენცია ასე შეიძლება გაიშიფროს: "მერსო ელოდება გოდოს, გოდო არ ჩანს და არც გამოჩნდება; "დავუწყე ლოდინი იმას, რაც არ მოდის, რაც შეიძლება, საერთოდაც არ არსებობს, მაგრამ მე ეს არ მჯერა. მე მჯერა, რომ უნდა დაველოდო. ამიტომ წამოვწყე ლოგინზე და დავუწყე ლოდინი. თან დროდადრო სიგარეტს ვეწეოდი. შემდეგ სიგარეტი გამითავდა. ვაცალე, სანამ ძალიან არ მომინდა. შემდეგ ვაცალე, სანამ აუტანლად არ მომინდა. შემდეგ ავდექი, გამოვიცვალე ტანსაცმელი, გავიკეთე ლინზეები, გარეთ გავედი, ვიყიდე, ამასობაში ვიგრძენი, რომ მომშივადა" და ა.შ.

"ბებერი ჭრიჭინას სენტენციები" ფილოსოფიური პოემაა. მე ვფიქრობ, ამ ნაწარმოებში ყველაზე უფრო სრულად გამოვლინდა ჯუანშერ ტიკარაძის მხატვრულ-მსოფლმხედველობრივი სამყაროს ნიშნები, ხელშესახებად გამოიკვეთა ლექსწერის თავისებურებაც და სათქმელის რაობაც. ჭრიჭინა ეპოქის განმასახიერებელია, ნიჰილიზმის ადვებტია. ჭრიჭინას სენტენციებში კარგად ჩანს ზნეობრივი ღირებულებების რღვევა. მისი პი-

რით დღევანდელი ქვეყნიერების მრავალ სნეულებას ვიტყობთ. ვხედავთ, როგორ გადაგვარდა ადამიანი, როგორ დაკარგა სულიერი სიმაღლე. ჭრიჭინა გვატყობინებს: "ღმერთი არსებობს, მაგრამ მკვდარია". ეს ჭრიჭინას მიერ ნათქვამი ერთადერთი სიბრძნე არ არის, სენტენციების მეშვეობით დაღმავლობის ეპოქის და იდეალების კვდომის მსოფლმხედველობაა გამჟღავნებული.

კიდევ მრავალგვარი აზრი შეიძლება გამოითქვას ჯუანშერ ტიკარაძის ლექსების არცთუ მომცრო კრებულზე. ამ ლექსების მხატვრულ-მინაარსობრივი დიაპაზონი გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე მათივე რაოდენობა. პოეტი "ალაბებდზე" არასოდეს არ ლაპარაკობს, ყოველი ლექსი შთაგონებით არის ნაკარნახევი. რითმთან ლექსებში გამოსჭვივის სიტყვის ძალდაუტანებელი ფლობა და აზრის ოსტატურად განფენის უნარი. რაც მთავარია, ამ ლექსების მიღმა ჩანს პიროვნება, რომელსაც თავისი მიუკერძოებელი იჭვი და ლოდინი, ტანჯვა და ტკივილი გააჩნია. მან შეძლო, ყოველივე თავის ინდივიდუალობას მორგებული თამამი პროზაულ-პოეტური შტრიხებით გადმოეცა. ეს კი იოლი ნამდვილად არ არის.

ფრთხილად, ჰონ!

პერა ნაფარიძე



ნუგზარ ერგეპლიძე, Back in the USSR. თბ. "საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია", 2002.

ამ წიგნის სათაურისა და გარეკანის გამო, შესაძლოა, თავიდან ჩემსავით შეცდეთ და იფიქროთ, რომ თქვენს ხელთაა ცნობილი მომღერლის ტკბილი მოგონებების კრებული. თავად სახელწოდება Back in the USSR და გარეკანზე "ბითლზების" სტილში გადაღებული "ორერას" ფოტოც დაგაიმედებთ, რომ წინ გელით ათასგვარი ისტორიები, თუ როგორ გაუსინჯეს გემო "აკრძალულ ხილს" ქართველმა მელომანებმა და ა.შ.. მაგრამ, დაინყებთ თუ არა კითხვას, მიხედვით, რომ წიგნი ნუგზარ ერგეპლიძის ორიგინალური პროზაა, ე.წ. Fiction. აბა, სხვაგან სად წაგიკითხავთ იმ ედუარდ შევარდნაძეზე, რომელიც ჯერ არც კომპარტიის პირველი მდივანი გამხდარა, არც საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი

და არც საქართველოს პრეზიდენტი. ან თავად ჯონ ლენონზე, ჯერ კიდევ რომ არ მიუღწევია დიდების მწვერვალს...

მათ გარდა, წიგნში კიდევ რამდენიმე ისტორიულ პიროვნებას შეხვდებით, ავტორისთვის ხომ ეს სხვადასხვა ეპოქების შესადარებელი ერთგვარი ხერხია. ალბათ, თავიდანვე უნდა ითქვას, რომ წიგნის მთავარი ღირსებაც სწორედ ეს უნდა იყოს - ისტორიულ პიროვნებებთან ერთად დროში მოგზაურობა, მოტივი, რომლითაც არც ისეა განებივრებული თანამედროვე ქართული ლიტერატურა.

არ ვიცი, რამდენად შეიძლება ირაკლი ჩიქოვანსა და ნუგზარ კალმახელიძეს ჩვენი თანამედროვეები ვუწოდოთ. მათი სახით წიგნს ორი მოგზაური მთავარი გმირი ჰყავს. ისინი პარალელურად ცხოვრობენ 90-იანების, 70-იანებისა თუ 60-იანი წლების თბილისში. წიგნიც ძირითადად, ამ პერიოდის ჩვენთვის ისტორიული მნიშვნელობის საამაყო თუ სამარცხვინო მოვლენებსა და პიროვნებებს გვახსენებს; მოქმედებაც მათ ირგვლივ ხდება.

წაწილობრივ, ცნობილი მოვლენების გამო, 1993 წელს ირაკლი ჩიქოვანის უფერულ ცხოვრებას (იმ დროისათვის ჩვეულებრივს) აბსოლუტურად შეცვლის ნუგზარ კალმახელიძესთან შეხვედრა. ეს ადამიანი გარკვეულწილად, ახალგაზრდა გმირის მასწავლებლადაც შეგვიძლია ვიგულოთ. "მოძღვარი" ჩიქოვანს ერთგვარ საიდუმლოს გაუმხელს, რისი წყალობითაც შემდეგში ირაკლი ჩიქოვანი საკუთარ წარსულში იმოგზაურებს და ამ გზით გადაწყვეტს, აარიდოს განსაცდელი სხვებს. საამისოდ ირაკლი ჩიქოვანი იგონებს სხვადასხვა მაქინაციებს, თუმცა

ამ ხრიკებით იგი, თუ არ ვცდები, მხოლოდ ერთი მეგობრის გადარჩენას შეძლებს. როგორ ფიქრობთ, რა შეიცვლებოდა საქართველოს ისტორიაში, 1964 წელს რომ ვინმე კომკავშირელი შევარდნაძისთვის მისი მომავალი შეტყობინებინათ? ნაწარმოების გმირისა და ამხანაგ შევარდნაძის რამდენიმე გულგული საუბრების მიუხედავად, შეკითხვა წიგნის ბოლო ფურცლებამდე უპასუხოდ რჩება.

სხვადასხვა პერიოდის წარმოჩენის მცდელობისას ავტორს ცოტა ზედაპირულობაშიც შეიძლება შევედავოთ. 90-იანი წლების უფერულ თბილისს ირაკლი ჩიქოვანი მოკლედ ახასიათებს: "მეტრო ისევ არ მუშაობს. დენი არ არის! ენერგეტიკული კრიზისი ზაფხულშიც ასე ნებდა თავს მოქალაქეებს. ტაქსი აღარ იყო თბილისში, ხოლო კერძო მანქანების მფლობელნი ისეთ თანხას ითხოვდნენ, უკიდურესი საჭიროებისათვის თუ შეიძლებოდა ასეთი ნაბიჯის გადადგმა".

70-იანების თბილისი გარკვეული გაგებით უფრო ლაღია. წიგნის პერსონაჟები ბათუმში "ატარებენ დროს"; აქ გაიღვებენ სპორტივ სპორტის პერსონა, რომლის შვილიც ირაკლი ჩიქოვანის მეგობარია; ისევე, როგორც 90-იანი წლების ახალგაზრდებს, მათაც უყვართ პოეზია, რაც ძირითადად, პირად საუბრებში ფრაზების გართიმვით გამოიხატება, მაგრამ, მაშინდელ ახალგაზრდებში მეტია სიახლისადმი სწრაფვა. დასავლეთში "სუპერსტარის" ეპოქაა. თბილისელმა მელომანებმაც გაუსინჯეს გემო ამ ნეტარებას და ყველაფრისთვის მზად არიან, ოღონდ დატკნენ ამ მელოდიებისა თუ საბჭოეთში აკრძალული უცხოური ფილმების კადრებით.

აი, სულ სხვაა 60-იანი წლები. აქ ავტორი ცდილობს, ეპოქის სიღრმადე უფრო გლობალურად აჩვენოს, რისთვისაც სწორ არჩევანს აკეთებს – მიდის ინგლისში, მუსიკალურ კაბადონზე ახლად-გამოჩენილი "ბითლზების" სამშობლოში. თბილისში ამ დროს "ორერას" ერთადერთი და უნიკალური. მახსოვს, ბავშვობაში მესმოდა ხოლმე, უცხოეთში "ორერას" მოუსმინეს და "ბითლების" დონის შეფასება მისცესო, - როგორც ჩანს, ამ მოსაზრებას თანამედროვე საქართველოშიც იზიარებენ...

რაც შეეხება პერსონაჟებს, წიგნში შეხვდებით: ნოდარ დუმბაძეს, "ორერას", მთელი თავისი შემადგენლობით; იპოლიტე ხეიჩიას; გაიღვებენ მიშა ფოფხაძის (რომელსაც რადიო "თავისუფლების" მსმენელი ლუკა ბეთანელის სახელით უფრო იცნობს) სახელიც, რომელიც საბჭოთა კავშირიდან თავშესაფარს დასავლეთში აღმოაჩენს; ერთ პასაჟში თავად წიგნის ავტორის, ნუგზარ ერგეპლიძის პერსონაც ჩნდება, ისმის მერაბ სეფაშვილის სახელიც – ეს ის ხალხია, ვისთან ერთადაც წიგნის ავტორს შემოქმედებითი თუ მეგობრული ურთიერთობებიც აკავშირებდა;

წაწარმოების ერთ-ერთი ნაკლი, ალბათ, ბანალური დიალოგებია. ასეთ დიალოგებში ავტორი ცდილობს წარმოაჩინოს "ჩვენი", ძირითადად კი, ქართველი მამაკაცების ხასიათი; როგორია ქართველი მოსკოვში – არხინი, მფლანგელი, "ურა-პატრიოტი" და ა.შ. როგორ სვამს და ასმევს "ჩრდილოელებს" საკუთარი სამშობლოს სადღეგრძელოებს და როგორ აღაფრთოვანებთ მას-პინძლებს მისი (ამ შემთხვევაში, ირაკლი ჩიქოვანის) სამშობლოსადმი ასეთი ერთგულება და

სიყვარული. არ ვიცი რატომ, ყველაზე სახალისოდ ბოლო გვერდები მომეჩვენა, სადაც ლიტერატურული ფანტაზიის წყალობით, წიგნის მთავარი გმირისა და "ორერას" ინგლისში მოგზაურობაა აღწერილი. როგორ გააოგნეს საბჭოთა ქართველმა მუსიკოსებმა თავად ჯონ ლენონი (ოღონდ, კიდევ კარგი, რომ - არა საკუთარი მუსიკალური შემოქმედებით), დროში მოგზაურობის შესაძლებლობებითა და მომავლის (მათ შორის, თავად ჯონ ლენონის) წინასწარმეტყველებით; ირაკლი ჩიქოვანი საუკუნის ვარსკვლავს 1980-ში თავყვანისმცემლის ხელით მოსალოდნელი მკვლელობის შესახებ შეატყობინებს. "იცი, რა? მომკლან, არ დავცეპ", - წაიკითხავთ წიგნის დასასრულს ლენონის ერთ-ერთ უკანასკნელ ფრაზას, რომელიც მან ქართველ მოგზაურს გაანდო. ცოტა სასაცილოა, თუმცა რა – ლიტერატურული ფანტაზიის საზღვრები ხომ დაუდგენელი, ხოლო ლიტერატორის "თავნებობა" – შეუზღუდავია?!

ავტორს, მისივე დებიუტანტობის გამო, უდავოდ უნდა ვაპატიოთ თითო-ორილა გაუმართავი წინადადება, მაგალითად, ასეთი: "ჩიქოვანი მოძრაობაში ტელეფონის დარეკვით გამოწვეულმა საჭიროებამ მოიყვანა". ნუგზარ ერგეპლიძის მხატვრული შედარებებიცა თუ მეტაფორებიც თავისებურია. ზოგადად კი, ავტორის ლიტერატურული ენა თანამედროვე, ადვილად გასაგებია და ამიტომაც, ამ წიგნის წაკითხვა ერთი ამოსუნთქვით შეიძლება და საბოლოო ჯამში, ალბათ მისასალმებელია, რომ მომღერალმა ახალ ამპლუაში გამოჩენა კიდევ ერთი ორიგინალური ხერხითაც სცადა.

თარგმანი

"ალქიმიკოსის" მამიური სინამდვილე

"...ნარცისის სიკვდილის შემდეგ, ნიმფებმა იპოვეს ტბა. წინათ ანკარა წყალი ახლა უკვე ცრემლების ტბად ქცეულიყო. "რა გატირებს?" ჰკითხეს მათ. "ნარცისის გამო ვტირი", - უპასუხა ტბამ. "ეს ხომ ისედაც ცხადია, რადგან ჩვენ სულ მუდამ დავღვედით მას ტყეში, მხოლოდ შენ შეგეძლო ახლოს გეხილა შენი მშვენიერება". "ნუთუ ლამაზი იყო ნარცისი?" - იკითხა ტბამ. "შენზე უკეთ ვინ უნდა იცოდეს?" - თქვეს გაოცებულმა ნიმფებმა, - "ის ხომ ყოველდღე შენს ნაპირებთან მოდიოდა და ტკბებოდა საკუთარი თავით!" ტბა ერთხანს დუმდა. ბოლოს თქვა: "მე ნარცისისთვის ვტირი, მაგრამ არასდროს შემიმჩნევია, რომ მშვენიერი იყო. ყოველთვის, როცა მუხლს მოიყრიდა ჩემს ნაპირებთან, მისი თვალების სიღრმეში საკუთარ სილამაზეს ვჭვრეტდი".

"ალქიმიკოსის" პროლოგიდან

ბაბა ლომიძე



პაულო კოელო. ალქიმიკოსი. ინგლისურიდან თარგმნა დავით აკრიანმა. თბ. ტრიადა, 2002. პირველი გამოცემა "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა".

ვის არ უოცნებია შორეულ ქვეყნებში თავგადასავლების ძიებაზე... მაშინაც კი, როცა მზე იყო ღმერთი, სულიერი მოგზაურობის მომლოდინე ქურუმებს ძაღლისთავიანი ანუბისი სირიუსისკენ წარუძღვებოდა...

"ნადი, საკუთარი ფარა იყიდე და მთა-ბარი მოიარე. ერთხელაც მიხვდები, რომ ჩვენი მხარე საუკეთესოა, ჩვენი ქალები - ულამაზესნი", - ამ სიტყვებით ისტუმრებს მამა საკუთარი ბედის ძიებით შეპყრობილ უძღებ შვილს - სანტიაგოს და რომან "ალქიმიკოსის" ავტორი, ბრაზილიელი მწერალი პაულო კოელო ჩვენც მასთან ერთად გვაზოგზაურებს სიზმრებისა და ნიშნების სამყაროში. "სამყარო, როგორც ტექსტი", - ასე შეიძლება განვსაზღვროთ ჩარჩო რომანისა, რომელიც სამყაროს სემიოტიკურ ალქმის იდეას გვთავაზობს. "მიჰყევი ნიშნებს", - არაერთხელ გვაფრთხილებს რომანი. სამყაროს ტექსტუალიზაცია ერთი მხრივ წიგნის, ან თეორიული ცოდნის სასრულობაზე მიგვითითებს და მეორე მხრივ მოქმედებისკენ, პრაქტიკული "ცოდნისკენ" განგვანყოფს. მოდით, მივყევით ნიშნებს.

ამ თვალსაზრისით კოელოს ენაც თითქოს ცდილობს, "ღმერთის ენას" დაუახლოვდეს. მის მეტაფორებს გარკვეულ იდეამდე მივყავართ, იდეიდან კი ღმერთის მიერ მოცემულ კონკრეტულ ნიშნამდე, რაც ჩვენს ბედს განაპირობებს და რაზე მი-

ციდენტური და ორიენტალის-ტური მსოფლხედვაც). კოელოს აზრით, ადამიანი, რომელიც საკუთარ სიზმარს არ მიჰყვება, უარს ამბობს ღმერთის ხილვაზეც, ვინაიდან ბედნიერი ადამიანები საკუთარ თავში ატარებენ ღმერთს. ალბათ ამ მოსაზრებაში კოელო საკუთარ გამოცდილება-საც გულისხმობს. იგი ბავშვობიდანვე ოცნებობდა მწერლობაზე, თუმცა დედამისის დაჟინებით სამართლის სკოლაში ჩააბარა. "1960-იანი წლების ჰიპურმა მოძრაობამ გამბედაობა შემმატა, რომ უარი მეთქვა ყველაფერზე და საკუთარ ოცნებას გავყოლოდი", - იგონებს კოელო. ერთ-ერთ ინტერვიუში, ცოტა არ იყოს, პროვოკაციული შეფერილობის რევოლუციური სულისკვეთებით აღნიშნავს: "მე იმედი მაქვს, გვეყოფა გამბედაობა, რომ უარი ვთქვათ სამუშაოზე, ყოველგვარ ფორმალობებზე... და მივყევით ჩვენს ბედს".


"ალქიმიკოსის" წარმატება, ნაწილობრივ, ალბათ, იმანაც განპირობა, რომ მისთვის დამახასიათებელია სადა და პოეტური ენა (და ეს თარგმანშიც იგრძნობა). ზოგჯერ პაროდია, მაგ., მელქისედეის მონოლოგში, შეიძლება გავგახსენოთ კლასიკური ნაწარმოებების ჰოლივუდური "რიმეიკი". შესანიშნავია სანტიაგოსა და ფატიმას შეხვედრის ეპიზოდი, სადაც ერთი ნახვით სიყვარული კოსმიურ ხარისხში აყვანილი და სიყვარულის ახსნა

საოცრად პოეტური: "მე შენ მიყვარხარ, რადგან მთელი სამყარო შეითქვა და დამეხმარა, რომ მე-პოვნე". როცა ხილული სამყაროს მიღმა სულიერ მოვლენებს ვჭვრეტთ, მაშინ ღმერთის ენაც გასაგები ხდება; ჩვენ მის ნიშნებს ვკითხულობთ. ღმერთის ენა - სიყვარულის ენაა, რასაც სანტიაგო არაერთხელ აცნობიერებს თავისი ხანგრძლივი მოგზაურობის გზაზე. "არსებობს უნიკალური ენა, ყველასთვის გასაგები, თუმცა ამჟამად დავიწყებული", - ვკითხულობთ რომანში. აღმოსავლურ მისტიკასთან "დაბრუნება", ეგვიპტეში მოგზაურობა, ერთგვარად, წარსულისკენ, ფესვებისკენ, იმ კულტურისკენ რეტროსპექციაა, სადაც ყველასთვის საერთო - პრანა - სიყვარული ეგულება. ამ ინტუიციური, უსიტყვო მეტყველებისვის "უცხო" გაგება არ არსებობს. მთელი ეს მოგზაურობა სანტიაგოსთვის თვითშემეცნების გზა-მეტემფსიქოზია, სადაც იგი "იგონებს", რომ თვითონაც ღმერთის ნაწილია და ყველაფერი - ერთია. კოელოს ანთროპოლოგიური ძიებანი მთავრდება იმით, რასაც შეიძლება გლობალური ჰუმანიზმი თუ ჰუმანისტური გლობალიზაცია დავარქვათ: რომანის მთავარი გმირის სახელი - სანტიაგო პირველად დასასრულს ჩნდება, როცა იგი შინ ბრუნდება, საკუთარი თავის იდენტურობის ახდენს და შეიმეცნებს, რომ მართალია სამყა-

რო "ერთი ხელითაა დანერილი", მაგრამ ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი აქვს.

"ალქიმიკოსის" კითხვისას (იქნებ სიტყვა ალქიმიის წყალობით) მკითხველი და გმირი იმა-ნენტურია. სანტიაგოსთან ერთად, ჩვენც ვჭვრეტთ ქვიშის მარცვალში შესაქმის საიდუმლოს. ეს უაღრესად ოპტიმისტური რომანი საკუთარი ძალის რწმენას გვმატებს ("როცა რაღაც გსურს, მთელი სამყარო შეითქმება, რათა ამ სურვილის განხორციელებაში დაგეხმაროს") და შეგვახსენებს, რომ ყოველი ჩვენგანის ცხოვრებაში ყოფილა წუთი, როცა ბედი საკუთარ არჩევანს გვთავაზობს; ის, ვინც მას მიჰყვება - ბედნიერია.


მაგრამ იქ, სადაც ყველაფერი თითქოსდა წესრიგშია, ეჭვი თავის ხლართებს აგებს. ბორხესი წერდა: "სამყარო ჩვენ გამოვიგონეთ, როგორც მუდმივი, იდუმალი, ხილული, სივრცესა და დროში მყოფი; მაგრამ მისი აგებისას დავტოვეთ უგუნურების უმნიშვნელო, მარადიული ნაპრალები, რომელიც გვარწმუნებს, რომ სამყარო - ჩვენი წარმოსახვაა". იქნებ კოელომ სასურველი რეალობად (ან, უარეს შემთხვევაში, შესაძლებლობად მაინც) წარმოგვიდგინა, რომ ჩვენს სა-ნუკვარ ოცნებებზე ეთამაშა... იქნებ სამყაროს ენაც ისეთივე უტყვი და გაქეპებულია, როგორც ეგვიპტური იეროგლიფები "ალქიმიკოსის" გარეკანზე.



პაულო კოელო

მწვანე მოციმცინე სპეკალი

ზაზა კვარცხიშვილი



თამაზ ჩხენკელი. "მწვანე ბივრითი". რედაქტორი ზაზა ჭავჭავაძე. სს. "გამომცემლობა აჭარა", ბათუმი, 2002.

თამაზ ჩხენკელი 75 წლის გახდა. ლიტერატურის მუზეუმმა, - უფრო სწორად კი, პირადად იზა ორჯონიკიძემ, - არისტოკრატულად გულუხვი საჩუქარი მიუძღვნა მას: რვაგვერდიანი საიუბილეო გაზეთი, რომელშიც რამდენიმე ნამდვილად სანიმუშო წერილია დაბეჭდილი.

"თავისუფლების 75 წელი", - ასეთია ერთი სტატიის სათაური. თუმცა, გამუდმებით რიცხვთა სიმბოლური მნიშვნელობის მჩხრეკელმა იუბილარმა, ალბათ, სხვებზე უკეთ უნყის ნებისმიერი თარიღის პირობითი შინაარსი. კაცისთვის, რომელმაც სიცოცხლე "კოსმიური მუსიკის სმენასა" და "ვარსკვლავიერი მტვრით სუნთქვაში" გალია ("ბჰაგავატ-გიტა", "ოდისეა", ბო ძიუ-ი, "გიტანჯალი", უიტმენი, ვაჟას სამყაროს მითოსური ნიალი, ქართული ასომთავრულის რიცხვულ-გრაფიკული სტრუქტურა...), ეს ჟამი, შესაძლოა, მართლაც 75 ასწლეულიც იყოს და მარადისობასთან ზიარების 75 წამიც.

თავად იუბილარი ამ თარიღს ფუჭი ფაციფუცის გარეშე შეხედა, სწორედ ისე, როგორც შემეგნის მწერალს: გამოაქვეყნა ორი კრებული, - ლექსებისა და სტატიებისა, - სადაც, სხვადასხვა ფორმით და მასშტაბით, მთელი განვლილი გზა აქვს შეჯამებული.

ლექსების გამო არაფერს ვიტყვი. თამაზ ჩხენკელის უდიდესი და ჯეროვნად დღემდე გაუაზრებელი გავლენა უახლესი ქართული ლირიკის ჩამოყალიბებაზე ამომწურავად არის ზემოთ ნახსენებ საიუბილეო გაზეთში გაანალიზებული და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს გააკეთა სწორედ ლექსის უბადლო ვირტუოზმა და გამჭრიახმა ანალიტიკოსმა დავით წერეთლიანმა.

გვერდი-გვერდზე მიდევს თ. ჩხენკელის წერილების ორი კრებული: 1970-იანი წლების მიწურულს გამოცემული "პოეზია - სიბრძნის დარგი" და ძირითადად შემდგომი ხანის ნაფიქრ-ნაწერით შემდგენილი "მწვანე ბივრითი". ასე ზედიზედ გადაკითხვი-

სას თვალსაჩინოა განსხვავება ადრინდელსა და გვიანდელს შორის. ადრეულ სტატიებში არის ცალკეული ლექსისა თუ მთელი პოეტური სამყაროს გულმოდგინე, ღრმა ანალიზი, თემის ამოწურვის სურვილი. შემდგომში ჭარბობს რაღაც თვისება, რაც ნაწერს ძნელად ასახსნელ-განსახსლავარი ხიბლით ავსებს. იგრძნობა, რომ მწერალმა რაღაც მიჯნა გადალახა, რაღაც მოიპოვა... ოღონდ, ეს ნამდვილად არ არის ოსტატობის უფრო მაღალი დონე: წინარე პერიოდის სტატიები ლიტერატურული ოსტატობით არ ჩამოუვარდება და, შესაძლოა, ზოგჯერ აღემატება კიდევ, უფრო გვიანდელს. ესაა, ალბათ, მეტი თავისუფლება და სილაღე... დაძლეულია არა ხელოსნური, არამედ უფრო პიროვნული სრულქმნის ის საფეხური, რომლის შემდეგ ავტორი თავს აღარ იზღუდავს მხოლოდ იმაზე და იმგვარად წერით, რაც საჭიროდ და მნიშვნელოვნად მიაჩნია (კულტურული პროცესების ამოცანებიდან და მათ წინაშე საკუთარი მოვალეობის გააზრებიდან გამომდინარე); როცა მწერალი ყოველგვარი ეჭვისა და ყოყმანის გარეშე იწყებს წერას ისე და იმის შესახებ, როგორც სურს და რაც აინტერესებს. ინტელექტუალური თავისუფლების ამ სივრცეში შედგება კი მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ჭეშმარიტი სულიერი სრულქმნილებისა და სრული უანგარობის გარეშე მისი კარის შეღების ცდა ცუდად მთავრდება - ადამიანი თავისუფლების სამყაროს ფალსიფიცირებულ ორეულში ხვდება: თავნებობისა და სულმდაბალი ამპარტყანების საპარპაშოში.

"მწვანე ბივრითის" ბირთვს ქმნის მოგონებები ავტორისთვის ძვირფას ადამიანებზე: ერთი მხრივ, წინა თაობის მწერლებსა და მეცნიერებზე, რომლებსაც გულმხურვალედ უმადლის საკუთარი პიროვნების ამა თუ იმ ნახნავის ფორმირებას (შალვა ნუცუბიძე, გერონტი ქიქოძე, კონსტანტინე გამსახურდია, პავლე ინგოროყვა, სიმონ ჩიქოვანი...) და, მეორე მხრივ, იმ მეგობრებსა და თანამოკალმეებზე, რომელთა განუმეორებელი ინდივიდუალობა ენერგიით და სიხარულით ავსებდა ყოფასა და ინტელექტუალურ ცხოვრებას (არჩილ სულაკაური, ოტია პაჭკორია, ზურაბ კაკაბაძე, სარგის ცაიშვილი, გურამ ასათიანი, ინოლა გურგულია...).

ავტორი აღწერს მათთან ურთიერთობის სშირად გარეგნულად უმნიშვნელო ეპიზოდებს და ამ ფრაგმენტული, იმპრესიონისტული ჩანახატების შერწყმით როგორღაც ახერხებს გარდასული დროც გააცოცხლოს და უჩვეულოდ მეტყველი პორტრეტებიც შექმნას. ამასთან, მოგონებებში ძალდაუტანებლად ჩართული რამდენიმე ფრაზის მეშვეობით ზოგჯერ ლაკონურად, მაგრამ სრულად არის დახასიათებული "პერსონაჟის" კულტურული როლი (რად ღირს, თუნდაც, მსჯელობა მეცნიერული ობიექტურობისა და პოეტური

შთაგონების მნიშვნელობაზე ისტორიკოსის ნაღვანისათვის, პავლე ინგოროყვასადმი მიძღვნილ სტატიაში) ან კიდევ საოცარი სისავსითაა გადმოცემული მთელი მისი შემოქმედების ბუნება (მოვიყვან ამის ბრწყინვალე ნიმუშს: "გიორგი ლეონიძეს სიცოცხლე უყვარდა რაღაცნაირი "ფანატიკური სიხარბით", თუ შეიძლება ასე ითქვას, რელიგიური ექსტაზურობით და მის ლექსებში ეს ვიტალური ძალმოსილება ზოგჯერ მართლაც იმოსავდა მსოფლმხედველობრივ განზომილებას. მის მსოფლალქმნაში "სიცოცხლე" განიცდება როგორც სომატური სისავსე და დაუშრეტელი ხვავრიელობა: "ჩემს ლექსს თვითთულს ეწურება ცხრა ლიტრი ერბო", ან "კახეთის მსუქან თეძოების ვნოვე მტევნები". ეს ხელშესახები პოხიერება გ. ლეონიძის ადრინდელ პოეზიაში ადამური პირველყოფილებით და ერთგვარი "გვაროვნული" არქაულობით ცნაურდება").

საიუბილეო გაზეთში ზურაბ კიკნაძემ კარგად დაახასიათა თ. ჩხენკელი როგორც გატაცებული მთხრობელი, - უბადლო ნარატორი, - და ხაზი გაუსვა მონათხრობის ზუსტად დათარიღების სიყვარულს. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს მისი დაჟინებული და, პირადად ჩემთვის, ზოგჯერ გაუგებარი სწრაფვა შემთხვევითი ნაცნობების ("არც მტრად, არც მოყვრად რომ აღარსად შეხვდება") გვარების დახსოვებისა და წლების შემდეგ მათი ერთგვარად თვითმიზნური

გახშიანებისკენ, რაც აქა-იქ გაკრთება ხოლმე წიგნში... ვფიქრობ, ამ "უცნაურობას" შობს გამუდმებით ფილოსოფიურ-თეოლოგიური აბსტრაქციების უკიდევანო ოკეანეზე მოხეტიალე გონების დაუძლეველი წყურვილი, მოიპოვოს რაღაც უაღრესად კონკრეტული, მეხსიერების ღუზით მოებლაუჭოს ზუსტი თარიღისა თუ სახელის ლოდს.

არსებითად, წიგნის ძირითადი ნაწილი შეიძლება დავახასიათოთ როგორც წარმატებული ძალისხმევა "გაჭონილი დროის" ხელახლა დაუფლებისა და, სახელებისა და სახეების მეშვეობით, მისი ესენციის ანმყოში ჩაწრეტიასათვის...

და კიდევ: ზემოთ გულგრილად მოვიხსენიე მწერლური ოსტატობა, როგორც რაღაც მეორადი პიროვნულ სრულქმნილებასთან შედარებით, მაგრამ, თავისთავად იგულისხმება, - "ხელობის" უმადლეს დონეზე ფლობაა საჭირო, რათა ძუნწი და ფრაგმენტული შტრიხებით ესოდენ ცოცხალი სურათები დაიხატოს, ან კიდევ - სხვისი მონათხრობის გადმოცემით "ქართული ცხოვრების" ერთი ნაღვლიანი თავისებურების ასეთი შთამბეჭდავი მეტაფორა შეიქმნას (აკაკი ბაქრაძისადმი მიძღვნილ სტატიაში): გრიგოლ რობაქიძის დის, ქალბატონ ლიდას ერთი სიზმარი "მაშინვე ჩავინერე და დღემდე მახსოვს... ზამთარი იყო. გავიხედე გარეთ და ეზოში თოვლზე დავინახე გრიგოლის უზარმაზარი ნაფეხურები, შევმინდი იმხელა ნაფეხურები იყო... ასეა

ჩვენში: სიკვდილის შემდეგ დიდება ნაფეხურები".

წიგნის მეორე ნაწილში დაბეჭდილია თ. ჩხენკელის რამდენიმე ინტერვიუ და სტატია, სადაც ავტორი ქართველი ერისა და ახალი ქართული სახელმწიფოს წინაშე მდგარ ფუნდამენტურ ამოცანებზე მსჯელობს. ზოგ მათგანს ("დედაქალაქი", "განვემზადოთ ახალი საუკუნისთვის") დაბეჭდვისთანავე მოჰყვა არაერთგვაროვანი გამოხმაურებები - ალფრთოვანებულიცა და კრიტიკულიც. ოღონდ, აშკარა იყო, რომ წერილებმა მძაფრი ინტერესი გამოიწვია. ნააზრევის აქტუალურობისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის ყველაზე უეჭველი დადასტურებაც სწორედ ეს არის.

მცირე რეცენზიაში გაუმართლებლად მეჩვენება, ზედაპირულად მაინც მიმოვიხილო წიგნის ამ პუბლიცისტური ნაწილის პრობლემატიკა: ეს, არსებითად, ისტორიული და პოლიტიკური საკითხების არაფრისმთქმელ ჩამონათვალად გადაიქცეოდა. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ სულაც არ არის აუცილებელი, ყოველთვის ბოლომდე და სრულად იქნას გაზიარებული ავტორის პოზიცია (ცალკეულ თვალსაზრისებთან მეც ბევრი მაქვს სადავო), მაგრამ, აუცილებელი თუ არა, სასურველი მაინც არის მისი გათვალისწინება: აზროვნების სიღრმე და სიფართოვე ქმნის ისეთ დონეს, რომელიც თავისთავად სპობს ყველა სახის პროვინციული და ნიჰილისტური შეზღუდულობის უკუნეთს.

და მაინც: რა არის "მწვანე ბივრითი"?

ესაა მარადფასეული კულტურული საგანძურის მეტაფორა, რომელიც ავტორმა "ქართლის ცხოვრებაში" მოიძია: ქართულთა სპილენძის კერპ არმაზს თვალეზად ზურმუხტი და ბივრითი ესხა. მას შემდეგ, რაც წმინდა ნინომ ლოცვით შემუსრა არმაზი, ხელთ იპყრა მისი ბივრითის თვალი და, ამ ბასრი ქვის მეშვეობით, ხეზე ჭეშმარიტი რწმენის სიმბოლო - ჯვარი გამოსახა. ამგვარად, "მწვანე ბივრითი" განასახიერებს ყველაფერ იმას, რაც შეუმუსრავი და სამომავლოდ გამოსადეგია წარსულში.

"ბივრითი", რომელიც თამაზ ჩხენკელს ბედისწერამ აგდებინა ხელთ, - უფრო სწორად კი, თვითონვე მოიპოვა ასკეტის თავგანწირული შეუპოვრობითა და განძისმაძიებლის თავზახელალებული გაბედულებით, - უმშვენიერესი და მარადფასეული სპეკალია, უნივერსალური კულტურის საგანძურიდან ჩვენს კავშირებდანწყვეტილ, ყოვლის გამაუფასურებელ დროში იმედად და რწმენის წყაროდ მოტანილი: მისი სხივების განმაჭაბუკებელ მწვანე ციმციმში ხომ ახლაც ისეთივე მშვენიერებით ირეკლება კოსმოსი და მარადისობა, როგორც ოდესღაც ირეკლებოდა "ბრმა ჰომეროსის", "გიტას" შემოქმედისა და ვაჟა-ფშაველას ყოვლისმხილველ თვალეზში.



თამაზ ჩხენკელი

ცოდნის ფართო წრე ყმაწვილბისთვის

საბავშვო ჟურნალმა “დილა” დაარსებიდან მესამე წელთან დაკავშირებით შესანიშნავი საჩუქარი მიუძღვნა ქართველ მოზარდებს – “საყმაწვილო ენციკლოპედია” შვიდ წიგნად. 2001 წელს გამოვიდა პირველი წიგნი, სამყარო. 2002 წელს - მეორე წიგნი, ცივილიზაციის პირველი ნაწილი. 2004 წელს, ჟურნალ “დილის” დაარსებიდან მე-100 წლისთავზე მეშვიდე წიგნის გამოცემით დასრულდება საიუბილეო ნობათი.

დალი კუპრაძე



საყმაწვილო ენციკლოპედია, წიგნი პირველი, სამყარო. რედაქტორი დოდო წიგნივაძე, ილუსტრაციები: მალხაზ კუხაშვილი, თეა მიქაია. საყმაწვილო ენციკლოპედია, წიგნი მეორე, ნაწილი პირველი, ცივილიზაცია, ილუსტრაციები: თეა მიქაია, ნანა სანაია. თბ. ჟურნალი “დილა”, 2001-2002.

ჟურნალ “დილას” საუკუნოვანი ურთიერთობა აქვს ყმაწვილებთან, დაწყებული სულ პატარებით, რომლებსაც მშობლები უკითხავენ და უფრო და უფრო მოზრდილებით დამთავრებული. ჩვენც, უკვე დიდებს, რამდენჯერ ინტერესით გადაგვიშლია “დილა”, ახალი ნაგვიკითხავს და ძველიც გაგვხსენებ



ბია, მაგალითად, ძალიან კეთილი დათუნა და ამოგვიოხრავს “რას იზამდა დრუნჩა, მისცა ერთი მუჭა...”

ორივე წიგნში გამოყენებულია ჟურნალის პუბლიკაციები. საბავშვო ენციკლოპედიის პირველი წიგნი, “სამყარო”, ევგენი ხარაძის იდეა ყოფილა. საბავშვო საკითხავად ადაპტირებული მისი “ასტრონომია” წლების განმავლობაში იბეჭდებოდა ჟურნალში. სწორედ ეს პუბლიკაციები დაედო საფუძვლად პირველ წიგნს-“სამყაროს”.

ენა, რომლითაც ენციკლოპედია ესაუბრება მკითხველს, მაქსიმალურად არის მისადაგებული ყმაწვილურ ასაკს. ის არც ვითომ ბავშვურად მოჩვენებულია და არც მეცნიერულად მშრალი. მითმართვის ტონი ფაქიზია, რომ არ დააფრთხოს ისეთი მოზარდიც,

რომელმაც არ იცის, რომ “ცოდნის მასწავლებელს” მოჰკიდა ხელი და ჯერ კიდევ ჰგონია, რომ სურათებიდან წიგნს, სხვათაშორის ათვლიერებს.

სამყაროს გაცნობა იწყება ყველასთვის და ყველაზე უფრო ნაცნობი განცდის შესხენებით, როცა ადამიანი პირველად ასწევს თავს, ცას შეხედავს და პირველი გაოცების თუ აღტაცების შემდეგ იზადება შეკითხვები “ვინ, საიდან, როგორ...”

ვინ მოიგონა ცა, როგორ ავიდნენ ცაში ვარსკვლავები და რატომ არ ცვივიან, ვინ შექმნა დედამიწა...

სამყარო მითებით იწყება: ვინ, სად და რას ფიქრობდა სამყაროს შექმნის შესახებ. თურმე, ძველი ბერძნები საწყისად ქაოსს მიიჩნევდნენ, იაპონელებს სჯე-როდათ, რომ სამყარო ტყუპმა ღმერთებმა შექმნეს, რომლებიც დიდხანს ურევდნენ გრძელ მუხს ტალახის ტბაში, ზუსტად ისე, პატარაობისას ყველას რომ უთამაშია; ჩრდილოამერიკელი ინდიელები სამყაროს ყორნის პირმშოდ მიიჩნევდნენ, ხოლო საამების ერთი მითის მიხედვით, სამყარო სიკეთისა და ბოროტების ჭიდილში იშვა.

ენციკლოპედიაში სამყაროს ბიბლიური წარმოდგენის შესახებაც არის მოთხრობილი და უფრო პრაგმატულებისთვის, მოცემულია მეოცე საუკუნის მეცნიერთა ჰიპოთეზებიც. ყველაფერი შეთავაზებასავითაა ისე, როგორც დავით გურამიშვილთან: “შენა გნადს ან რომელითა” და მკითხველი იმ ცოდნით გააგრძელებს კითხვას, რომელსაც თავად აირჩევს. შემდეგ გაეცნობა გალაქტიკებს, ვარსკვლავებს, მზის სისტემას, მთვარეს, დედამიწას და მივა მისთვის საინტერესო და შეუცნობლამდე - რო-

გორ გაჩნდა სიცოცხლე.

ჯერ კიდევ წიგნის დასაწყისში განმარტებულია ევოლუცია, როგორც თანდათანობითი განვითარება და წიგნის ბოლოს უკვე ევოლუციური გზით მკითხველი აკეთებს რევოლუციურ აღმოჩენას, რომ პირველი ადამიანები პრიმატების ჯგუფს განეკუთვნებიან. თუ ეს ვერსია მანამ უცნობი იყო მისთვის, ახლა ენციკლოპედიის ბოლოს ის ილუსტრაციაში იხილავს, რომ მოაზროვნე ევროპელის წინაპარი მაიმუნი იყო. აქვეა ცინცხალი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მილიონ შვიდასი ათასი წლის წინ საქართველოს, დმანისის ერთ-ერთმა მობინადრემ “მესიჯი” - თავის ქალა დაგვიტოვა. ვისაც ადამიანის წარმოშობის მხოლოდ მეცნიერული ახსნა არ აკმაყოფილებს, მას შეუძლია გაეცნოს შუმერულ, სკანდინავიურ, აცტეკურ მითებს.

საყმაწვილო ენციკლოპედიის მეორე წიგნი “ცივილიზაცია”, ნაწილი პირველი. ტერმინ “ცივილიზაციის” განმარტების შემდეგ, წიგნი მითითური ცივილიზაციების ღვთაებრივი და ტოტემური შემოქმედებიდან ფრიგიაში, მუშქების სამეფომდე უამბობს მკითხველს.

მტკვარ-არაქსის კულტურის, ქვიშარის საგანძურის და სარმატული ქვების ქალაქისა და უდაბნოს ველის შესახებ, სტუმარ-მასპინძლობის ეთიკეტის დაცვით, ენციკლოპედიის ბოლო გვერდებზეა მოთხრობილი.

ენციკლოპედიებს ახლავს სახელთა საძიებელი და გამოყენებული ლიტერატურის სია იმ შემთხვევისთვის, თუ რომელიმე, ცოდნას მოწყურებული ყმაწვილი ცოდნის წრის კიდევ უფრო გაფართოებას მოინდომებს.

ორივე წიგნს ყველა გვერდზე

აქვს ლექსიკონი, სადაც ახსნილია იმავე გვერდზე შემოტანილი ახალი სიტყვა, ტერმინი.

“სამყაროსგან” განსხვავებით, “ცივილიზაციაში” ილუსტრაციათა სიჭარბე, ან გნებავთ გვერდების სიმცირე, აფერხებს ინფორმაციის აღქმას. ასევე, ძნელად იკითხება გვერდის ფერად ნაწილზე მოხვედრილი ტექსტის ნაწილი. წიგნი თავისი დიზაინით ჰგავს ჟურნალსაც, მაგრამ რიგ შემთხვევაში არც ჟურნალის ფორმაა დაცული, რაც მკითხველის ინფორმაციულ მასალაზე კონცენტრირებას აფერხებს და ცოტა ღლის მკითხველს. როგორც ერთ-ერთმა საქმის მცოდნემ აღნიშნა, “მე დიზაინს სხვაგვარად გავაკეთებდი. ბოლოს და ბოლოს, უფრო მეტ გვერდზე განვლაგებდი მასალას”, ე. ი. მკითხველს კონცენტრირების და სულის მოთქმის მეტ საშუალებას მივცემდიო. ენციკლოპედიის კონსულტანტებისა და რეცენზენტების რაოდენობა და პროფესიონალიზმი ინფორმაციის ავტორიტეტულობის გარანტიაა და ზოგიერთ საკუთარ სახელთა დღემდე გავრცელებულისგან განსხვავებული გამოთქმაც არგუმენტირებულია ქართული ენისა და პირველადი ენის სპეციფიკიდან გამომდინარე.

წიგნის ყველა პირველად მომჩენი სიხარულით იცხადებს, “საბავშვო ენციკლოპედია!” და იწყებს წიგნის თვალყურებას. შემდეგ უჩნდება სურვილი, რომ შეუძინოს ასაკით შესაფერის თავის ახლობელს და იქვე აღმოაჩენს, რომ თვითონაც ინტერესით კითხულობს. “ეს საყმაწვილო კი არა, დიდისთვისაც კარგია”, ეს შეფასება კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ კარგ წიგნსა და კარგ მკითხველს ასაკი არა აქვს.

სიყვარულის ნაცადი მომდარალი

ტრუმენ კაპოტე. “საუზმე ტიფანისთან” (რომანი და სამი მოთხრობა)

უილიამ გოინენი



ეს კრებული კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ტრუმენ კაპოტეს შემოქმედებაში სიყვარულის თემას ნამყვანი როლი განე-

კუთვნება. წიგნში გაერთიანებულია მოკლე რომანი და სამი მოთხრობა, რომლებიც ალბექდილია მწერლის განუმეორებელი მანერით. “საუზმე ტიფანისთან” სასიყვარულო რომანია. მთხრობელი იგონებს 60-იანი წლების ნიუ-იორკსა და თავის ნაცნობობას ჰოლი გოლაითლისთან - “მართლაც რომ შერეკილ” ქალიშვილთან. ის ნიუ-იორკში ჩამოვიდა ტეხასის ერთი მიყრუებული სოფლიდან, ტულიპიდან, და მაშინვე დაუშვა რამდენიმე შეცდომა. მათ შორის ყველაზე სერიოზული ისაა, რომ ჰოლიმ მიზნად დაისახა, “ესაუზმა ტიფანისთან” და ქვეუღიყო რესტორან “ელ მაროკოს” მუდმივ კლიენტად.

ჰოლი ველური გოგონაა, რომელიც თავის ადგილს ეძებს ცხოვრებაში. მისივე პოეტური განმარტებით, “არასოდეს არ უნდა შეიყვაროთ ველური არსება. რაც უფრო მეტად გეყვარე-

ბათ, მით უფრო გაძლიერდება ის. ხოლო როდესაც ძალას მოიკრებს, ტყვეს შეაფარებს თავს. ან ხეზე აფრინდება. შემდეგ - უფრო მაღალ ხეზე. ბოლოს კი - ცაში”.

ჰოლი გოლაითლი ცისკენ კი არ მიისწრაფვის, არამედ - ტიფანისკენ. მას სურს, იპოვოს “ადგილი, სადაც თავს ისე იგრძნობს, როგორც ტიფანისთან; მაშინ ავეჯს იყიდის და თავის კატას სახელს დაარქმევს”. ამასთან, როდესაც ჰოლის პროვინციალი ქმარი ნიუ-იორკში ჩამოდის და მთხრობელს განუმარტავს ქალის ქცევის ფსიქოლოგიურ საფუძვლებს, მთავარი პერსონაჟის სახე დამაჯერებლობას ჰკარგავს.

ინტრიგა, რომელშიც მონაწილეობენ ჰოლი და მავანი სალი ტომპატო (ნარკოტიკებით მოვაჭრე ბნელი პიროვნება, სინგ-სინგის პატიმარი), აგრეთვე, მნიშვნელოვანწილად აქარწყლებს ჰო-

ლის სახის შთამბეჭდაობას. კაპოტე მკითხველს თავს ახვევს არაბუნებრივ, მელოდრამატულ ამბავს, რომელშიც ფიგურირებენ ბოროტმოქმედები, გაკრეჭილი ნახუტრები, მიტოვებული ძმები და ა.შ., და მოითხოვს ჩვენგან, დავიჯეროთ ჰოლის მამოძრავებელი მოტივების სერიოზულობა, მაგრამ მწერალი მიზანს ვერ აღწევს.


კაპოტეს მიერ ვოდვეილური ხერხების გამოყენება ძირს უთხრის გმირის თავდაპირველ, მეტად საინტერესო კონცეფციას და, შესაბამისად, აუფერულებს მას. საერთოდ, ოთხსავე ნაწარმოებში შეიმჩნევა სიტუაციების შეღამაზებისა და გმირებით “თამაშის” ტენდენცია, რაც თავს იჩენს არა იმდენად სტილურ, რამდენადაც - კონცეპტუალურ დონეზე. საბოლოო ანგარიშში, ეს ხარვეზი აღიქმება, როგორც ეფექტურობის მისაღწევად გამოიზნული ხერხი, და არა რო-

გორც ლიტერატურული ოსტატობის გამოვლინება. შეიძლება, ის წარმოსახვის უმართაობის შედეგადაც მივიჩნიოთ.

“ბრილიანტის გიტარა” და “ყვავილების სახლი” ისევე წარმოგვითქმის, როგორც ჰაერში აფრიალებული ჭრელი ლენტები. თუმცა, მათში მახვილგონიერება ხშირად აძევებს სიმართლეს, ისევე, როგორც პერსონაჟთა სახელები ენაცვლება დახასიათების სიღრმეს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ავტორი თავდაპირველად იგონებს სახელებს: მეგ უაილდფუდი, მისტერ ჰაჰა ჯონსი, ხოზე იბარა - ეგარი, ტიკო ფუ, შემდეგ კი მათ უსადაგებს გმირთა ხასიათებს.

ოსტატურად დაწერილი მოთხრობა “ყვავილების სახლი” მშვენიერ ზღაპარს წააგავს, თუმცა ის გვიამბობს რამდენიმე

2002



ირვინ უელში
“პორნო”
Porno
By Irvine Welsh
Jonathan Cape, pp.320,
August 2002

უკვე ათ წელზე მეტია, რაც მკითხველმა ცნობილი Trainspotting-ის გმირები გაიცნო. რა მოხდა შემდეგ? როგორ მოიქცა რენტონი? რომელიმე გმირმა მაინც თუ მოახერხა ნარკოტიკის გადაგდება? ამ და სხვა კითხვებზე პასუხს ირვინ უელშის “პორნო” გვაძლევს.

უელშის ახალი რომანი Trainspotting-ის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს. რენტონს უკვე ამსტერდამში ვიხილავთ. მან ახალი ცხოვრება დაიწყო, ახალი “გელფრენდი” იპოვა და ვარჯიშიც კი დაიწყო. საიმონ უილიამსონი კვლავ ლონდონშია, ფრენკ ბეგბიმ მოიხადა სასჯელი, მკვლელობისთვის რომ მიუსაჯეს და ახლა გარეთაა, თუმცა მკითხველი ხვდება, რომ ბეგბის სრული რეინტეგრაცია პოლიციურ საზოგადოებასთან მაინც ვერასოდეს მოხდება.

კითხულობ რომანს და ნელ-ნელა იკვებება ირვინ უელშის რბილი, რიტმული ტონები... “პორნო” მწერლისთვის ფორმასთან დაბრუნებაა. ამ ნაწარმოებმა უელშის შემოქმედების წრე შეკრა ფორმისა და შინაარსის თვალსაზრისით. უელშის რომანი ძველ გარემოში დაბრუნდება, სადაც გმირები თავის ჯოჯოხეთში იხარშებიან. ეს გარემო მკითხველისთვის უკვე კარგად ნაცნობი და ამიტომ ნაკლებად შემაშფოთებელია.

“პორნოს” შინაარსი მარტივია, უელშის ნაწარმოებები ხომ არასოდეს გამოირჩევა განსაკუთრებულად დახლართული ფაბულით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ რომანში გარდატეხაა – ირვინ უელში ქალის ფსიქოლოგიის ექსპერტად გვევლინება და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, პირველად წერს სიმპათიით ქალების შესახებ. ნიკი ფულერ-სმიტი რომანის ყველაზე საინტერესო პერსონაჟია, მისი პორტრეტი და ხასიათი ყველაზე კარგად არის დახატული.


ნიკი კინოსკოლის სტუდენტია, ის თვითონ ირჩენს თავს და მასაჟისტის მისაღებად მუშაობს. ნიკი ფიქრობს, რომ მისი მოწოდება პორნოგრაფიულ ფილმებში გადაღებაა. “ყველაზე საშინელება ისაა, როცა კაცი მოდის შენთან და გეუბნება, რომ ძალიან მაგარი ტანი გაქვს; სულაც არ

მინდა კარგი, მშვენიერი, ლამაზი და მაგარი ტანი, ისეთიც მეყოფა, ჟურნალებში რომ ბეჭდავენ. ასეთი ტანი რომ მქონდეს, ჟურნალებში მეც ხომ დამბეჭდავენ. მაგრამ იქ ჩემი სურათები არ არის, არ მაქვს ასეთი ტანი და იმიტომ. თვალებიდან ცრემლები მომდის, სახე სულ ტუშით გამეთხუპნა. რატომ ვტირი? იმიტომ, რომ ვერსად მივდივარ. აი, რატომ”, – ამბობს “პორნოს” პერსონაჟი.

ეს ეპიზოდი და სმიტის გაცამტვერებული ოცნებები “პორნოს” შემაჯავებელ მონაკვეთად უნდა ჩაითვალოს. რომანში ბევრი იმედგაცრუებაა, მაგრამ Trainspotting-ის მსგავსად, “პორნოც” ზეიმობს, რომ ახალგაზრდობას გაძლების, თვითგადარჩენის უნარი აღმოაჩნდა.

უილიამ ტრევორი
“ამბავი ლუსი გოლტისა”
The Story of Lucy Gault
By William Trevor
Viking Penguin, pp. 228,
September 2002

უილიამ ტრევორი ჩვეულებას არ ღალატობს და მუდმივი ალტერნატივების ძიებაშია. ეს ისეთივე ბუნებრივია მისთვის, როგორც ის ჭეშმარიტება, რომ ადამიანი ორი ფეხით დადის. მერყეობა მცირე ჟანრის მოთხრობებსა და რომანს შორის, ირლანდიის ცხოვრებიდან ინგლისის ცხოვრებაზე გადასვლა, ეროვნული და პირადი პრობლემების სინთეზი – ეს ყველაფერი მწერლისათვის დამახასიათებელია. ტრევორის ბოლო ნაწარმოები “ამბავი ლუსი გოლტისა” ჭეშმარიტად ირლანდიური რომანია და ისევეა გაჯერებული ეროვნული და პირადი ტკივილით, როგორც მისი ადრეული



“ბედის ნებიერები” (Fools of Fortune).

ნაწარმოებს ირლანდიის დამოუკიდებლობის ისტორია უდევს საფუძვლად. რომანი იწყება 1921 წლის მოვლენებით და იმ დროში მთავრდება, როცა ქალაქში, რომელსაც ავტორი ენისეალას უწოდებს, “ქუჩაში მოსიარულენი მოზილურ ტელეფონზე საუბრობენ”.

სულ რაღაც 200 გვერდი 80 წლის ისტორიას იტევს, თუმცა ეს მკითხველს სრულებითაც არ ანცვიფრებს, მაგრამ არ ანცვიფრებს იმიტომ, რომ მწერლური სიურპრიზებით ტრევორს ის ბევრჯერ გაუკვირვებია.

ბედისწერას სასტიკ ტრაგე-

დიამდე მივყავართ. კაცმა რომ თქვას, ის, რაც მოხდა, შეიძლება არ მომხდარიყო; და, ალბათ, ყველაფერი რიგზე იქნებოდა, ვილაცას რომ უკან მოეხედა, ვილაცას ორი სიტყვა ეთქვა, ვილაცას აეხსნა, ვილაცა უფრო ადრე გამოჩენილიყო. ყველაფრის თავი და თავი ისაა, რომ ადამიანები ერთმანეთთან საუბარს გაუზრბიან, არ შეუძლიათ აღიარება და დუმილს ამჯობინებენ. მიზეზი შეიძლება იყოს რისხვა, სიამაყე, მწუხარება ან თავდაცვის ინსტინქტი... ტრაგედია კიდევ უფრო მძაფრდება, როცა მისი მიზეზია სტოიციზმი, გარეგნული თავდაჭერილობა, სიყვარულის მცდარი კონცეფიცია ან, თუნდაც, ნამდვილი სიყვარული. მკითხველმა ისიც კი შეიძლება გაიფიქროს, ამ წიგნის დაწერა მწერალს რაღაც არაამქვეყნიურმა ძალამ შთააგონაო. ტრევორი სიფრთხილით ეკიდება თითოეულ დეტალს. რეალობა ასეთი უღმრთელი არ უნდა იყოს, ადამიანი უნდა გამოფხიზლდეს – ეს ქვეტექსტი ყველა ეპიზოდში იკითხება. რომანის დასასრული, სადაც მკითხველი 80 წლის მთავარ გმირს შეხვდება, თითქმის არ არის ტრაგიკული, თუმცა, ადამიანის გულში ხომ არაფერი სრულდება.


ჯონ აპდაიკი
“ეძიე ჩემი სახე”
Seek My Face
By John Updike
276 pp. New York: Alfred A. Knopf, November 2002

აპდაიკის ახალი რომანი ხელოვნებათმცოდნეებსაც დააინტერესებს. აქ ავტორი შეეცადა ხელოვნების ისტორიისა და მხატვრული ლიტერატურის შერწყმას. შედეგი მართლაც და უჩვეულო გამოდგა; თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ, როგორც კრიტიკოსები აღნიშნავენ, მწერალს დაავინყდა ერთი ჭეშმარიტება, რომ ხელოვანის საქმე და მისი შინაგანი სამყარო მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. კრიტიკოსებმა არც აპდაიკის მიერ დახატული პერსონაჟები მოიწონეს: პერსონაჟები სქემატურია, მათში ხასიათი არ არის დაჭერილი, მთავარი გმირი ჰოუპი თითქმის უსახურია, მეორე გმირი - ზეკი კი მწერალმა ლამის უცვლელად გადმოიღო პირველწყაროდან. აპდაიკისთვის უჩვეულო რომანში ისაა, რომ მას არასოდეს მიუქცევია ასეთი მცირე ყურადღება ნიუანსებისა და მუსიკალურობისათვის. ყველა გვერდზე შეხედებით განყვეტილ წინადადებებს.

რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია ხელოვნების ერთ დარგზე საუბარი მეორე დარგის მეშვეობით. როგორც წესი, ასეთი მცდელობა იშვიათად თუ ყოფილა წარმატებული. ერთ-ერთი წარმატებული მაგალითი თომას მანის “დოქტორი ფაუსტუსია”.

ერთ-ერთ მინაწერში მკითხველისადმი აპდაიკი წერს, რომ მისი რომანი მხატვრული აზროვნების ნაყოფია და მასში არაფერია აბსოლუტურად სინამდვილიდან აღებული. თუმცა, იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ დეტალების დიდი ნაწილი ალბულის სტივენ ნაიფს და გრეგორი

უაიტ სმიტის 1989 წლის ბიოგრაფიული თხზულებიდან - “ჯეკსონ პოლოკი: ამერიკული საგა” და კლიფორდ როსის ანთოლოგიიდან - “აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი: შემოქმედები და კრიტიკოსები”.



“ეძიე ჩემი სახე” მოგვითხრობს ამერიკელი მხატვრების – ექსპრესიონისტების ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, როგორ ჩაუდგა მათ სათავეში ჯექსონ პოლოკი და როგორ მოახერხეს ამ ადამიანებმა ომის დამთავრების შემდეგ, სულ რაღაც ათი წლის განმავლობაში, ევროპელებისგან განცალკევება და იმ თვითმყოფადი კულტურის შექმნა, რამაც ნიუ-იორკი ხელოვნების სამყაროს დედაქალაქად აქცია.

მოქმედება ხდება ვერმონტის შტატში. აპრილის დასაწყისის ერთ ჩვეულებრივ დღეს, ჰოუპ ჩაპეტცის სახლში. ჰოუპ ჩაპეტცი მხატვარ ზაკ მაკოის (პოლოკის პროტოტიპი) მეუღლე და მხატვარ გაი პოლოუეის ქრეია, ის თვითონაც ხელოვანია. ახალგაზრდა ჟურნალისტი კეტრინი ომის შემდგომი პერიოდის ამერიკული ხელოვნების ისტორიის შესწავლას გადაწყვეტს და ჰოუპს ეწვევა ინტერვიუს ჩასაწერად. მთელი დღე ილაპარაკებენ, საუბარი ძირითადად ჰოუპის – 78 წლის ქალის მოგონებებისგან შედგება, მკითხველის თვალწინ ხელოვანთა ცხოვრება და პორტრეტები წარმოჩნდება. თუმცა, კრიტიკოსებს თუ დავესესხებით, რომანი შეიძლება ვერც დაეხმაროს მკითხველს “იმ სახის ძიებაში”, რომლისკენაც ის მიილტვის, რადგან ხელოვანები მაინც მიუწვდომელი არიან. ერთი რამ კი ცხადია: წიგნში მკითხველი ნამდვილად ბევრ საინტერესო აღმოაჩენს, იმას, რაც დაფარულია და რასაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ვერც კი ვამჩნევთ.

ცვეტან ტოდოროვი
“უსასრულო ბაღი: ჰუმანიზმის მემკვიდრეობა”
The Imperfect Garden: The Legacy of Humanism
By Tzvetan Todorov
Translated by Carol Cosman
Princeton University Press,
pp.264, March 2002

ერთი შეხედვით, 60-70-იანი წლების ფრანგი სტრუქტურალისტისა და ლიტერატურის კრიტიკოსის, ცვეტან ტოდოროვის რომანი “უსასრულო ბაღი” მავანსა და მავანს შეიძლება

მწერლის შემოქმედების უკუსვლად მოეჩვენოს, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის. უბრალოდ, როგორც კრიტიკოსები ამბობენ, ეს წიგნი ფრანგული ლიტერატურის კლასიკაზეა ამოზრდილი და მთლიანად ფრანგ მკითხველზეა გათვლილი.

ტოდოროვი ჰუმანიზტების ზნეობრივ ფილოსოფიას ასე ლაკონურად ახასიათებს: “მათი უნივერსალურობა, შენი სასრულობა და ჩემი ავტონომია”. ნებისმიერი ინდივიდი ავტონომიური სუბიექტია, ზნეობრივი არჩევანი მოყვასისთვის სიკეთის გაკეთებას, მოყვასის კეთილდღეობის საკუთარ კეთილდღეობაზე მაღლა დაყენებას ნიშნავს. მხოლოდ მაშინ დაერქმევა მთელ კაცობრიობას ჰუმანიზმის სახელი, - წერს ტოდოროვი.

ტოდოროვის ნაშრომი მულტიკულტურული აზროვნების შედეგია. ამასთან, აქ ბევრ ლიტერატურულ-ფილოსოფიურ სიახლესა და მიგნებას წააწყდებით.


“უსასრულო ბაღის” ავტორი ტოდორანტული, გამგებიანი და ბრძენია შეფასების დროს. ტოდოროვი თავის ნააზრევს სისტე-



მურად გადმოგვცემს, სწორედ ისე, სტრუქტურალისტს რომ შეეფერება, და XVI და XIX საუკუნეების საფრანგეთის ჰუმანიზტური აზრის შთამბეჭდავ სინთეზს გვთავაზობს. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ტოდოროვის მეხედულელები კაცობრიობაზე, საზოგადოების ცხოვრებაზე, პოლიტიკასა თუ ზნეობრიობაზე მკითხველისთვის იმედისმომცემია.

სალმან რუშდი
“გადაბიჯეთ ამ ზღვარს”
Step Across This Line
By Salman Rushdie
New York: Random House,
pp.402, September 2002

“გადაბიჯეთ ამ ზღვარს” – ასე ჰქვია სალმან რუშდის ახალ კრებულს, რომელსაც სახელი ამავე წიგნში შესული ლექციების ციკლის მიხედვით დაერქვა. ლექციათა დიდი ნაწილი 11 სექტემბრის მოვლენებს ეხმიანება. მწერალი ყველა ხელოვანს მოუწოდებს, გაილაშქრონ ძალადობის წინააღმდეგ, იბრძოლონ, რათა ხალხი გამოფხიზლდეს და ბოლოს და ბოლოს, ჩვენი მსოფლზედა შეიცვალოს. მთავარი საკითხი, რაც დღეისათვის ყველაზე მწვავედ დგას, არის ლირე-



ბულების საკითხი, - ამბობს რუშდი და ეს ღირებულება ხელოვანის სამშობლოა.

აიათოლა ხომეინისა და ბრიტანელი პოლიტიკოსების ღალატის შემდეგ სალმან რუშდი კვლავ კალმით დაწერილი სიტყვის ერთგული რჩება. კრებულში შესული ესეები ძირითადად ლიტერატურას ეძღვნება. იგი მოიცავს ე.წ. “ჟამიანობის წლების” რჩეულ ესეებს (ამ სახელით მოიხსენიებდა რუშდი იმ პერიოდს, როდესაც მას სიკვდილით ემუქრებოდნენ, ხოლო ის მხარდაჭერა, რომელსაც მავანნი იჩენდნენ მის მიმართ ლიტერატურულ თუ პოლიტიკურ წრეებში, მხოლოდ მოჩვენებითი იყო).

კრებულის ყველაზე სუსტ სექციად კრიტიკოსები ჟურნა-

ლისტურ ნაშრომების სექციას ასახელებენ. აქ ბოლო ორი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული საგაზეთო სვეტებია წარმოდგენილი. ეს სტატიები რამდენიმე წლის წინ საკმაოდ დროული ჩანდა, ახლა კი, პრინციპში, ტრივიალურია. თუმცა, გაზეთის სპეციფიკიდან გამომდინარე, უჩვეულო აქ არაფერია: 2000 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთი საგაზეთო წერილი მთლიანად ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის პაროდიას წარმოადგენს - აშშ მოხერხებულად იყენებს უსამა ბენ ლადენის ფიგურას, როგორც ბოროტ ძალას, ჩვენ, ბავშვები რომ დაგვაშინოს. ამავე წლის ბოლოს დაწერილ პუბლიკაციაში მწერალი ვარაუდობს, რომ ბუში და გორი ძალაუფლებას გაინანოლებენ და ა.შ.

თუ ეს კრებული მკითხველს დაამახსოვრდება, ისევე ზემოხსენებული ლექციებისა და მათი თანმდევი ესეების წყალობით. აქ რუშდი თავის ჩვეულ ამპლუაშია, გვიამბობს ადამიანურ ფასეულობებზე. ხაზები, რომლებიც გადაიკვეთება, ორგვარია. არსებობს საზღვრები და არსებობს მსაჯულთა - ხელისუფლებისა და ხელისუფალთა ზღვარი.

ამ თემაზე საუბრის დროს მწერალი აკრიტიკებს “პატივისცემის” იდეას, როგორც დიადოგის წინააღმდეგ მიმართულ იარაღს. “ჩვენგან მოითხოვენ, დავუპირისპირდეთ ამ რწმენას (რელიგიური ექსტრემიზმის იდეებს) და ის დანაშაულად, მოძველებულად, მცდარად აღ-

ვიქვით. არადა, ასეთი განდგომა “პატივისცემის” კონცეფციასთან შეუთავსებელია.

საინტერესოა რუშდის რემინისცენციები “ჰიბრისის” თემაზე: “ღმერთები გვეუბნებიან, იყავი ის, რაც ხარ და იცოდე შენი ადგილი - ასეა მიღებული, თორემ სინამდვილეში მითები საპირისპირო ინფორმაციას შეიცავს - არ დახარო თავი, არ უნდა იცოდე, სად არის შენი ადგილი, გამოიწვიე ღმერთები და გაცდე, იმდენ ღმერთს აღმოაჩნდება თიხის ფეხები.”


“რა არის ის საკითხები, რაზეც ჩვენ უნდა შევთანხმდეთ, - კითხვას სვამს რუშდი, - კოცნა საჯარო ადგილას, ბეკონის სენდვიჩი, უთანხმოება, გაშიშვლებული მოდა, ლიტერატურა, დიდსულოვნება, წყალი, მსოფლიო რესურსების თანაბარი და სამართლიანი განაწილება, ფილმები, მუსიკა, აზროვნების თავისუფლება, სილამაზე, სიყვარული... ჩვენ უნდა ავირჩიოთ ცხოვრების სწორი - უშიშარი გზა და ჩვენ გავიმარჯვებთ.”

“გადაბიჯეთ ამ ხაზს, - ამბობს რუშდი, - მაგრამ უკან აღარ დაბრუნდეთ, თქვენ ველარასოდეს შეძლებთ შინ დაბრუნებას...”

ჰამფრი კარპენტერი
განრისხებული ახალგაზრ-
დები: 50-იანელთა ლიტერატუ-
რული კომედია
The Angry Young Men: A
Literary Comedy of the 1950s
By Humprey Carpenter

Allen Line, pp.244, March 2002

მწერლებს და, საერთოდ, ხელოვანებს უყვართ, როცა მათ ბიოგრაფიებსა და შემოქმედებას კრიტიკოსები ინდივიდუალურ ჭრილში განიხილავენ, კრიტიკოსები კი ხელოვანთა ერთი რომელიმე ჯგუფის შემოქმედებითი თავისებურებების აღწერას ამ-



ჯობინებენ. კარპენტერს ორივე სფეროში გარკვეული გამოცდილება აქვს - მას ცალკეულ ცნობილ ადამიანთა ბიოგრაფიებიც შეუქმნია და ჯგუფური პორტრეტებიც. კარპენტერის ნაწარმოებები სასიამოვნოდ იკითხება, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც წესი, ამ ჟანრის ლიტერატურაში ბევრი უზუსტობა იპარება ხოლმე, რადგან მწერალს ცალკეულ პიროვნებათა ფსიქოლოგიურ სიღრმეებზე მეტად ამ-

ბის თხრობა უფრო აინტერესებს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ კარპენტერის რომანში უზარმაზარი ინფორმაცია და დიდი შრომაა ჩადებული.

ახალი წიგნი მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის რუკაა, ოღონდ ბიოგრაფიული რუკა, სადაც მთელი თაობის ცხოვრებაა აღწერილი: ფილიპ ლარკინი, კინგსლი ემისი, ჯონ ოსბორნი, ჯონ უეინი, ჯონ ბრეინი და კოლინ უილსონი. ეს ადამიანები ძალიან განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, მაგრამ, ამავე დროს, ერთ თაობას - 50-იანელებს ეკუთვნოდნენ და ბევრი საერთო პრობლემა აღელვებდათ.

მარტო ზემოთ ჩამოთვლილი ადამიანების სახელების სხენებაც კი საკმარისია იმისათვის, რომ ახალმა წიგნმა მკითხველი ჩაითრიოს. ისინი განრისხებული თაობის წარმომადგენლები იყვნენ, თაობისა, რომელსაც ყელში ამოუვიდა მეკავშირეთა გამარჯვების სიხარული, მშობლების გაუთავებელი ჩიჩინი, ხელისუფალთა დირექტივები და სტატუს კვო. და ისინი ეძიებდნენ გამოსავალს ცხოვრების გადახალისებისათვის.

კარპენტერის წიგნში მკითხველის თვალწინ გადაიშლება 50-იანელთა მშფოთვარე ცხოვრება, რომელიც მისთვის ყოველთვის დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენდა.

მომზადდა
თამარ სუხიშვილმა

გამოცემალი

ლაშა ბერაია: „საქართველოში გამოცემალების ბუმი იწყება“

ნანა კოხაიძე

ჩვენი რუბრიკის დღევანდელი სტუმარი გამომცემელი ლაშა ბერაიაა, რომელიც გამომცემლობა “ლოგოს პრესს” ხელმძღვანელობს. “ლოგოსი” ძველბერძნულად “სიტყვას” ნიშნავს და სწორედ ასე ერქვა გამომცემლობას, უფრო სწორად, საგამომცემლო პროგრამას, რომელიც 1996 წელს კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიოლოგიისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ბაზაზე ჩამოყალიბდა. ლაშა ბერაია დღესაც რჩება პროგრამა “ლოგოსის” აღმასრულებელ დირექტორად, პარალელურად კი საკუთარ გამომცემლობას ხელმძღვანელობს, რომელიც, ორი წელიწადია, არსებობს, თუმცა უკვე მოასწრო მთელი რიგი საინტერესო პროექტების განხორციელება. ლაშა ბერაიას კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიოლოგიისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში შეეხვდი, სადაც იგი მუშაობს. აქვეა მისი გამომცემლობაც.

ლაშა ბერაიას საგამომცემლო საქმიანობის დასაწყისი მის პროფესიას უკავშირდება. მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის განყოფილება დაასრულა და იქვე გააგრძელა სამეცნიერო საქმიანობა. საგამომცემლო საქმის შესწავლა 1993 წელს და-

იწყო. იმ პერიოდში კომპიუტერი ჯერ კიდევ ახალი ხილი იყო. ბატონმა ლაშამ პირველი ნათლობა “ელექტრონიკის” მარკის ძველ კომპიუტერზე მიიღო. საგამომცემლო საქმეში თავის პირველ მასწავლებლად ლევან ბერძენიშვილს მიიჩნევს, რომელიც იმ დროს ჯერ კიდევ მუშაობდა კლასიკური ფილოლოგიის კათედრაზე. “ლევანი იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელიც კომპიუტერებსა და საგამომცემლო საქმიანობასთან დაკავშირებულ პროგრამებში გაეყვება. სწორედ მან დაიწყო თავის დროზე იმ გამომცემლობის აწყობა, რომელსაც დღეს “ლოგოსი” ჰქვია. შემდეგ ლევანი უნივერსიტეტიდან წავიდა და მისი დაწყებული საქმე მე გავაგრძელე”, - იხსენებს ლაშა ბერაია. 1996 წელს ეს პროგრამა გამომცემლობად ჩამოყალიბდა, თუმცა, ეს მაინც იყო კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიოლოგიისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ნაწილი. ბატონი ლაშას თქმით, იმის მიუხედავად, რომ დღემდე რჩება ამ პროგრამის აღმასრულებელ დირექტორად, მისი უფლებები “ლოგოსში” მაინც შეზღუდულია. “ლოგოსის” ბედს, მასში გამოსული წიგნების გეგმას და გამოცემასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს ინსტიტუტის დირექტორი, რისმაც გორდენიანი და მისი სხვა თანამშრომლები წყვეტენ. თანაც,

“ლოგოსის” თემატიკა ძირითადად კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიოლოგიისა და ნეოგრეცისტიკის სფეროებით შემოიფარგლება. ლაშა ბერაიას კი უფრო მეტის გაკეთება სურდა. სწორედ ამიტომ, 2000 წელს გამომცემლობა “ლოგოს პრესი” დააფუძნა. ამჟამად მისი ძირითადი საქმიანობა სწორედ ამ გამომცემლობას უკავშირდება.

ლაშა ბერაიამ პირველი წიგნი 1995 წელს გამოსცა. **Griechenland und Rom** - ასე ერქვა მას და მოიცავდა ერთ-ერთი სამეცნიერო კონფერენციის მასალებს. წიგნის დიდი ნაწილი მან თავად ააწყო, დააკაბადონა და დიზაინიც გააკეთა. მის გამოცემაში დიდად დაეხმარა კლასიკური ფილოლოგიის ცნობილი სპეციალისტი, ან გარდაცვლილი გერმანელი მეცნიერი შმიდტი. სხვათა შორის, ორიოდვე კვირის წინათ ინსტიტუტის სიმონ ყაუხჩიშვილის სახელობის კაბინეტში გაიხსნა განყოფილება, რომელიც მთლიანად შმიდტის მიერ ნაჩუქარი წიგნებისგან შედგება. ბატონ შმიდტს დიდი გამოცდილება ჰქონდა საგამომცემლო საქმიანობაში. სწორედ მისგან ისწავლა ბევრი რამ ლაშა ბერაიამ.

ლაშა ბერაიას თქმით, მას არ დაუსახავს მიზნად - ჰქონოდა გარკვეული პრიორიტეტები. “მინდა გამოვცე როგორც მხატვრული ლიტერატურა, თარგმა-

ნები, ასევე საბავშვო გამოცემები, სასკოლო წიგნები და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები”, - გვითხრა მან. განხორციელებულ პროექტებზე გამომცემლობა დაწერილებით ისაუბრა.

“ლოგოს პრესმა” გამოსცა რამდენიმე წიგნი საბავშვო და საყმაწვილო წიგნების სერიიდან. მათგან გამომცემელმა ფონდ “ღია საზოგადოება - საქართველოსთან” ერთად განხორციელებული პროექტი - “ქართული მითების სამყარო” გამოყო. წიგნი ისტორიკოსებმა - ნატა ახმეტელმა და ბესიკ ლორთქიფანიძემ დაწერეს, ილუსტრაციები კი გია ბულაძეს ეკუთვნის. ამავე სერიით გამოვიდა “ხელოვნების ისტორია მოზარდებისთვის.” ჯერჯერობით, დაისტამბა მისი ორი წიგნი - ძველი ეგვიპტე და საქართველო, მალე გამოვა ძველი საბერძნეთი, სერაის კი დაასრულებს ძველი რომი. “ლოგოს პრესი” აქტიურად მუშაობს სასკოლო სახელმძღვანელოებზე. უკვე გამოსცეს VII და VIII კლასების “მშობლიური ლიტერატურა,” რომელიც ვახტანგ როდონაიას ხელმძღვანელობით მომზადდა და VIII კლასის “მითოლოგია” - ნანა ტონიასა და ზურაბ კიკნაძის ავტორობით. გამომცემლობა სამეცნიერო ლიტერატურასაც არ ტოვებს უყურადღებოდ. გამოსცეს ზურაბ კიკნაძის “ქართული ხალხური ეპოსი.” ლაშა ბერაიას აზრით, ეს

ძალზე მნიშვნელოვანი გამოცემაა. “ზურაბ კიკნაძე ამ სფეროს ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტია. წიგნში ქართულ ეპიკურ ნაწარმოებებთან დაკავშირებული ბევრი სიახლეა, რომელიც ბევრს დააინტერესებს”, - გვითხრა გამომცემელმა. “ლოგოს პრესმა” გამოსცა დამანა მელიქიშვილის ფუნდამენტური ნაშრომი “ქართული ზმნის უღლების სისტემა,” მალე გამოვა აკაკი ხინთიბიძის “ქართული ლექსი” - ლაშა ბერაიას თქმით, კიდევ ერთი მაგალითი იმისა, რომ ისინი ზრუნავენ ახალგაზრდობაზე. დაგეგმილია კიდევ ერთი სამეცნიერო გამოცემა, რომელიც განსაკუთრებით ლიტერატორებს დააინტერესებს. ეს არის ზაზა შათირიშვილის “გალაკტიონის პოეტიკა და რიტორიკა”, რომელიც გამომცემლის აზრით, უდავოდ მნიშვნელოვანი იქნება ქართველი ინტელექტუალებისთვის.

“ლოგოს პრესის” კიდევ ერთი მიმართულებაა აკადემიური სახელმძღვანელოები. მათ უკვე გამოსცეს ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსის, პიტერ ბერკის “ისტორია და სოციალური თეორია.” ამჟამად მთავრდება მუშაობა რამდენიმე ერთობლივ პროექტზე ფონდ “ღია საზოგადოება - საქართველოსთან” ერთად. მალე მკითხველი იხილავს ჯორჯ

გაბრიელა D16 გვირდვა

ლაზა ბერაია: „საქართველოში გამოცემილების და მკითხველების ბუმი იწყება“

მე-15 გვერდიდან

ედვარდ მურის “პრინციპია ეთიკას,” ერთ-ერთი უდიდესი ფილოსოფოსის, ლუდვიგ ვიტკენშტაინის ფილოსოფიურ გამოკვლევებს და რობერტ პატენმის ნაშრომს - “როგორ ვამუშაოთ დემოკრატია”. ეს წიგნი ეხება 70-ან წლებში იტალიაში მიმდინარე რეგიონალიზაციის პროცესს, რომელმაც ქვეყნის სწრაფი განვითარება გამოიწვია. ამ კონკრეტულ მაგალითზე ავტორი რეგიონალიზაციის დადებით მხარეებზე გვესაუბრება.

გამომცემლობის კიდევ ერთი მიმართულება თარგმანების სერიაა. შარშან “ლოგოს პრესმა” ლევან ბერძენიშვილის მიერ თარგმნილი ძველი ბერძნული ეპოსი “ბაყაყებისა და თავგების ომი” გამოსცა, რამდენიმე თვის წინათ – ნაბოკოვის “ლოლიტა,” რომელიც თამარ ლომიძემ თარგმნა. მალე ამ სერიით მკითხველი კიდევ ერთ საჩუქარს მიიღებს. ეს არის არისტოფანეს კომედიების 5-ტომეული, რომლის თარგმანი, შესავალი წერილი და კომენტარები ლევან ბერძენიშვილს ეკუთვნის. გარდა ამისა, გამომცემლობამ განმეორებით გამოსცა “ლოგოსის” მიერ დასტამბული ევრიპიდეს “მედეა,” რომლის თარგმანიც ბაჩანა ბრეგვაძეს ეკუთვნის. ბაჩანა ბრეგვაძის თარგმანით გამოსცეს კიდევ ერთი წიგნი – ნიკოლოზ ბერდიაევის “ადამიანის ბედი თანამედროვე სამყაროში.” “განმეორებითი” სერიით ლაშა ბერაია კიდევ ერთ სიახლეს გვპირდება – ზურაბ ჭუმბურიძის “რა გქვია შენ” – შესწორებული და შევსებული გამოცემას. გამომცემლობა “სანის” ხელმძღვანელის, ზაზა ბერიშვილის მსგავსად, ლაშა ბერაიაც მიიჩნევს, რომ საბჭოთა პერიოდში არაერთი საინტერესო წიგნი გამოიცა, რომელთა ნახვაც დღეს მხოლოდ ბიბლიოთეკაში შეიძლება, ამიტომ, ძალზე მნიშვნელოვანია მათი ხელახალი გამოცემა. ვფიქრობ, ქართველ გამომცემლებში ეს ტენდენცია უკვე დაიწყო და სამომავლოდ ამ კუთხით არაერთ საინტერესო



ლაშა ბერაია წიგნის IV საერთაშორისო ბაზრობაზე.

გამოცემას ვიხილავთ.

უახლოეს მომავალში “ლოგოს პრესი” კიდევ ერთ საჩუქარს გვიმზადებს. ეს არის ოთარ ჭილაძის ესეების, პუბლიცისტური წერილებისა და ინტერვიუების კრებული. “ამ წიგნში არის საკითხები, რომელიც დაინტერესებს არა მარტო მხატვრული ლიტერატურის მოყვარულებს, არამედ ფინანსისტებს, სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალისტებს, ეკონომისტებს და თუნდაც – პარლამენტარებს. მათთვისაც საინტერესო უნდა იყოს, რას ფიქრობს ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი მწერალი ქვეყნის წინაშე მდგარ პრობლემებზე”, – გვითხრა ლაშა ბერაიამ. დამეთანხმებით, მის მიერ ჩამოთვლილი გამომცემული და გამოსაცემი წიგნების ნუსხა საკმაოდ სლოიდურია. აქ ნაკლებად არის ფართო მასაზე გათვლილი ლიტერატურა. “ლოგოს პრესის” მიერ გა-

მოცემული წიგნები უფრო ინტელექტუალური მკითხველისთვისაა განკუთვნილი. არადა, ფინანსური თვალსაზრისით, გამომცემლობისთვის ეს წამგებიანია. თუ არ იქნება მოგება, თავისთავად, ვერ გამოსცემენ ახალ წიგნებსაც და გამომცემლობა ნელ-ნელა დაღმავალი გზით წავა. ანუ, რისკი საკმაოდ დიდია, თუმცა, ლაშა ბერაია პესიმისტურად განწყობილს წამდევდა არ ჰგავს. “ზოგჯერ ვრისკავ და გამოვცემ წიგნებს, რომლებიც წელიწადში 500-ზე მეტი არ იყიდება. ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ “ლოგოს პრესმა” სერიოზული გამომცემლობის იმიჯი შეიქმნას. ვიმედოვნებ, სამომავლოდ ვითარება შეიცვლება, ქვეყანა გამოიღვიძებს. ჩემს მიერ გამოცემული წიგნები იმ ხალხისთვის არის განკუთვნილი, რომელთაც საზოგადოება უნდა გამოაღვიძონ”, – გვითხრა გამომცემელმა. რო-

გორც ამბობენ, რისკი კეთილშობილური საქმეა, მაგრამ ამართლებს თუ არა ლაშა ბერაიას არჩევანი? როგორც თავად თქვა, ჯერჯერობით – არა, მაგრამ უიმედოდ არ ვარ, რადგან მყიდველთა და დინტერესებულ პირთა რაოდენობა იზრდება. გარდა ამისა, “ლოგოს პრესს” ჰყავს ერთგული მკითხველები, რომლებიც მის “წიგნის კლუბში” არიან განევირანებული და რეგულარულად ყიდულობენ ახალ გამოცემებს. ერთი სიტყვით, ლაშა ბერაიას პოზიციას პესიმისტურს წამდევდა ვერ ვუნდებთ. პირიქით, მისი აზრით, საქართველოში გამომცემლობების ბუმი იწყება, რაც სრულიად ნორმალური მოვლენაა. “ჩვენხელა ქვეყანაში რამდენიმე ათასი გამომცემლობა უნდა იყოს და არ გიკვირდეთ, რომ რამდენიმე წელიწადში მათი რაოდენობა სწორედ ამდენი გახდეს”, – გვითხრა გამომცემელმა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ყველა მათგანის საქმიანობა წარმატებული იქნება – ზოგი გაიზრდება, ზოგი – საშუალო ზომამდე მივა, ზოგი – დარჩება პატარა, მაგრამ თავის სამყოფ წიგნს გამოუშვებს და იქნება ასე... ლაშა ბერაიას პროგნოზით, გამომცემლობების ბუმი მკითხველის ბუმიც მოჰყვება. მისი აზრით, საქართველოში მკითხველთა რაოდენობა ძალიან მცირეა. “ჩვენხელა ევროპულ ქვეყნებში გაცილებით მეტი ადამიანი კითხულობს. საკმაოდ ჩამოვრჩებით მათ. სტატისტიკური მონაცემების მოყვანა გამიჭირდება, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რამდენიმე ასეულჯერ თუ არა, ათეულჯერ მაინც”, – თქვა მან. ასე რომ, ცნობილი მოსაზრება – თითქოს საბჭოთა კავშირი მკითხველთა რაოდენობით მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზე იდგა, რბილად რომ ვთქვათ, გაზავიადებულია. იმ პერიოდში წიგნებს უფრო პრესტიჟისთვის ყიდულობდნენ, ვიდრე საკითხავად, ანუ, მყიდველი ყოველთვის არ იყო მკითხველი. თავისთავად არც ეს ფაქტია ცუდი, მყიდველი თუ არა, წიგნს მისი ოჯახის რომელიმე წევრი ან

ახლობელი მაინც წაიკითხავდა. დღეს არც მყიდველია იმ რაოდენობით, არც მკითხველი. თუმცა, გასულ წლებთან შედარებით, გარკვეული პროგრესი არის. ლაშა ბერაიას თქმით, ბოლო ერთ წელიწადში გაყიდვების რიცხვმა 2,5 – 3-ჯერ მოიმატა. იკვლევს თუ არა საქართველოში ვინმე მკითხველის მოთხოვნილებებს? ლაშა ბერაიას თქმით, ცალკეული გამომცემლებისთვის მარკეტოლოგის დაქირავება ძალზე ძვირი სიაშვენებაა. უჯობესია, როცა ამას რამდენიმე გამომცემლობა ახორციელებს. ერთი ასეთი გამოკვლევა რამდენიმე წლის წინათ ჩატარდა და სავალალო შედეგები აჩვენა – რომ საქართველოში, ფაქტობრივად, არ არსებობს წიგნის ბაზარი, არის ძალზე ცოტა გამომცემლობა, რომელნიც მცირე რაოდენობით წიგნებს გამოსცემენ და მათ თითქმის არავინ ყიდულობს. მას შემდეგ ვითარება გარკვეულწილად შეიცვალა, მაგრამ დამაკმაყოფილებელს წამდევდა ვერ ვუნდებთ. მსოფლიო სტანდარტებამდე ძალზე ბევრი გვიკლია. ამისთვის, ალბათ, გამომცემელთა გაერთიანებაა საჭირო. ბევრმა, შესაძლოა, არც კი იცის, რომ აშუამდგამელთა რაოდენობა საქართველოში გამომცემელთა ორი გაერთიანებაა – “საქართველოს გამომცემელთა და წიგნის გამავრცელებელთა ასოციაცია,” რომელსაც სათავეში გამომცემლობა “აზრის” დირექტორი, მერაბ ქათამაძე უდგას და “საქართველოს გამომცემელთა ასოციაცია,” რომელსაც გამომცემლობა GCI-ს დირექტორი, შადიმან ხელაძე ხელმძღვანელობს. რამდენიმე წლის წინათ ამ ორ ასოციაციას შორის გარკვეული უთანხმოება იყო. სწორედ ამის გამო საქართველო ვერ ხდება გამომცემელთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი. თუმცა, ლაშა ბერაიას თქმით, ყველაფერი იქით მიდის, რომ გამომცემლები საერთო ენას ისევ გამონახავენ, რადგან, საბოლოოდ, ეს არის ბიზნეს-ასოციაციები, რომელთაც საერთო ინტერესები აქვთ.

წიგნის საერთაშორისო ბაზრობები

- 15th New Delhi World Book Fair
January 2002 New Delhi
National Book Trust, India
R. Rajpal
Director (EXH)
A 5 Green Park
New Delhi 110 016
INDIA
Phone: +91 (0) 11 6569962 or 6564540
Fax: +91 (0) 11 6851795
E-Mail: nbtindia@ndb.vsnl.net.in
> www.nbtindia.com
- 35th International Book Fair
23/01/2003 - 07/02/2003 Cairo
General Egyptian Book Organisation
Samir Saad Khalil
General Director
Corniche El Nile
Boulac / Cairo

- EGYPT
Phone.: +2(0) 02 5775-371 or 5775-109
Fax: +2(0) 02 5754213 or 5764276
E-Mail: S.S.Khalil@usa.net
> www.cibf.org/en/index.htm
- 30me Festival International de la Bande Dessinée
23/01/2003 - 26/01/2003 Angoulême
Festival International de la Bande Dessinée
Jean Marc Thivvenet
General Director
2, place de l'Hôtel de Ville
16000 Angoulême
FRANCE
Phone.: +33 (0) 5 45978650
Fax: +33 (0) 5 45959928
E-Mail: info@bdangouleme.com
> www.labd.com

- 21me Expolangues
29/01/2003 - 01/02/2003 Paris
L'Étudiant
Camille Rabehanta
Fair Management
27, rue du Chemin Vert
75543 Paris Cedex 11
FRANCE
Phone.: +33 (0) 1 48074141
Fax: +33 (0) 1 47007980
E-Mail: camille.rabehanta@letudiant.fr
> www.expolangues2002.com
- 12th International Book Fair Havana
30/01/2003 - 09/02/2003 Havana
Cuban Book Chamber
Jorge Luna Mendoza
General Director / President of the Cuban Book Chamber
Calle 15 esquina C, Vedado,
Ciudad de La Habana
CUBA

- Phone.: +53 (0) 7 36034 or 328829
Fax: +53 (0) 7 333441
E-Mail: cclfilh@icl.cult.cu
- Milia 2003
04/02/2003 - 06/02/2003 Cannes
Reed Midem Organisation
Elaine Legault
WEM Director
11, rue du Colonel Pierre Avia – BP 572
75726 Paris Cedex 15
FRANKREICH
Phone: +33 (0) 1 41904420
Fax: +33 (0) 1 41914960
E-Mail: elaine.legault@reedmidem.com
> www.milia.com
- Taipei International Book Exhibition (TIBE)
11/02/2003 - 16/02/2003 Taipei

- Chinese Publishers' Development Foundation
Pearl Hsu
Project Manager
5F-5, 5, Tsing Tao E. Rd.
Taipei 100
TAIWAN, ROC
Phone: +886 (0) 2 23512748
Fax: +886 (0) 2 23513400
E-Mail: info@tibe.com
> www.tibe.com
- Vilnius Book Fair / Baltic Book Fair 2003
20/02/2003 - 23/02/2003 Vilnius
"Litexpo" centre, „Books from Lithuania“, Lithuanian Publishers' Association
Milda Gembickiene
Project Manager / Managing Director
Laisves ave, 5
2600 Vilnius

- LITHUANIA
Phone: +370 (0) 2 686824
Fax: +370 (0) 2 454511
E-Mail: milda@litexpo.lt
> www.litexpo.lt
- St. Petersburg International Book Fair “Neva Book Forum”
March 2003 Petersburg
St. Petersburg International Book Fair “Neva Book Forum”
Vasilyeva Elizaveta Alexandrovna
Executive Director
Nab. Fontanki, 59, R. 118
191023 St. Petersburg
RUSSIA
Phone: +7 (0) 812 3105726
Fax: +7 (0) 812 3104111
E-Mail: neva@bookforum.ru
> www.bookforum.ru